ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „განდი“
8 ლარი -
21 მარტიდან 4 აპრილამდე!
4 აპრილის შემდეგ
„განდის“ ფასი
12 ლარი გახდება




ხუთშაბათი, 31 მარტი, 2011 №76 (5457) ფასი: 30 თეთრი

# ზოგი მინისტრი სცენას დაუბრუნდეს, ზოგი — არასამთავრობოს, ზოგმა ცოდვები მოინანიოს!



გვ.3

## საქართველო მაჯლაჯუნებისგან უნდა გავათავისუფლოთ!

გვ.2



## აქციების მოწყობის უფლება ყველას აქვს

არჩევნების მოგებას და რევოლუციას ალა სჭირდება



გვ.7

## ეროვნული საბჭო ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს

გვ.7



## „მარშრუტკით“ მგზავრობა 1 ლარი ხდება

გვ.5





გვ.9

## დევიდ პეტრიუსი ახალაიას მადლობას უხდის

გვ.8

## რესპუბლიკური პარტია 100-ზე მეტმა წევრმა დატოვა

გვ.11



გაჩეჩილა ემ და ბიწა ემ ლალი ე ალაშფოთეს

## მრცხვენია, ოპოზიციონერი რომ მქვია



## სააკაშვილს მოპარულ ფულებს უკან მოვატანინებთ!

გვ.4

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**11** ჩვენ დავადგინეთ, საქართველოში რამდენი ამომრჩეველია!

**8** მოსკოვსა და სოხუმს შორის შავმა კატამ გადაირბინა

**9** სოფლის მეურნეობის სამინისტროში უცოდინარი ბავშვები მუშაობენ

**13** ისრაელმა ისტორია შეგვიწყვიტა

# საქართველო მაჯლაჯუნებისგან უნდა გავათავისუფლოთ!

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ქართული პარტიის თავმჯდომარე სოზარ სუბართან

*— ბატონო სოზარ, ამ ბოლო დღეებში ბევრი არასასიამოვნო ფაქტი განვითარდა, როგორია ქართული პარტიის პოზიცია მომხდართან დაკავშირებით?*

— კონკრეტულად რას გულისხმობთ?

*— გაჩეჩილაძე-ბიწაძის დაპირისპირებას, მიუნხენის ინციდენტს, ასევე გუშინ წყნეთში მომხდარ ფაქტს...*

— მიუნხენის თემასთან დაკავშირებით სრულიად შეგნებულად არ ვაკეთებთ კომენტარს, თუმცა, ამას მოჰყვა ძალიან უცნაური და ძალიან საინტერესო გაგრძელება, თითქოს რაღაც ინციდენტს ჰქონდა ადგილი წყნეთში. ეს არის აბსოლუტური გამონაგონი, ცრუ დაკვეთა, ეს არის ოპოზიციის დისკრედიტაციის ნაწილი, რომელსაც სრულიად შეგნებულად ავრცელებს ვანო მერაბიშვილის უწყება. ამ შემთხვევაში ვანო მერაბიშვილს და მის მთავარ დეზინფორმატორს გურამ დონაძეს აქვთ კარგად აწყობილი სისტემა, აქვთ რამდენიმე საინფორმაციო საშუალება, საინფორმაციო პირობითად, თორემ ეს საინფორმაციო კი არა დეზინფორმაციის საშუალებაა. ეს არის: „დრონი ჯი“, ეს არის „პრესა ჯი“ და ეს არის „რეალტივი“. ასევე ამას დაუმატეთ გიგი უგულავას მიერ დაარსებული დეზინფორმაციის საშუალება, ყოვლად ყვითელი და ყოვლად ბინძური გაზეთი „პრაიმტაიმი“. აი, ეს ოთხი საინფორმაციო საშუალება, რომელიც სრულიად შეგნებულად ავრცელებს დეზინფორმაციას, ტყუილს, თავადაც კარგად იციან, რომ ეს ტყუილია, იგონებენ ამ ტყუილებს და შემდეგ უკვე ჩასაფრებული ჰყავთ ე.წ. ნაციონალური, თუ რა დავარქვათ სახელმწიფო არხები: რუსთავი 1, რუსთავი 2 და რუსთავი 3. შემდეგ ისინი აიტაცებენ ამ თემას და იწყება ამ თემის დამუსავება. ეს არის კარგად აწყობილი საინფორმაციო სქემა, რომელშიც ხარჯავენ მილიონებს და შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში. ცდილობენ მოახდინონ საზოგადოების დისკრედიტაცია, ოპოზიციის დისკრედიტაცია და გაავრცელონ ის ჭორები, რომელიც მათ უნდათ. საზოგადოების მოვალეობაა, რომ უბრალოდ არ წამოეგოს ამ ანკესს და ყველას ვუწოდოთ თავისი სახელი. ამ საინფორმაციოებში მომუშავე ადამიანები არ არიან ჟურნალისტები, ისინი არიან ჩვეულებრივი ნომრიანი აგენტები, რომლებიც ფულს იღებენ აგენტობაში შინაგან საქმეთა სააგენტოდან.

***— გვინდა თუ არ გვინდა, ეს ყველაფერი მაინც ტოვებს კვალს საზოგადოებაზე. ბევრს ეგონა, რომ რადგან ერთნაირი მოთხოვნები ჰქონდათ ქართულ პარტიას და სახალხო კრებას, ორივე ძალა რადიკალური განცხადებებით გამოდიოდა, იყო იმედები, რომ შესაძლოა ბოლო მომენტში მაინც მოხერხებულიყო ამ ძალების ერთად დადგომა. დღეს ეს ყველაფერი შეუძლებელია? თუ მაინც არის შანსები?***

— სიმართლე რომ გითხრათ, მე ასეთნაირად საკითხის დაყენება არასწორი მგონია, იმიტომ, რომ, დავუშვათ, მოხდა რაღაცა ინციდენტი მიუნხენის აეროპორტში ბადრი ბიწაძესა და ლევან გაჩეჩილაძეს შორის, რა შუაშია აქ სახალხო კრება? ბადრი ბიწაძე, მე მგონი, არ არის სახალხო კრების არც თავმჯდომარე, არც ლიდერი, წევრი არის თუ არა, ისიც არ ვიცით. ბადრი ბიწაძე არ არის ნონა გაფრინდაშვილი, ბადრი ბიწაძე არ არის ირაკლი ბათიაშვილი. ვინ არის ამ შემთხვევაში ბადრი ბიწაძე სახალხო კრების გადმოსახედიდან?

***— სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერის მეუღლე...***

— სახალხო კრების ლიდერებს შორის მე არ ვიცი ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ქალბატონი ნინო ბურჯანაძე ვიცი, როგორც ერთ-ერთი პარტიის თავმჯდომარე. რა შუაშია სახალხო კრება და სახალხო კრების მიზნები აეროპორტში მომხდარ ინციდენტთან?!

***— ე.ი. ამ ყველაფერს ერთმანეთს არ უკავშირებთ...***

— თუ ვინმე აკავშირებს, ეს მისი პრობლემაა, მე ნამდვილად არ ვაკავშირებ. მე მუდმივად ვამბობ, რომ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილზე უფრო საპატიო სახელი მე-20 საუკუნის საქართველოს არ უშვია და უდიდეს პატივს ვცემ ამ ადამიანს. არა მხოლოდ, როგორც გენიალურ მოჭადრაკეს, რომელმაც შორს გაუტანა საქართველოს სახელი, არამედ ღირსებით აღსავსე ადამიანს და ღირსებით აღსავსე ქალბატონს. ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი და მისი ხედვა ყოველთვის შეიძლება დაემთხვეს ერთმანეთს, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მაშინაც კი, როცა სულ სხვადასხვა პოზიციებზე ვიქნებით, მის მიმართ ჩემი პატივისცემა იქნება განუსაზღვრელი. იგივე შემიძლია ვთქვა არაერთი იმ ადამიანის მიმართ, რომელიც არის სახალხო კრებაში. წეღანაც დავასახელე და ახლაც გავიმეორებ ირაკლი ბათიაშვილის სახელს.



ოპოზიციაზე ჭორებს მერაბიშვილის უწყება ავრცელებს

***— რა გეგმები გაქვთ, რას აპირებთ უახლოეს პერიოდში? საუბარია, რომ აპრილის ბოლოდან სერიოზული პროცესები დაიწყებაო. ვნახეთ, რომ ის რვა პარტია, რომელიც დიალოგს აწარმოებდა ხელისუფლებასთან, ჩიხში შევიდა. როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ქუჩის აქციებშია გამოსავალი თუ სხვა გზასაც ხედავთ?***

— მე მაინც დაველოდები, რვა პარტია რას იტყვის, როგორ დაამთავრებს ამ პროცესს. არ მინდა წინასწარ რაღაც შეფასებების გაკეთება, ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი ხედვა არა მაქვს, მაგრამ არ მინდა წინასწარ რაღაც საკითხები ჩავჭრა. უბრალოდ, ერთი რამე არ მესმის ხოლმე, ზოგჯერ ამ რვა პარტიის წარმომადგენელი, იმის ნაცვლად, რომ აკრიტიკოს ხელისუფლება, გამოდის და აკრიტიკებს, ვთქვათ, ქართულ პარტიას, ან სახალხო კრებას ან სხვა ვინმეს. მე არა მგონია, რომ ეს სწორი ტაქტიკა იყოს. იმ მოტივით, რომ არიქა, ხელისუფლება არ გავანაწყენოთ და დიალოგზე უარი არა თქვასო, გამოვიდნენ და ყოველ ჯერზე აკრიტიკონ ქართული პარტია, ეს არა მგონია, საერთო საქმისთვის სასარგებლო იყოს. საერთო საქმეში მე არ ვგულისხმობ ოპოზიციურ საქმეს, საერთო საქმეში მე ვგულისხმობ ქართულ საქმეს და საქართველოს საქმეს. ჩვენი პოზიცია ამ შემთხვევაში არის აბსოლუტურად განსხვავებული, ასე რომ, დაველოდოთ, რვა პარტია როგორ დაამთავრებს თავის ურთიერთობას ხელისუფლებასთან.

***— გამოითქვა მოსაზრებები, რომ შესაძლოა მათაც ქუჩაში გადაინაცვლონო...***

— მე მახსოვს ამ რვიანში შემავალი ზოგიერთი პარტიის განცხადებაც, რომ ისინი დაუპირისპირდებიან ყველანაირ რევოლუციას. აქამდე მეგონა, რომ ამისთვის საკმარისი იყო ვანო მერაბიშვილი და ბაჩო და დათა ახალაიები და თუ ვინმეს სურს მათ რიგებში ჩადგეს, ეს ყველამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს. რა თქმა უნდა, ამ პარტიებიდან შეიძლებმა ზოგიერთმა გადაინაცვლოს ქუჩაში და აქციებში ჩაერთოს, მათთვის აქციები უცხო არასოდეს ყოფილა, თუმცა, ზოგიერთი ამ ამპლუაში ვერ წარმომიდგენია ნამდვილად. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს აპრილის ბოლოს თუ მაისში, შეიძლება ძალიან მომაბეზრებელია და მკითხველსაც მობეზრებული აქვს ჩემი ნათქვამი, მაგრამ გავიმეორებ იმას, რასაც ყოველთვის ვამბობ. ქართული პარტია დაამთავრებს აპრილის ბოლოს, მაისის დასაწყისში თავისი ძირითადი სტრუქტურის მშენებლობას. აი, დღესაც მე მივდივარ, მაგალითად, ლანჩხუთში, სადაც ვხსნით ოფისს, ხვალ აქცია გვაქვს ზუგდიდში. ჩვენ არ ველოდებით აპრილის ბოლოს, აქციები უკვე დაწყებული გვაქვს, საჭიროების მიხედვით. ხვალ, რეფერენდუმის გამოცხადების დღეს აქციას ვატარებთ ზუგდიდში და ეს საკმაოდ მრავალათასიანი აქცია იქნება. ჩვენ ეს აქციები დაწყებული გვაქვს, არანაირ კონკრეტულ თარიღებს არ ველოდებით, ხოლო რა მოხდება ზოგადად მაისში, როგორი იქნება ჩვენი პარტიის პროგრამა, ჩვენი პარტიის ხედვა და სამოქმედო გეგმა, ამას ჩვენ ჩამოვაყალიბებთ პარტიის მეორე ყრილობაზე, რომელიც მაისის დასაწყისში ჩატარდება, მანამადე კი წინ გველოდება თბილისის საქალაქო კონფერენცია, რომელიც შაბათს, 2 აპრილს ჩატარდება. ჯერჯერობით რამე განსაკუთრებულს არაფერს არ ვამბობთ, ხმამაღლა, ყოველ შემთხვევაში. ეს არ ნიშნავს, რომ არაფერს არ ვგეგმავთ, მაგრამ დანარჩენი გამოჩნდება შემდეგ.

***— სახალხო კრებამ დააანონსა, რომ ისინი გამოსვლებს მაისის დასაწყისიდან დაიწყებენ...***

— ჩვენ დაანონსება არ გვჭირდება, ისედაც დაწყებული გვაქვს ეს საქმე. გახსოვთ, ჩვენი აქციები გარეჯთან დაკავშირებით, გითხარით, რომ 31-ში ასეთივე აქცია გვექნება ზუგდიდში. ამას არ სჭირდება დაანონსება. რა მოხდება მაისში — ეს გამოჩნდება მაისში. დიდი ინტერესით დაველოდებით იმას, თუ რას იზამს სახალხო კრება.

***— თქვენი ოპონენტებისაგან ხშირად მომისმენია ასეთი შეფასებები, რომ დღეს რევოლუცია, აქციები, ქუჩაში გამოსვლები აწყობს სწორედ ხელისუფლებას და მათ წისქვილზე დაასხამს წყალსო. როგორია თქვენი პოზიცია?***

— რა გითხრათ, ძალიან ირონიით რომ გიპასუხოთ და ვთქვათ ასე, რომ დიახ, ვეთანხმებით ჩვენ ჩვენს ოპონენტებს, ხელისუფლებას ახლა ერთადერთი, რაც არ აწყობს, ეს არის სიმშვიდე, სიწყნარე, სრული მორჩილება. არ აწყობს დაუმორჩილებლობა, არ აწყობს აქციები, არ აწყობს კრიტიკა და არ აწყობს ის, რომ ისინი ჩართული არიან ელიტურ კორუფციაში. რამდენად სერიოზული იქნება ასეთი მიდგომა, მე არ ვიცი... მე ვიცი ერთი, რომ ხელისუფლებას სულ ცხვირ-პირში უნდა ვურტყათ და ვახსენოთ ის საქმეები, რომელსაც ის აკეთებს, იქნება ეს რუსეთთან ომი თუ შიდა ელიტური კორუფციის ისეთი წვრილმანი გამოვლინებები, როგორიც არის, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი დავით ბაქრაძის სიმამრის საქმენი საგმირონნია, რომელსაც ის სჩადის ხარაგაულში, სადაც მთელი რაიონის ბიუჯეტი ემსახურება ამ ერთი კაცის ვნებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილებას, სადაც მთელი რაიონი იქცია საკუთარ ბიზნესად და აკეთებს ფულს მარჯვნიდან თუ მარცხნიდან. ყველა სახელმწიფო შეკვეთას ის იღებს. გაჭირვებული ადამიანებისთვის გამგეობას თანხები არ გააჩნია, ხოლო აქვთ უამრავი თანხა იმისთვის, რომ დავით ბაქრაძის სიმამრის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს. თურმე ამაზე არ უნდა ვილაპარაკოთ, ხომ? და თუ ხარაგაულელებმა გადაწყვიტეს, რომ ამის წინააღმდეგ აქცია მოაწყონ, ეს იქნება ხელისუფლების თამაშის თამაში და ხელისუფლების წისქვილზე წყლის დასხმა?! მე ასეთი ლოგიკის არ მესმის და ვისაც ასეთი ლოგიკის ესმის, იაროს იმ თავისი ლოგიკით, რა ვქნათ.

***— ვნახოთ, რა მოხდება, აღარც აპრილი და მაისია შორს... ვნახოთ, რამდენად შეძლებთ საზოგადოების გამოფხიზლებას და აყოლიებას...***

— ვნახოთ. ხშირად მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ვერც ქართული პარტია და ვერც რომელიმე სხვა პარტია ვერ შეძლებს რევოლუციის მოწყობას, რევოლუციას აწყობს ხალხი. ჩვენ კი მზად ვართ, ჩავუდგეთ სათავეში, ავიღოთ პასუხისმგებლობა რევოლუციაზეც, ხელისუფლების შეცვლაზეც და შემდგომ მომავალზეც, მაგრამ ამას ერთი პარტია ვერ შეძლებს, ამას აკეთებს ხალხი. თუ ხალხი ამისთვის მზად არ იქნება, მაშინ მარტო ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ. თუ ხალხში ამის მზადყოფნა იქნება, მაშინ ჩვენ მზად ვართ, კატალიზატორის და დამაჩქარებლის ფუნქცია შევასრულოთ.

***— იბრძოლებთ ბოლომდე?***

— ბოლომდეც ვიბრძოლებთ და ბევრ ნაბიჯსაც გადავდგამთ და წავალთ ბოლომდე იმისათვის, რომ საქართველო გადავარჩინოთ ამ მაჯლაჯუნებისგან.

***— ბევრჯერ ყოფილა, რომ მისულა სიტუაცია გადამწყვეტ წერტილამდე და შემდეგ ლიდერებს უკან დაუხევიათ, ეს არაერთხელ მოხდა და საზოგადოებას კარგად ახსოვს...***

— მაშინ ვითარება იყო სხვა და მათ შორის საერთაშორისო ვითარებაც. იგივე ეგვიპტის, ლიბიისა თუ ტუნისის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა მკვეთრად შეიცვალა მსგავსი მოვლენების მიმართ და ჩვენ ვაიძულებთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ამჯერადაც იყვნენ ადეკვატურები. აი, ეს იქნება ჩემი პასუხი და ჩვენ გადავდგამთ ნაბიჯს, რომელიც საჭირო იქნება გამარჯვებისთვის, რაც უნდა მტკივნეული იყოს ეს ნაბიჯები და არავის და არაფრის წინაშე უკან დახევას არ ვაპირებთ. ძალიან კარგად ვიცით, როგორ ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე. ეს არის ხელისუფლება, რომელსაც ძალიან ბევრი რამ აქვს დასაკარგი. ეს არის თავისუფლება, იმიტომ, რომ წაგების შემთხვევაში ისინი მოხვდებიან ციხეში და დასაკარგი აქვთ ნაქურდალით ნაშოვნი მილიარდები, რომლის დაკარგვა მათთვის სიკვდილის ტოლფასია. ასე რომ, ვისაც ჰგონია, რომ ეს ხელისუფლება არჩევნებით და ხავერდოვანი გზით დათმობს თავისუფლებას და თავისი ნებით წავა ციხეში, ის ძალიან ცდება. ამიტომ ჩვენ მკაფიოთ გვაქვს გასიგრძეგანებული, რომ ერთადერთი გზა ამ ხელისუფლების მოშორების არის რადიკალური ნაბიჯების გადადგმა და ჩვენ ვემზადებით ამ რადიკალური ნაბიჯების გადასადგმელად.

## სასამართლომ დავა კერძო პირების სასარგებლოდ გადაწყვიტა



30 მარტს, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ორი გადაწყვეტილება გამოიტანა და ორივე დავა კერძო პირების სასარგებლოდ დაასრულა.

მეწარმე მიხეილ თავართქილაძეს საგადასახადო ორგანოები დეკლარირებულ და შემოწმების შედეგად დადგენილ გადასახადებს შორის სხვაობას ედავებოდნენ. მას საგადასახადო ორგანოებმა ამ დარღვევისთვის 9000 ლარი დაარიცხეს.

მეორე დავაც საგადასახადო შემოწმებას უკავშირდებოდა. ამ შემოწმების შედეგად, საგადასახადო ორგანომ გამოავლინა მეწარმის დოკუმენტებში აღურიცხავი საქონელი და მას დამატებითი თანხა, 16 000 ლარი დაარიცხა.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ორივე საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე არ იკვეთებოდა მეწარმეების მხრიდან საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის ფაქტი, რაც ქმნიდა იმის საფუძველს, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იყო უკანონო, არ იყო სათანადო წესით შესწავლილი და გამოკვლეული, რის გამოც ისინი ეწინააღმდეგებოდა როგორც საგადასახადო კოდექსის, ისე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებს.

შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ინდ. მეწარმეები მიხეილ თავართქილაძე და გურამ ბაქანიძე საგადასახადო ორგანოების მიერ დარიცხულ თანხებს–9 000 და 16 000 ლარს აღარ გადაიხდიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ზოგი მინისტრი სცენას დაუბრუნდეს, ზოგი — არასამთავრობოს, ზოგმა ცოდვები მოინანიოს!





ნანა მიშელაშვილი

ოპოზიცია გილაურის მთავრობის მთელი შემადგენლობის პასუხისმგებლობის საკითხს სვამს. ამის მიუხედავად, საპარლამენტო ოპოზიციამ მინისტრთა კაბინეტის გადადგომას ვერ მიაღწია. მთავრობა პარლამენტში გუშინ სრული შემადგენლობით, მათ შორის, ძალოვანი მინისტრების თანხლებით მივიდა.

ვის ამოეწურა დროის ლიმიტი და რატომ უნდა წავიდეს მთავრობა? „ქართული დასის“ ლიდერის ჯონდი ბაღათურიას თქმით, მთავრობას დროის ლიმიტი, ხალხს კი მოთმინების ლიმიტი ამოეწურა. ბაღათურიას შეფასებით, ერთი კვირაა დებატები მიმდინარეობს და აშკარად ჩანს, რომ ხელისუფლება და მთავრობა ამ დებატებს აგებს.

ბაღათურიას თქმით, გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას არ აქვს გეგმა, არ აქვს პროექტი, თუ როგორ გამოიყვანონ ქვეყანა იმ კრიზისიდან, რომელშიც თვითონ შეიყვანეს.

ბაღათურიამ ხაზი გაუსვა, რომ პატიმრების რიცხვი გაიზარდა და მათი 80% ბიზნესმენებია. მისივე თქმით, ადამიანები პრობაციონერობის ნაცვლად, სამუშაო ადგილებს უნდა ქმნიდნენ და ბიუჯეტში შეჰქონდეთ გადასახადები.

— მინდა გააცნობიეროთ, რომ თქვენ დროის ლიმიტი ამოგეწურათ, ხალხს კი მოთმინების ლიმიტი. თუ დაუყოვნებლივ არ მიიღებთ გადაწყვეტილებას და არ შეცვლით რაიმეს, ქვეყანა მიდის ტრაგედიისკენ. ამ ტრაგედიაში გამარჯვებული არ იქნება, რადგან დამარცხდება სახელმწიფო და ხალხი. ჯერ კიდევ არ არის გვიან. შეგიძლიათ ქვეყანა აარიდოთ ამ ტრაგედიას, — მიმართა ჯონდი ბაღათურიამ მთავრობას.

„ქართული დასის“ ლიდერი ხელისუფლებას მასშტაბური ამნისტიის გამოცხადებას, წვრილმან დანაშაულზე სასჯელმისჯილების გათავისუფლებას და პენსიის 100 დოლარამდე გაზრდას სთავაზობს. ბაღათურიას განცხადებით, უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა იმედი, რომ თითქოს სახელმწიფომ სოფლის მეურნეობაზე ზრუნვა გადაწყვიტა და იმავდროულად, სოფლის მეურნეობის მინისტრმა რაციონალური პროგრამა წარმოადგინა, რომელიც „ართული დასის“ პროექტს ჰგავდა. მაგრამ, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობისთვის დამატებით მხოლოდ 9 მილიონია გამოყოფილი.



— პრეზიდენტმა აქ დადებული საჯარო პირობა არ შეასრულა. არ არის საკმარისი 9 მილიონი ლარი, რომ საირიგაციაო ნაგებობა აღვადგინოთ, აგროცენტრები შევქმნათ. ეს ფული ჰაერში იქნება გადაყრილი. აქედან ჩანს, რომ მთავრობას უნარი აღარ აქვს, ქვეყანა დაიხსნას კრიზისიდან. ამიტომ, მოგმართავთ, რომ თავიდან აივიცილოთ ტრაგედია და დადგეს მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი ერთადერთი იყო, რომელსაც საპარლამენტო უმრავლესობამ „მხურვალე“ ტაში დაუკრა. უმრავლესობის წევრები კარლო კოპალიანის გამოსვლის დროს საკმაოდ ხმაურობდნენ და იცინოდნენ, დეპუტატის სიტყვით გამოსვლის ბოლოს კი ტაში დაუკრეს.

კარლო კოპალიანი ხელისუფლებას გაკვეული ღონისძიებების გატარებას სთხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევდა, რომ ქვეყანას ღმერთი გაუწყრა და ხელისუფლება და ოპოზიცია სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა. კოპალიანი ითხოვდა სატარიფო პოლიტიკის შეცვლას, რეგიონების განვითარებას და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას მთაზე, რათა მთა არ დაიცალოს და საქართველო უპატრონო ეკლესიასავით არ დარჩეს.

დეპუტატს მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს პოლიციის დეპოლიტიზება, უკანონო პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ ციხეებიდან, სკოლა არ უნდა ჩააბარონ თინეიჯერ დირექტორებს, მოისპოს ელიტარული კორუფცია და მასობრივი შიმშილობის ფონზე, მინისტრებმა დაუმსახურებელი პრემიები არ გამოიწერონ. კოპალიანის აზრით, ზოგი მინისტრი სცენას უნდა დაუბრუნდეს, ზოგი — არასამთავრობოს, ზოგმა — ცოდვები მოინანიოს.



— და თუ ასე არ მოხდა მაშინ გამოდის, რომ ღმერთი გაგვიწყრა და სხვა ენაზე აგვალაპარაკა, რათა ქვეყანას ვერ ვუშველოთ, — აღნიშნა კარლო კოპალიანმა, რომელსაც უმრავლესობამ „ხმაურიანი“ ტაში დაუკრა.

ალასანიას პარტიის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა მთავრობას ხან გამოქვაბულში სხდომების ჩატარება შეახსენა, ხან სხვადასხვა შენობის სახურავებზე.

გიორგი ცაგარეიშვილის შეფასებით, ხელისუფლება ხალხს უყურებს როგორც პროექტს, რომლის რეალიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომები მათთვის პრობლემებს არ წარმოადგენს. მისი შეფასებით, ხელისუფლება ხშირად საუბრობს წარმატებებზე, მაშინ, როცა უდიდესი შეცდომებია დაშვებული ჯანდაცვის სექტორში, მიზანმიმართულად ნადგურდება სოფლის მეურნეობის დარგი, განათლების სისტემაში გაუმართლებელი რეფორმები ძალადობრივი გზით ტარდება, მონოპოლიზებულია ყველა სფერო, სამომხმარებლო ფასები კატასტროფულად იზრდება, საარსებო მინიმუმი კი 160 ლარს გაუტოლდა. ოპოზიონერი დეპუტატისთვის გაუგებარია, რატომ ეძახის ამ რეალობას ხელისუფლება წარმატებას.

— ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ხალხს, რომელსაც სასაცილოდაც არ ყოფნის ის, რომ პრეზიდენტს თავის გრძელ ესკორტში გაწკრიალებული ტრაქტორებიც ჰყავს ჩაყენებული. ვინ დაიჯერებს თქვენს დაპირებებს, როცა შიდა ქართლში, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ მართლაც გმირ ხალხს ელემენტარულ პირობებსაც არ უქმნით იმისთვის, რომ მშობლიური ადგილები არ მიატოვოს, როცა სამეგრელო-ზემო სვანეთში კრიმინალური ბანდების თარეში ველურ დასავლეთს უფრო ჰგავს, ვიდრე სინგაპურს კავკასიაში, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის თქმით, მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არაკომპეტენტურობაა, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 2004 წლიდან დღემდე მთავრობაში 80-ზე მეტი მაღალი თანამდებობის პირია გამოცვლილი.

— გეკისრებათ პასუხისმგებლობა ქართველი ერის შეშინებისა და შეურაცხყოფისთვის. შიშით გინდათ მართოთ ქვეყანა. შეშინებული კაცი კი ვერც გარე ომში ველარ გაიმარჯვებს. ხალხს ტელეკამერის დანახვაზე გული უსკდება, — განაცხადა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციას უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა გასცა პასუხი. წიკლაურის თქმით, ზოგიერთი ოპოზიციონერის გამოსვლიდან სიტყვაც ვერ გაიგო, თუმცა, აშკარაა, რომ ზოგიერთი დეპუტატი პარლამენტის ტრიბუნას საკუთარი „დაუოკებელი ვნებების ამოფრქვევისთვის“ იყენებს.

— ჩვენ არ გვჭირდება საკითხებზე „პაკაპუკი“. მთავრობას ცოდნაზე დაფუძნებული შენიშვნები სჭირდება, — განაცხადა წიკლაურმა და დასძინა, რომ ოპოზიციამ ქვეყანაში არსებული პრობლემები პოლიტიკური კალათის მწირი ქულების შევსებისთვის არ უნდა გამოიყენოს.

წიკლაურმა პოლიტიკურ ოპონენტებს „გლოვის მგოსნები“ უწოდა და მათ ვაჟაფშაველას პოემიდან უპასუხა: „იტირე, კარგი გიქნია“.

წიკლაური განსაკუთრებით უკმაყოფილო დეპუტატ ცაგარეიშვილის იმ განცხადებამ გააბრაზა, რომლის თანახმადაც, სამეგრელო-ზემო სვანეთში კრიმინალები თარეშობენ.

უმრავლესობის წევრმა ოპოზიციონერ კოლეგას ის პერიოდი გაახსენა, როცა ქვეყანაში ველური ბანდები მართლაც თარეშობდნენ და მას ნაყალბევი პათეტიკისაგან თავის შეკავება ურჩია.

ლევან ვეფხვაძეს ებრაელი ბიზნესმენების ბედი აინტერესებდა. მას აინტერესებს, იცოდა თუ არა გილაურმა, როცა ეპატიჟებოდა ორ ებრაელ ბიზნესმენს საქართველოში, რომ ისინი საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში დაკავებულები იქნებოდნენ.

— თუ არ იცოდა, ეს ნიშნავს, რომ კოორდინაცია არ არის სახელმწიფო უწყებებს შორის და ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო თუ იცოდა, ეს ნიშნავს რომ ბიზნესმენები სპეციალურად დასაკავებლად ჩამოიყვანეს, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

ვიცე-სპიკერის შეფასებით, ასეთი საქციელის შედეგია, რომ ისრაელი დღეს საქართველოს დიპლომატიურ ენაზე აგინებს.

— ისრაელი რაკეტებს არ გვსვრის, დიპლომატიურ ენაზე გვაგინებენ, მეტი რა უნდა ქნან? — აღნიშნა ლევან ვეფხვაძემ.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა საპარლამენტო დებატებისას ხელისუფლების პოზიციებს სუსტი უწოდა. მისი თქმით, როდესაც არგუმენტებად კრიტიკა და შეფასებაა, მასზე კონტრარგუმენტად შეურაცხყოფა არ უნდა იყოს და თუ ეს ასეა, ეს მხოლოდ სისუსტეს ნიშნავს.

— დიახ, თქვენი პოზიცია იყო სუსტი. როდესაც ადამიანი სარკეში ჩაიხედავს და რაღაც არ მოეწონება, ეს არ ნიშნავს, რომ სარკეს ებრძოლოს, არამედ ნაკლი უნდა გამოასწოროს. ამიტომ ჯობია ერთად აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებები, — მიმართა ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლებას.

მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ. მან ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა მინისტრს კობა სუბელიანს ნანა ფიფიას დედის წერილი გადასცა. დავითაიას თქმით, მინისტრმა აღნიშნა, რომ მას გულზე მოხვდა ნანა ფიფიას მიერ თავის დაწვა და კარგი იქნება, თუ ასე გულთან ახლოს ბოლომდე მიიტანს ნანა ფიფიას ოჯახის საკითხს.

ვიცე-სპიკერის ინფორმაციით, ნანა ფიფიას მამა აფხაზებმა დახვრიტეს, ის სწორედ დაიღუპა სახელმწიფო მოხელეების გამო და თავად ნანა ფიფიამაც სახელმწიფო მოხელების გამო დაიწვა თავი.

პაატა დავითაიამ ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არის ბიუროკრატიული სქემები, რომელიც ბევრ საკითხებში, მათ შორის გულის ქირურგიის პროგრამის დაფინანსებას აფერხებს.

დავითაიას აინტერესებს, როდესაც სოფლის მეურნეობის მინისტრი პირობას იძლევა, რომ სარწყავი სისტემები გაიმართება, რატომ არ არის ბიუჯეტში აღნიშნულთან დაკავშირებით თანხები.

განსაკუთრებულ ყურადღებას დავითაია ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე ამახვილებს და აცხადებს, რომ სათანადო ინფორმაციები არ ვრცელდება და მას აინტერესებს პრემიერ-მინისტრისგან, თუ რა რეალური ქმედებებია განხორციელებული ევროკავშირთან მოლაპარაკებებისთვის ან რა არის დაგეგმილი.

ოპოზიციას კომპეტენცია პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ

გაგრძელება მე-4 გვერდზე



## ჰოლანდიელი დიპლომატები რესპუბლიკელებს შეხვდნენ

საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ლიდერები გუშინ ნიდერლანდების სრულუფლებიან ელჩს საქართველოში პიტერ ლენგენბერგს და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ონო ჰატიგა ვანსანტის შეხვდნენ. შეხვედრა რესპუბლიკური პარტიის ცენტრალურ ოფისში გაიმართა.

პარტიის თავმჯდომარესთან დავით უსუფაშვილთან გამართულ საუბარში მათ ხაზი გაუსვეს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების, კერძოდ, სამართლიანი და მოსახლეობის მაღალი ნდობის მქონე არჩევნების ჩატარების მნიშვნელობას ევროპული ინტეგრაციის პროცესისთვის.

დავით უსუფაშვილმა სტუმრებს გააცნო საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიზეზები და რესპუბლიკური პარტიის ხედვა ქვეყანაში დაუყოვნებლივ განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

მედიანიუსი

## ეროვნულ ფორუმს კვლავ კახა შარტავა უხელმძღვანელებს



გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ „ეროვნული ფორუმის“ მორიგი პარტიული ყრილობა გაიმართა. ყრილობა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება და დღევანდელი ყრილობა პარტიის ისტორიაში რიგით მეორეა. გუშინდელი ყრილობას 423 დელეგატი დაესწრო.

პარტიალ ყრილობაზე დელეგატებმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პარტიის თავმჯდომარედ კვლავ კახა შარტავა აირჩიეს.

ასევე, აირჩიეს პოლიტსაბჭოს წევრებიც: კახა შარტავა, რევაზ შავიშვილი, ნოდარ ჯავახიშვილი, გუბაზ სანიკიძე, ნოდარ ჯავახიშვილი და ერეკლე გოგოტიშვილი. „ეროვნული ფორუმის“ გენერალურ მდივნად კი რევაზ შავიშვილი აირჩიეს.

დელეგატებმა სარევიზიო საბჭოს წევრები და სხვა საპასუხისმგებლო პირებიც აირჩიეს, პარტიის წინა წლებში გაწეული მუშაობა შეაფასეს და უახლოესი მომავლის სამუშაო გეგმებიც დასახეს.

მედიანიუსი

## ოპოზიცია მოლაპარაკებებს ერთი პირობით გააგრძელებს



— თუ ხელისუფლება კომპრომისისთვის მზად იქნება, საარჩევნო გარემოს შეცვლაზე მოლაპარაკებათა პროცესი გაგრძელდება.

აღნიშნული განცხადება „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა კაციტაძემ რადიო „პალიტრის“ ეთერში, გადაცემა „აქ და ახლა“-ში გააკეთა. კაციტაძის განცხადებით, „ოპოზიციური რვიანი“ ორ უმნიშვნელოვანეს საკითხს ვერ დათმობს: ამომრჩევლების აღრიცხვას ბიომეტრიული პასპორტებით და საარჩევნო სისტემას, რომლის მიხედვითაც არჩევნებზე პოლიტიკური სუბიექტი რამდენ პროცენტ ხმასაც მიიღებს, იმდენივე მანდატი ექნება.

— თუ ეს მნიშვნელოვანი საკითხები არ იქნება გათვალისწინებული სამართლიანი არჩევნები ვერ შედგება, თუ ხელისუფლება კომპრომისისთვის მზად იქნება, მოლაპარაკებათა პროცესი გაგრძელდება, აღნიშნა მამუკა კაციტაძემ და დასძინა, რომ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენისთვის საერთაშორისო ორგანიზაციების და ქართული საზოგადოების მხარდაჭერის იმედი აქვს.

გარდა ამისა, გადაცემის მსვლელობისას „მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ხელისუფლება მოლაპარაკებების პროცესის განზრახ გაწელვაშიც დაადანაშაულა.

ინტერპრესნიუსი



## დანიაში სანდრა რულოვსის მიღება გაიმართა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კეთილი ნების ელჩის რანგში საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა, დანიაში პირველი მიღება გამართა. შეხვედრას საერთაშორისო და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სტუმრებს სანდრა ელისაბედ რულოვსმა საჩუქრად საკუთარი წიგნი „იდეალისტის ნაამბობი“ გადასცა.

— მაქვს დიდი პასუხისმგებლობა და დიდი იმედი, რომ დაკისრებულ მოვალეობას კარგად შევასრულებ, — აღნიშნა სანდრა რულოვსმა.

კეთილი ნების ელჩად საქართველოს პირველი ლედი მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოპენჰაგენში ოფიციალურად დაასახელა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც კეთილი ნების ელჩი პირველი ლედი ხდება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია კეთილი ნების ელჩად ცნობილ და განსაკუთრებული ავტორიტეტის მქონე ადამიანებს ირჩევს.

მედიანიუსი

## დოკუ უმაროვის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაცია არ დასტურდება

ინგუშეთის მეთაურის იუნუს ბეკ ევკუროვის ინფორნაციით, ინგუშეთში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაღუპულ 16 ბოევიკს შორის უმაროვის ცხედარი არ აღმოჩნდა.

ევკუროვის განცხადებით, დაღუპულ ბოევიკებს შორის აღმოაჩინეს უმაროვის მარჯვენა ხელის და ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების იდეოლოგის აბუსუპიანის ცხედარი.

მედიანიუსი

# სააკაშვილს მოპარულ ფულებს უკან მოვატანინებთ!

თეა მარხვაი ე



**გუშინ პარლამენტის წინაშე ტკბილი და მურაბა მთავრობა წარდგა. დეპუტატები ნიკა გილაურის დასაცავად გულისფანცქალით ემზადებოდნენ. საპარლამენტო ოპოზიცია კი მინისტრების გამანადგურებელი დოკუმენტების აფრიალებით იმუქრებოდა.**

**ვიდრე სხდომათა დარბაზში დეპუტატები მიკროფონებს ბრდღვინს აადენდნენ, პარლამენტს გარედან მომიტინგეთა რაზმი მიადგა. აქცია კონსერვატორების და ხალხის პარტიის მიერ იყო ორგანიზებული.**

ეს პარტიები უკვე კარგა ხანია აქციებს მართავენ. პარტიის ლიდერები ლაშა ჩხარტიშვილი და ალეკო შალამბერიძე ხან დევნილების, ხან გარემოვაჭრეების, ხან ექიმების, ხანაც კიდევ უსინათლოების უფლებებს იცავენ.

თებერვლიდან მოყოლებული ჩხარტიშვილ-შალამბერიძის დუეტი პარლამენტს შეეჩვია. ისინი ორ კვირაში ერთხელ მაინც მართავენ ხოლმე აქ აქციებს. პირველად ამ ტიპის აქცია პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის დროს გამართეს. მაშინ მათ საზოგადოებას სთხოვეს მისულიყვნენ და პრეზიდენტისთვის ბრალდებები წაეყენებინათ. აქციას ასეთი სახელი ერქვა „ერთი ადამიანი, ერთი ბრალდება“.



ოპოზიციონერების გათვლით იმ დღეს აქციაზე ბევრი ადამიანი უნდა მისულიყო. ხალხი ძალიან ცოტა მივიდა. ყველამ ფურცელზე დაწერა თავისი ბრალდება. ეს ფურცლები ოპოზიციამ კარგად შეინახა. დაიბარეს, როცა საჭირო გახდება, გამოვიყენებთო.

ამის შემდეგ, ცოტა ხნით, პარლამენტს მოეშვნენ და კობა სუბელიანს გაუშრეს სისხლი. არანაკლებ შავ დღეს აყრიდნენ ისინი გიგი უგულავასაც. ამ აქციების გამო მერი და მინისტრი შეშინებული იყვნენო ვერ ვიტყვით, მაგრამ შელონებით კი მართლაც შელონდნენ.

მათდა ბედად, პარლამენტში სამთავრობო კვირეული დაიწყო. ეს გაურკვეველი დანიშნულების ღონისძიება ყურადღების მიღმა არც ჩხარტიშვილი-შალამბერიძის ტანდემს დაუტოვებია.

ისინი პარლამენტში მისულ მინისტრებს აქციებით ხვდებოდნენ. აქცია სამთავრობო კვირეულის დასკვნით ღონისძიებასაც მიუძღვნეს. აქციაში დევნილები, უსინათლოები, გარემოვაჭრეები, უსახალკაროები, ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა მშობლები მონაწილეობდნენ.

აქცია პარლამენტის მთავარ შესასვლელთან გაიმართა. ღონისძიება მრავალრიცხოვანი არ ყოფილა. ამის მიუხედავად, სხდომაზე მიმავალ დეპუტატებს შესვლაში ხელი ეშლებოდათ. ამის გამო ისინი ჩუმ პროტესტს გამოთქვამდნენ. პასუხად კი ქალების წყევლას იღებდნენ.

— თქვენ არ გაიხარეთ და თქვენ ჩავარდით ჩვენ დღეში, — ასე დაულოცეს ქალებმა გზა რამდენიმე დეპუტატს.

მინისტრების მისამართით კი წყევლა-კრულვა „ნონსტოპის“ რეჟიმში მიმდინარეობდა.

იქ ერთი ინციდენტიც მოხდა. ერთ მანდილოსანს არადეპუტატი შემოეწყევლა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი დეპუტატების უმრავლესობას ხალხი არ სცნობს და რა გასაკვირია, რომ პარლამენტიდან გამოსული ჩასუქებული კაცი კანონმდებელი ეგონათ.

— შენ არ გაიხარე, — ასე მიაწყევლა შენობიდან გამოსული კაცი შავებში ჩაცმულმა მანდილოსანმა.

— რას მერჩი, ქალბატონო? — გაიკვირვა დეპუტატივით ჩასუქებულმა კაცმა.

— რას გერჩი კი არა... ზვიად გამსახურდია იმისთვის იბრძოდა, რომ საქართველოს ასეთი პარლამენტი ჰყოლოდა? შენ რა გინდა დეპუტატად? — დაჰკიოდა ქალი მამაკაცს.

— ვინ არის, ქალო, დეპუტატი, — შეიცხადა მამაკაცმა.

— უი, დეპუტატი არ ყოფილა. ბოდიში, ბოდიში, — მიაძახა ქალმა და უცებ ნამდვილი დეპუტატი დაინახა, რომელიც დაუზოგავად დაწყევლა.

ამასობაში აქციაც დაიწყო. ლაშა ჩხარტიშვილმა ხელისუფლება კიდევ ერთხელ გააკრიტიკა. მან მთავრობას ქართველი ხალხის გენოციდის მოწყობაში დასდო ბრალი. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა აღარ ჰყავს.

— ეს მთავრობა არ არის საქართველოსი. ეს არის სააკაშვილის მთავრობა. საქართველოს მთავრობა აღარ ჰყავს, — განაცხადა ჩხარტიშვილმა.

მან ხელისუფლების წარმომადგენლებს საკმაოდ მძიმე ბრალდებები წაუყენა. ჩხარტიშვილის განცხადებით, სააკაშვილს უნდა, რომ მთელი ქვეყანა თავის კერძო საკუთრებად აქციოს.

ღონისძიებაზე დაგვიანებით გამოჩნდა ადა მარშანია. მას აქციის მონაწილეთა სიმცირე არ მოეწონა. განსაკუთრებით დევნილთა სიმცირემ აღაშფოთა.

— სად არიან დევნილები? — იკითხა ადა მარშანიამ. კითხვაზე პასუხი ვერავისგან მიიღო. ამით აღშფოთებულმა საგანგებო განცხადებაც გააკეთა.

— მე მივმართავ დევნილებს, მოვუწოდებ, მონაწილეობა მიიღონ საპროტესტო აქციებში. მე არ მინდა დავიჯერო, რომ დევნილებო, სააკაშვილის მონებად იქეცით. არ მინდა დავიჯერო, რომ თქვენ სეირს უყურებთ. თქვენ მართლაც სეირს უყურებთ. ყურადღებით აკვირდებით, რა მოხდება აქ. თუ ჩვენ თავებს გაგვიტეხავენ. ხმასაც არ ამოიღებთ. თქვენ ხომ გადარჩებით. ხოლო თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, მაშინვე მოვარდებით და თქვენი პრობლემების მოგვარებას მოგვთხოვთ. ასე არ გამოვა, — განაცხადა აღშფოთებულმა მარშანიამ.

მან დევნილებს გუშინ კიდევ ერთხელ მიმართა და ულტიმატუმიც წაუყენა. ადა მარშანია დევნილებს ურჩევს, მასთან ახლოსაც კი არ მივიდნენ.

— მე უკვე მრავალი წელია ვიბრძვი თქვენი უფლებების დასაცავად. ყოველთვის ვცდილობდი დამეცავით თქვენ ხელისუფლების უსამართლობისაგან. თქვენ, როგორც ჩანს, გინდათ, რომ სხვამ გააკეთოს თქვენი გასაკეთებელი. რაკი ასეა, მოგმართავთ ყველას, რომ ჩემს ახლოს არავინ მოხვიდეთ. ჩემს სიახლოვეს არც ერთი დევნილი აღარ დავინახო, — განაცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა.

მას ვერ წარმოუდგენია თუ როგორ სხედან დევნილები სახლში, როცა ასეთი ამბები ხდება საქართველოში და მის გარეთ.

— რა გემართებათ, ხალხო, რა გული გასვენებთ სახლში, როცა აფხაზეთს მთლიანად გვართმევენ. ხელისუფლებას აფხაზეთი რომ არ ადარდებს, გასაგებია, მაგრამ თქვენ რა გემართებათ. არ იცით, რომ რუსეთი ოფიციალურად ეპატრონება ჩვენს აფხაზეთს. გაგრის უდიდესი ნაწილი მიაქვთ. თუ თქვენ ამაზე ხმას არ ამოიღებთ, მაშინ ღირსები ყოფილხართ, აფხაზეთიდან რომ გამოგყარეს, — აღშფოთებას ვერ მალავდა მარშანია.

მას დევნილების იმედი არა აქვს, მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას მაინც აპირებს. თავისი ახალი გადაწყვეტილება გუშინ გაახმოვანა.

— მე თქვენ ახლოს არ გაგიკარებთ და მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამერიდან მარტო ვიბრძოლებ. ბოლო 22 წელია, რაც ისედაც მარტო ვიბრძვი. ჩემი პირველი სამიზნე იქნება კობა სუბელიანი. ამ ჯალათის ცინიკურ გამოსვლებს მთელი დევნილები უნდა გამოეყვანა ქუჩაში. თქვენ სახლში ჯდომა არჩიეთ. მე არ ვაპირებ კობა სუბელიანის მოსვენებას. მე გადავდივარ აქტიურ მოქმედებებზე, — განაცხადა ადა მარშანიამ.

მარშანიას ემოციური გამოსვლის შემდეგ ალეკო შალამბერიძის ჯერიც დადგა, რომლის გარეშე ხალხს მიტინგი ისე ველარ წარმოუდგენია, როგორც ახალი წელი თოვლის პაპის გარეშე.

ხალხის პარტიის წარმომადგენლმა ხელისუფლება ადამიანის უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. მან სააკაშვილს ის არაადამიანური პოლიტიკა დაუგმო. რომედსაც ის საზოგადოების ყველა ფენის მიმართ ახორციელებს.

აქციაზე ბევრს საუბრობდნენ, რომ ყველაფერს სახელისუფლებო კლანები დაეპატრონენ. ამის გამო კი ხალხს ნორმალურად სუნთქვაც კი აღარ შეუძლია. შალამბერიძის თქმით, ხელისუფლებას ეს არ შერჩება.

— ჩვენ ყველანი ვხედავთ, რა მდგომარეობაა დღეს ჩრდილოეთ აფრიკაში. დიქტატორ კადაფს მითვისებული აქვს ხალხის ქონება. ეს ფული მას გაუყინეს. ხალხისთვის წართმეული ქონება არც ამათ შერჩებათ. სააკაშვილს ხალხისთვის მოპარულ ქონებას უკან მოვატანინებთ, — დადო პირობა შალამბერიძემ.

აქციაზე სიტყვით კიდევ ბევრი ადამიანი გამოვიდა. უსინათლოებმა რევაზ მაისურაძეს სერიოზული ბრალდებები წაუყენეს.

— მაისურაძე ამბობს, რომ მერაბიშვილის მამიდაშვილია. გვემუქრება, რომ სანამ ვანო ადგილზეა, მას ვერავინ შეეხება. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა ის შს მინისტრის ნათესავი. ჩვენ ვიცით, რომ ის უსინათლოების ქონებას ყიდის, — აცხადებენ უსინათლოები.

# ზოგი მინისტრი სცენას დაუბრუნდეს, ზოგი — არასამთავრობოს, ზოგმა ცოდვები მოინანიოს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მაჭავარიანმა დაუწუნა. მაჭავარიანის ოპოზიციის დებატებს სკოლის გამოცდის პირველ ტესტად აფასებს.

— დებატები შედგა, მაგრამ ყველაზე მთავარი იყო, რომ შეძლებდა თუ არა ოპოზიცია, წარმოედგინა პროგრამა, რომელიც უფრო გასაგები, მისაღები, საქმიანი და რეალური იქნებოდა ქვეყნისთვის ამ რთული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. შეძლებდა თუ არა ოპოზიცია, უფრო კვალიფიციურად ესაუბრა ყველა იმ საკითხზე, რაც მოქალაქეებს უჭირთ, — განაცხადა მაჭავარიანმა. მას აქვს განცდა, რომ ოპოზიციამ ასეთი კომპეტენცია ვერ აჩვენა და ჩააბარა სკოლის გამოცდის მხოლოდ პირველი ტესტი.



— მათ შეძლეს საუბარი მხოლოდ პრობლემებზე, არანაირი გზა, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ჩვენი თანამოქალქეები პრობლემებს, არ დაგვინახავს. გზა, რომელსაც ოპოზიცია სთავაზობთ, არის ლაპარაკი და არანაირი საქმე, გზა კი რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ, ეს არის საქმე ლაპარაკის ნაცვლად. ქაღალდი ბევრს აიტანს, ამ დარბაზშიც ბევრი რამ მომისმენია, მიკროფონებსაც ბევრი რამ აუტანიათ და კიდევ აიტანენ, — გაცნახადა მაჭავარიანმა.



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი დარწმუნებულია, რომ ზოგიერთს საქართველოში კრიმინალური პერიოდის დაბრუნება სურს. კუბლაშვილმა ხაზგასმით თქვა, რომ საქართველო ამ სამყაროს აღარასდროს დაუბრუნდება. პავლე კუბლაშვილმა ისიც დაამატა, რომ ვარდების რევოლუციამდე საქართველოში 5000 მხოლოდ კრიმინალური ავტორიტეტი იყო და გაუგებარია, რატომ უნდა გამოუშვან ეს ხალხი ახლა გარეთ.



საკმაოდ კრიტიკული იყო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის გამოსვლა. მან მთავრობას „დეფექტური“ უწოდა. ჩვენ გვყავს არა ეფექტური, არამედ დეფექტური მთავრობა, — ასე შეაფასა თარგამაძემ მთავრობის საქმიანობა და მისი სრული შემადგენლობით გადადგომა მოითხოვა.

უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა ოპოზიციის გამოსვლებიდან სამი „მარგალიტი“ აღმოაჩინა: არაკომპეტენტურობის ნიმუში, ტყუილი და ჩამჭრელი კითხვები.

უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გოკა გაბაშვილმა ზოგიერთ ოპონენტს ასე მიმართა: „უსინდისობასაც აქვს საზღვარი“. გაბაშვილი იმ ოპოზიციონერების განცხადებამ გააღიზიანა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლება სეპარატისტების მსგავსად ექცევა დევნილებს. — უზნეობის და ამორალობის ყველაზე მაღალი მწვერვალი რასაც ადგილი ჰქონდა, არავინ არ უნდა იკადროს, — აღნიშნა გოკა გაბაშვილმა.

გაბაშვილს დებატებისას ოპოზიციისგან გადაჭარბებული მოლოდინი არ ჰქონია, რადგან ოპოზიციის სტრატეგია დადის მარტივ ტაქტიკურ სვლებზე — ნებისმიერ მომენტში გააკრიტიკონ ყველაფერი ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს.

გოკა გაბაშვილის თქმით, მართალია ოპოზიცია ამბობს, რომ ისინი ვერ იქნებიან ხელისუფლების თანამოაზრეები, მაგრამ ვერც ხელისუფლება იქნება მათი თანამოაზრე, ოპოზიციის იმ ნაწილისა, რომლებიც ხმას არ აძლევდნენ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ კანონს და მხარს უჭერდნენ რეკეტს ქუჩის აქციებით — ე.წ. ჯღანას რევოლუციის თეორიას.

უმრავლესობას ვალში არც უმცირესობა დარჩა. ეპითეტები და ლიტერატურული პასაჟები არც მათ გამორჩენიათ. გიორგი თარგამაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ექპერიმენტმა სახელწოდებით „საქართველოს ეკონომიკური რეფორმა“ სრული კრახი განიცადა.

— პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა და მისმა ეკონომიკურმა გუნდმა ქვეყანა ძალიან ღრმა ეკონომიკურ კრიზისში შეიყვანა — უმუშევრობა მატულობს, ფასები კატასტროფულად იზრდება, ინფლაციამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა, — განაცხადა გიორგი თარგმაძემ.

ვინ არის ახლა გოიმი? ეს შეკითხვა უმცირესობის ლიდერმა დასვა და პასუხი თავადვე გასცა. თარგამაძე მთავრობას სოფლის მეურნეობის სფეროში კრიზისის შექმნაში ადანაშაულებს და მმართველ გუნდს გასულ წლებს ახსენებს, როცა მათი მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების თაობაზე ოპოზიციის შეთავაზებები „ჩამორჩენილობად“ და „გოიმობად“ ფასდებოდა.

— ახლა ვინ არის გოიმი და დროის განზომილებაში აცდენილი პოლიტიკური ძალა?! ჩვენ თუ თქვენ — აგრარული მთავრობა, რომელიც ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის შვიდი წლის თავზე მიხვდით, რომ თურმე ქვეყნისათვის ამ მთავარ დარგს განვითარება სჭირდება? — იკითხა უმცირესობის ლიდერმა.

— საქართველოს მართავს ხელისუფლება, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე გვიან გაიგო, რომ თურმე ინდოელებმა და ჩინელებმა ხორბლის პროდუქციის მირთმევა დაიწყო. ეს თქვენ გაიგეთ მაშინ, როცა ამ ხორბლის პროდუქციამ ჩინელების არა პირს, არამედ უკვე მოსანელებელ ტრაქტს მიაღწია. მანამდე ვერ მიხვდით და ვერც ვერანაირი პრევენციული ღონისძიება გაატარეთ, — მიმართა თარგამაძემ მთავრობას.

ერთკვირიანი დებატების ბოლოს, ნიკა გილაურმა არა მარტო დაიცვა საკუთარი მინისტრები, არამედ მათ მიერ გატარებული რეფორმებიც შეაქო. პრემიერმა ოპოზიციის გამოსვლებში ალტერნატიული გეგმა ვერ დაინახა. ნიკა გილაურმა მთავრობის 10-პუნქტიან გეგმაზე კვლავ მიუთითა და აღნიშნა, რომ ქვეყანა ეკონომიკური კრიზისიდან და რეცესიიდან გამოსულია.

ნიკა გილაური ამბობს, რომ ეკონომიკური მდგომარეობა კმაყოფილების საშუალებას არ აძლევს, რადგან რთული პერიოდია როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად. — იმედი მქონდა ოპონენტები ალტერნატიულ გეგმას წარმოადგენდნენ, ვერანაირი ალტერნატიული ალტერნატივა სამწუხაროდ, ვერ მოვისმინე, — აღნიშნა გილაურმა.

პრემიერმა ოპოზიციას დევნილებთან დაკავშირებითაც უპასუხა, გილაურის შეფასებით, 17 წლის განმავლობაში დევნილთა საცხოვრებელ სახლებზე და ფართის თემაზე არავინ არ საუბრობდა, ეს ადამიანები საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 2 წლის განმავლობაში შევძელით ის, რაც აქამდე ვერავინ ვერ შეძლო, — აღნიშნა გილაურმა და დაამატა, რომ 27 ათასი ოჯახი დაკმაყოფილებულია, ზოგმა კომპენსაცია მიიღო, ზოგს — ბინა დაუკანონდა, ზოგს ბინა — შეუძინეს. — რა თქმა უნდა, ხარვეზები იქნება, პრობლემებს არ უარვყოფ. მაგრამ ტყუილი მაგალითების მოყვანა ცუდია და არა მგონია ვინმეს გამოადგეს, — უთხრა პრემიერმა ოპოზიციას.

# „მარშრუტკით“ მგზავრობა 1 ლარი ხდება

ნათია ხურცილავა

საქართველოს გზის თავმჯდომარემ კახა სეთურიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე საქართველოს გზის თავმჯდომარემ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირებაზე ისაუბრა.

1 აპრილიდან კახა სეთურიძის განცხადებით, სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა ერთ ლარამდე გაძვირდება. აღნიშნული ინფორმაცია სამარშრუტო ტაქსებზე იყო გამოკრული.

სეთურიძე აცხადებს, რომ მგზავრებმა მგზავრობის გაძვირების შესახებ ინფორმაცია მიიღეს. მიზეზად კი საწვავის ფასის ზრდა დასახელდა.

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ახალი სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა ერთი ლარი გახდება. ქალაქის მერმა მორიგი ტყუილი თქვა, როდესაც განაცხადა, რომ მგზავრობის ფასი არ გაიზრდებოდა. დღეს სამარშრუტო ტენდერში გამარჯვებული კომპანია მგზავრობის გაძვირების მიზეზად საწვავის ფასის ზრდას ასახელებს, რეალურად კი საწვავის სფეროში არსებული მონოპოლისტების და ამ კომპანიის უკან ხელისუფლების მაღალჩინოსნები დგანან. საქმე გვაქვს ფარულ გარიგებასთან, — განაცხადა პრესკონფერენციაზე კახა სეთურიძემ.

სეთურიძე აცხადებს, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს ხელისუფლება სასათბურე პირობებს უქმნის და მონოპოლიას უწყობს ხელს აღნიშნულ ბაზარზე.

— ხელისუფლება ცდილობს შექმნას ყველა პირობა ამ კომპანიებისთვის მონოპოლური კომფორტის შესაქმნელად, — განაცხადა საქართველოს გზის ლიდერმა.

სეთურიძე აცხადებს, რომ საზოგადოების პროტესტის გამო ხელისუფლებამ პირდაპირი გზით მგზავრობის ფასის გაზრდაზე უარი თქვა და ახლა საფასურის გაძვირებას ირიბი გზით ცდილობენ.

რამდენად დაიცავს ქალაქის მერი დადებულ პირობას, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის ღირებულება არ გაიზრდება, უცნობია. თუმცა, ფაქტია, რომ ოპოზიციური პარტიები უკვე საუბრობენ, რომ მგზავრობის ღირებულების გაძვირება რეალურია.

სეთურიძე აცხადებს, რომ დასახელებული მიზეზი, საწვავის გაძვირება, არ არის რეალური მიზეზი.

— ნახეთ ქალაქის ბენზოგასამართი სადგურები, ყველგან ფაქტიურად ერთი და იგივე ფასი აქვს საწვავს. არავინ არ იცის, როგორ ხდება ამ ფასების გამოყენება და რატომ არის დიზელის საწვავი ბენზინზე ძვირი. დიზელის ბაზარზე შექმნილი სიტუაციაა ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იმისა, რაც დღეს სამარშრუტო ბიზნესში ხდება, — განაცხადა საქართველოს გზის ლიდერმა კახა სეთურიძემ.













# ეროვნული საბჭო ებრაელი ბიზნესმენების გათავისუფლებას ითხოვს

ნათია ხურცილავა



**ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტი დიდი ხანია სკანდალის მიზეზი გახდა. სკანდალის მიზეზი გახდა არა მხოლოდ საქართველო-ისრაელის ურთიერთობებში, არამედ საერთაშორისო საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, ამ ფაქტისთვის არ წაუყრუებია.**

**ებრაელი ბიზნესმენების მოტყუებით ჩამოყვანა საქართველოში, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბრალდება. ამბობენ, რომ სწორედ ნიკა გილაურმა მოიწვია ისინი თბილისში და ერთ-ერთ რესტორანში მიღებაც გაუმართა, რის შემდეგაც აყვანილ იქნენ ებრაელი ბიზნესმენები.**

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების ფაქტი გახდა მიზეზი ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების, შეიძლება ითქვას, ჩიხში მოქცევის.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს ისრაელში დაგეგმილ ვიზიტზე ისრაელის სახელმწიფომ უარი უთხრა. მართალია ოფიციალურ მიზეზად ისრაელის საელჩომ საქართველოს საგარე უწყებას ქნესეთის გადატვირთული გრაფიკი და მინისტრებთან დებატები დაუსახელა, თუმცა, ებრაულ მედიაში პირდაპირ გავრცელდა რეალური მიზეზი, რატომაც ეთქვა უარი ბაქრაძეს აღნიშნული ვიზიტით ისრაელში გამგზავრებაზე.

ებრაული მედია წერს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეორე პირს სტუმრობაზე უარი სწორედ დაკავებული ბიზნესმენების გამო ეთქვა.

ებრაული პრესა, ბიზნესმენების საქართველოში დაკავების მიზეზებზე საუბრობს და მათ განთავისუფლებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, თავის ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ საქართველოს ელჩი ისრაელში ქვეყნიდან გააძევოს. მართალია, ეს არ არის ოფიციალური ისრაელის განცხადება. თუმცა, ფაქტია, რომ ისრაელის ხელისუფლებამ საქართველოს კიდევ ერთ მაღალჩინოსანს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიასაც უთხრა უარი ქვეყანაში ვიზიტით ჩასვლაზე.

უნდა ითქვას, რომ მსგავსი დამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის, რბილად რომ ვთქვათ, ნორმალური არ არის. რას აკეთებს საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემის მოსაგვარებლად, რთული სათქმელია.

ებრაელი ბიზნესმენების საქმეს ქართული მართლმსაჯულება განიხილავს. უფრო ზუსტად კი, ბიზნესმენებს უკვე მიესაჯათ და სასჯელს იხდიან.

ებრაელი ბიზნესმენების დაკავების საკითხი არაერთხელ გახდა ქართული ოპოზიციის პროტესტის მიზეზი.

ოპოზიცია ამბობს, რომ ბიზნესმენები ხელისუფლების, კერძოდ, პრეზიდენტის პირადი პატიმრები არიან.

მათი დაკავების ფაქტი არაერთხელ გააპროტესტა „ეროვნულმა საბჭომ“.

ზვიად ძიძიგური და კობა დავითაშვილი პირადად სააკაშვილს მოუწოდებენ, რომ გაათავისუფლოს ბიზნესმენები.

კონსერვატორების ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა გუშინ გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ებრაელი ბიზნესმენების დაკავება დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო ხელისუფლების მხრიდან.

„ეროვნული საბჭოს“ ლიდერები ზეევ ფრენკელისა და რონი ფუქსის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას მოითხოვენ.

როგორც ზვიად ძიძიგურმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში მოტყუებით ჩამოყვანა და მათი უკანონოდ დაპატიმრება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ დაშვებული დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო, რაც მნიშვნელოვნად შელახავს ქვეყნის დიპლომატიურ იმიჯს.

ძიძიგური აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტი საკმაოდ მწვავე პრობლემებს შექმნის მომავალში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ქვეყანაში.

როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? მიიღებს თუ არა ხელისუფლება ჩვენი ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას და გაათავისუფლებს თუ არა დაკავებულებს?

ძიძიგური აცხადებს, რომ ეს სააკაშვილის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. მიიღებს თუ არა პრეზიდენტი გადაწყვეტილებას ჩვენი ქვეყნისთვის, მისი დიპლომატიური იმიჯისთვის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის სასარგებლო გადაწყვეტილებას.

— საკმაოდ მწვავე პრობლემებს შექმნის მომავალში უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით და გაართულებს ურთიერთობებს მსოფლიო ფინანსურ წრეებთან, — აცხადებს კონსერვატორების ლიდერი.

ძიძიგური აცხადებს, რომ ეს იყო პრეზიდენტის მიერ დაშვებული პოლიტიკური შეცდომა, რაც სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საერთაშორისო სკანდალი გარანტირებული აქვს ჩვენ ქვეყანას.

— დაშვებული პოლიტიკური შეცდომა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, ვიმეორებ, დაკავებული ბიზნესმენები დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ზვიად ძიძიგურმა.

ებრაელ ბიზნესმენებს, ზეევ ფრენკელს და რონი ფუქსს ბრალად სახელმწიფო მოხელისთვის ქრთამის შეთავაზება ედებათ.

ზეევ ფრენკელი და რონი ფუქსი 2010 წლის ოქტომბერში დააკავეს.

ებრაელი ბიზნესმენების განთავისუფლების მოთხოვნით, როგორც ამბობენ, პრეზიდენტ სააკაშვილს არაერთმა საერთაშორისო დონის მაღალჩინოსანმა მიმართა. ამბობენ, რომ აღნიშნული საქმით ამერიკაც არის დაინტერესებული.

ისრაელი-საქართველოს ურთიერთობები დაძაბული რომ არის, ეს ფაქტია.

ფაქტია, თბილისში გალაღების შემდეგ ისრაელში დაძაბულობა, სამწუხაროდ, ქეცბაიას შეგირდებსაც ეტყობოდათ.

# აქციების მოწყობის უფლება ყველას აქვს

## არჩევნების მოგებას და რევოლუციას ალა სჭირდება

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, ოპოზიციამ ერთი პერიოდი დადო პირობა, რომ ერთიანი გეგმით თუ არ იმოქმედებდნენ, ერთმანეთს მაინც არ დაესხმებოდნენ თავს, თუმცა, დღეს ქართულ ოპოზიციას ამას ვერ ვატყობთ...***

— თქვენ თუ ბიწაძის და გაჩეჩილაძის დაპირისპირებას გულისხმობთ, ეს დაპირისპირება რეალურად გამოჩნდა მას მერე, რაც ის სტატიები გამოქვეყნდა ასავალ- დასავალში და ეს დაპირისპირება მე მგონი არ შეცვლილა, ისევ ისეა მას მერე, რაც ეს სტატია დაიწერა.

***— უფრო გამწვავადა და ფიზიკურშიც გადაიზარდა...***

— გეთანხმებით, თუმცა, არ ვიცით, სად არის სიმართლე და სად — ტყუილი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ძნელი დასადგენია, რა არის მართალი და რა ტყუილი. რა არის ამ ინფორმაციაში სიმართლე, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია. ეს ყველაფერი ძალიან ცუდია და მე იმედი მაქვს, რომ ორივეს ეყოფა გონიერება იმისთვის, რომ ეს დაპირისპირება ერთმანეთის კი არა ხელისუფლების წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

***— ამ შემთხვევაში ალბათ ისევ საზოგადოება ზარალდება, რადგან ნიჰილიზმი და გულგატეხილობა ხალხში მატულობს...***

— რა თქმა უნდა, ასეა და მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი ძალიან მალე უნდა შეწყდეს, თუ არსებობს. მე მაინც მგონია, რომ ყველაფერი ასე არ მომხდარა და ბევრი გადაჭარბებული ინფორმაცია გამიგია სხვადასხვა მიმართულებით და მგონია, რომ ესეც ეგეთი ოპერიდან არის.

***— ოპოზიციურ რვიანს რაც შეეხება, კეთდებოდა წინასწარ განცხადებები, რომ მათი მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან ჩიხში შევიდოდა და ასეც მოხდა, როგორია თქვენი შეფასებები ამ შემთხვევაში?***

— მეც ვფიქრობ, რომ ხელისუფლება დღეს არ არის მზად, წავიდეს იმ ძირეულ დათმობებზე, რაც შეცვლის ქვეყანაში საარჩევნო გარემოს. რამდენად იყო ტყუილი დროის კარგვა, ამას მომავალი გვაჩვენებს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება არ დათმობს არაფერს და არ არის მზად იმისთვის, რომ ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები.

***— რაც შეეხება ამ დაანონსებულ რევოლუციებს, როგორ ფიქრობთ, აყვება საზოგადოება ამ ტალღას? აპრილიც მოვიდა თითქმის და რას უნდა ველოდოთ?***

— იცით, რა არის, რევოლუციასაც და არჩევნებში გამარჯვებასაც სჭირდება ძალა, ძალა საზოგადოების, რომელი ძალაც არ ჩანს. აქეთა მხარეს დღეს რა ძალაც არსებობს, ყველაფერი მონოპოლიზებული აქვს ხელისუფლებას. მთელი ძალის მატარებელი დღეს არის ხელისუფლება. ჯერჯერობით არ მაქვს იმედი, რომ რაიმე სერიოზული ტალღა აგორდეს, თუმცა, ყველაფერი შეიძლება შეიცვალოს, ვნახოთ, რა იქნება.

***— ქალბატონო ნანა, ამ რამდენიმე დღის წინ პოლიციამ პატიმრების სოლიდარობის მიზნით გამართული აქცია დაარბია. თქვენ როგორ ფიქრობთ, ამ კუთხით ხელისუფლება არის რაიმე ცვლილებებზე და დათმობებზე წამსვლელი?***

— ის დეკლარირებული უფლებები, რომ ადამიანს აქვს დემოკრატიულ ქვეყნებში თავისუფლად შეკრების და მანიფესტაციის უფლება, ამას ჩვენი ხელისუფლება თავისუფლად არღვევს და ამისთვის არავინ არ ისჯება, სამწუხაროდ. ზუსტად ასეთი შემთხვევა იყო აქციაზე, რომელზედაც თქვენ მეკითხებით. დღეს უმძიმესი მდგომარეობაა ციხეებში. ყოველდღე არის ინფორმაციები ცემის წამების გარდაცვალების და დასჯა არავისი არ ხდება, სამწუხაროდ.

***— იმატა ასეთმა ფაქტებმა?***

— იმატა, რა თქმა უნდა, ჩვენდა სამწუხაროდ და სულ უფრო და უფრო მძიმდება სიტუაცია. პატიმრების რიცხვის ზრდასთან ერთად გარდაცვლილთა რიცხვიც მატულობს და მათი განთავსების პირობებიც კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება.

***— თუ გამოიღებს შედეგს საზოგადოების ამ კუთხით გააქტიურება?***

— გამოიღებს რა თქმა უნდა, თუკი ამას საზოგადოება გაითავისებს და მიხვდება, რომ სხვა დაჩაგრული ჯგუფების მიმართ სოლიდარობა — ეს საკუთარი უფლებების დაცვაც არის უპირველეს ყოვლისა. რა თქმა უნდა, ეს აქციები მიიღებს მასშტაბურ ხასიათს და ერთადერთი ზემოქმედების ბერკეტი, რაც ხელისუფლებაზე დღეს არის, საზოგადოების სერიოზული ძალისხმევა.

***— მონიტორინგის ჯგუფების დაშვებას ითხოვენ და რამდენად დაუშვებს ამას ხელისუფლება, რომ ციხეებში მონიტორინგის ჯგუფები შეუშვან?***

— დღეს ხელისუფლებას არ აწყობს კონტროლი და თვალყურის დევნება საზოგადოების მხრიდან, მაგრამ ეს არის საზოგადოების უფლება, რომ იცოდეს, რაში როგორ ხარჯავს ხელისუფლება მის ფულს და როგორ ექცევა ადამიანებს, ეს ყველაფერი გააკონტროლოს. ხელისუფლებას ასევე მოუწევს, რომ გახსნას ციხეები.

***— რაც შეეხება საპროტესტო აქციებს, ხშირად კეთდება შეფასებები, რომ დღეს ქვეყანაში არეულობა ხელისუფლებას აწყობს, ხელს მოითბობს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავსო...***

— ვადამდელი არჩევნების დანიშვნა თუ უნდა სააკაშვილს, ისედაც დანიშნავს და ამაში მას ხელს ვერავინ და ვერაფერი შეუშლის. რაც შეეხება აქციებს, თუ ეს იქნება გონივრულად დაგეგმილი და წარმართული და მოთხოვნებიც, რომელიც იქნება დაყენებული, იქნება სწორი და ადეკვატური, მაშინ მოიგებს საზოგადოება. ხოლო თუ იქნა შეცდომები დაშვებული, ბუნებრივია, შეცდომების დაშვების შემთხვევაში ხელისუფლება გაიმარჯვებს.

***— ხელისუფლებაში ახალი გეგმები მუშავდება და სააკაშვილს პარლამენტის თავმჯდომარედ გაუშვებენო...***

— მე მგონია, რომ სააკაშვილის ბედი უკვე დასავლეთშიც გადაწყვეტილია.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— იმის, რომ მისი კიდევ თანამდებობაზე, თუნდაც სხვა სახელწოდებით დარჩენა, ალბათ, გამორიცხულია. თუმცა, არ ვფიქრობ, რომ მისი გუნდი არ ცდილობს ისევ ხელმეორედ დარჩეს ხელისუფლებაში. მე ამ შემთხვევაში პერსონალურად სააკაშვილს ვგულისხმობ. არსებობს ვერსიები, რომ გუნდში სააკაშვილის შემცვლელს ეძებენ და მე ვფიქრობ, რომ ეს საუბრები საფუძვლიანია. გამოჩნდა რაღაც ნიშნები, იქ ლევან რამიშვილმა შექმნა რაღაც კოალიცია, იქ გიგა ბოკერია რაღაცას აქტიურობს.

***— საუბარია იმაზე, რომ ოპოზიციასაც გამოიყენებენ ამაშიო...***

— ეს უკვე ამ ოპოზიციის სინდისზე იქნება, რამდენად გაერევა ამ ყველაფერში და რამდენად ჩათვლის საჭიროდ ითანამშრომლოს ხელისუფლების დანარჩენ ნაწილთან. თუ ის ამას გააკეთებს, ის ძალიან ღიად და საჯაროდ, როგორც ოპოზიცია, წაიშლება საზოგადოების თვალთახედვიდან. მე იმედი მაქვს, რომ საზოგადოება ამას არ დაიჯერებს და კიდევ ერთხელ აღარ მოტყუვდება.

***— დაიწყება გაზაფხულზე ახალი პროცესები?***

— პროცესები აუცილებლად დაიწყება, თუმცა, რამდენად შედეგიანი იქნება, ეს არ ვიცი.

# ებრაელი ბიზნესმენების საქმეზე განაჩენის გამოცხადება 1 აპრილამდე გადაიდო

საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების: რონი ფუქსისა და რეევ ფრენკელის საქმესთან დაკავშირებით განაჩენის გამოცხადება, მოსამართლე ვაჟა ხუხაშვილის ავადმყოფობის გამო, 1 აპრილამდე გადაიდო.

როგორც გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწემ აღნიშნა, ავადმყოფობის გამო ხუხაშვილმა დღეს სასამართლოში მისვლა ვერ შეძლო.

როგორც ცნობილია, ებრაელი ბიზნესმენების განაჩენი დღეს უნდა გამოცხადებულიყო.

შეგახსენებთ, რომ ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი შარშან 15 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილისთვის 7 მილიონის დოლარის ქრთამის მიცემის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

როგორც ბრალდების მხარე აცხადებს, ქრთამს ბიზნესმენები იმის სანაცვლოდ იხდიდნენ, რომ საქართველოს მთავრობას არ გაესაჩივრებინა საერთაშორისო არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობას ებრაელი ბიზნესმენების სასარგებლოდ 100 მილიონი ლარის გადახდა დაეკისრა.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ხელისუფლებამ ფუქსისა და ფრენკელის კომპანიებს საქართველოში ნავთობის მოპოვების ლიცენზია უკანონოდ შეუწყვიტა.

**მედიანიუსი**

# ვეჯინში სიძემ სიმამრი ნაჯახით მოკლა

მკვლელობა მოხდა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში. 28 წლის ზვიად სიბაშვილმა სიმამრი, 43 წლის ვანო ბერუაშვილი ნაჯახით მოკლა და შემდეგ პოლიციას თავად ჩაბარდა, — აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

ჭრილობა გარდაცვლილს თავის არეში 4 ჯერ ჰქონდა მიყენებული. მეზობლების თქმით, სიძე-სიმამრს შორის ჩხუბი ხშირად ხდებოდა, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სიმამრი სიძეს საკუთარი სახლიდან აგდებდა და ხშირად სცემდა კიდეც. მკვლელობაც, სავარაუდოდ, მათ შორის დაპირისპირების შემდეგ მოხდა.

მკვლელობის ერთადერთი მოწმე — სიდედრი მომხდარის შემდეგ სოფლიდან წავიდა და მისი ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიებას გურჯაანის პოლიცია აწარმოებს.

**მედიანიუსი**

# მოსკოვსა და სოხუმს შორის შავმა კატამ გადაირბინა



გერა მამულაშვილი

მოსკოვში, რუსეთსა და აფხაზეთს შორის „სახელმწიფო საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციაზე“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. გავრცელებული ინფორმაციით, კრემლი მარიონეტებს 160 კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის წართმევას უპირებს. ამ მცდელობამ სოხუმში დიდი უამაყოფილება გამოიწვია. ე.წ. მოლაპარაკებების ლეგიტიმურობას ოფიციალური თბილისიც არ აღიარებს.

ამ თემას რადიო „თავისუფლებამ“ სტატია მიუძღვნა. — მოსკოვის მოლაპარაკებებზე აფხაზური მხარე ეწინააღმდეგება რუსეთის სურვილს, გადაეცეს მას გაგრის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც რიწის ტბას ესაზღვრება. ამ ტერიტორიის ნაწილი, მდინარე ფსოუსთან მდებარე სოფელი აიბღა, რომელიც ყოველთვის რუსეთსა და საქართველოს შორის საზღვარს წარმოადგენდა, საბჭოთა დროს ორ ნაწილად იყო გაყოფილი.

ზოგიერთი აფხაზი დამკვირვებლის აზრით, სწორედ ეს წარმოადგენს ფორმალურ საფუძველს რუსული პრეტენზიებისთვის, — წერს თავისუფლება.

აფხაზური გაზეთის, „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორის, ინალ ხაშიგის აზრით, ეს პრეტენზიები რუსეთის და აფხაზეთის ურთიერთობებში პირველ სერიოზულ პრობლემად იქცა.

ინალ ხაშიგი: რუსეთის ამ წინადადებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დამოკიდებულებაა. პირველად სერიოზული საკითხი შიდაპოლიტიკურ კონტექსტს სცდება.

თავისუფლება: რა იურიდიული წანამძღვრები აქვს რუსეთის ამ წინადადებას?

— ჯერჯერობით ჩვენ ეს არ ვიცით. უბრალოდ ჩვენს პარლამენტში მოსკოვიდან დოკუმენტი შემოვიდა და მასში რუსულ-აფხაზური საზღვრის დემარკაციის რუსული ხედვა არის ჩამოყალიბებული. არავინ იცის, რომელი რუსული ინსტანციიდან შემოვიდა ეს დოკუმენტი პარლამენტში. ჯერჯერობით მხარეები კომენტარებისგან თავს იკავებენ. მაგრამ ვფიქრობ, რომ რუსეთი 160 კვადრატულ კილომეტრზე პრეტენზიების გამოცხადებით, რეალურად საზღვრისპირა სოფელ აიბღას წაღებას იმედოვნებს, — თვლის ინალ ხაშიგი.

— აფხაზეთში რუსეთისადმი დამოკიდებულება არცთუ ერთმნიშვნელოვანია. აქ მოსკოვის იდეალიზაციას არასოდეს ახდენდნენ, მას მარადიულ მეგობრად და დამცველად არ მიიჩნევდნენ. აფხაზეთში ბევრს ესმოდა, რომ სოხუმმა მოსკოვზე ფსონი უბრალოდ გეოგრაფიის გამო დადო. აფხაზეთში დსთ-ს სანქციებსაც ხშირად იხსენებენ, — აცხადებს თავისუფლება.

ინალ ხაშიგის აზრით, ამჟამინდელი ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთს შეიძლება საკმაოდ ძვირად დაუჯდეს:

— რუსეთმა ამ პატარა ტერიტორიაზე პრეტენზიებით შეიძლება ხაზი გადაუსვას ყველაფერ იმას, რის გამოც მას აფასებენ. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ასპექტი. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ასეთ შემთხვევაში, მისი ამჟამინდელი პრეტენზიები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აფხაზური ტერიტორიის ანექსია, რაც, ვფიქრობ, რომ რუსეთისთვის მომგებიანი არ არის.

— სხვა ყველაფერთან ერთად, რუსეთი რთულ მდგომარეობაში აყენებს აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებასაც — თავად პრეზიდენტ ბაღაფშსაც და მას, ვინც მის მემკვიდრედ იქნება გამოცხადებული?

— რა თქმა უნდა, ბაღაფში საერთოდაც ძალიან რთულ სიტუაციაშია. მისი მხრიდან ტერიტორიულ საკითხში ნებისმიერი დათმობა აფხაზეთში დესტაბილიზაციას მოიტანს და შესაძლოა, ამას პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვეს. მაგრამ თუკი ის არ დათმობს, რუსეთს ასევე შეიძლება ეწყინოს და მაშინ ბაღაფშს ასევე პრობლემები შეექმნება: აფხაზური ბიუჯეტი 70 პროცენტით რუსული დოტაციებისგან შედგება. გარეგანი კეთილდღეობა ხუხულასავით დაიშლება და ეს ასევე ვადამდელი გადადგომით დასრულდება, — ამბობს ხაშიგი.

— ამასობაში, მოსკოვის და სოხუმის ურთიერთობებში კოლიზია, თბილისის წინაშე მოულოდნელ საკითხებს აყენებს. ის, რასაც სოხუმში „აფხაზეთის ანექსიას“ უწოდებენ, აქ აღიქვამენ, როგორც საქართველოს სრულფასოვან ანექსიას, — აცხადებს რადიო თავისუფლება.

რესპუბლიკური პარტიის წევრ, ექსპერტ ივლიანე ხაინდრავას აზრით, ეს სიტუაცია არავის აკვირვებს.

— აფხაზეთი რუსეთისთვის ყოველთვის გემრიელი ლუკმა იყო. რა თქმა უნდა, საქართველოში ეს შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც თბილისს ამ სიტუაციაში არანაირი ქმედითი ბერკეტები არ გააჩნია. გარდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონისა, რომელიც ომის დასრულების შემდეგ 2008 წლის ოქტომბერში იქნა მიღებული. ეს კანონი უძრავი ქონების ნაწილში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულ ნებისმიერ გარიგებას უკანონოდ თვლის.

— ეს ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით. პოლიტიკური სიტუაციის თვალსაზრისით კი, ამ პოლემიკაში საქართველო და აფხაზეთი ერთ მხარეს იმყოფებიან.

— დიახ, აფხაზურ საზოგადოებაში ასევე პროტესტი მწიფდება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი, თუ ის გაგრძელდება, არცთუ უმტკივნეულოდ ჩაივლის. ამიტომ, შესაძლოა, აფხაზეთში მიხვდნენ, რომ „ჩრდილოეთი“ შეიძლება უფრო სახიფათო იყოს, ვიდრე „სამხრეთი“. რა თქმა უნდა, ეს უცბად და მაშინვე არ მოხდება. 2008 წლის შემდეგ აფხაზეთში წარმოქმნილი უსაფრთხოების შეგრძნება ჯერჯერობით დომინირებს, მაგრამ თანდათანობით აქცენტები შეიცვლება, — თვლის ივლიანე ხაინდრავა.

თუმცა, აფხაზი პოლიტოლოგები ირწმუნებიან, რომ „ჩრდილოეთთან“ ურთიერთობების გაუარესება, არანაირ პოზიტიურ ძვრებს არ გულისხმობს „სამხრეთთან“ მიმართებაში. სოხუმთან მთელ რიგ ერთობლივ არასამთავრობო პროექტებში მონაწილე ივლიანე ხაინდრავა ამასთან დაკავშირებით ილუზიებით არ იკვებება:

— მე მსგავსი თვალსაზრისი ასევე მომისმენია. ვფიქრობ, რომ დღეს მართლაც ასეთი სიტუაციაა. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მუდმივად ასე იქნება. მთელი აფხაზური საზოგადოების საქართველოს მხარეს მალე შემობრუნებას მე არ ველი.

— და რა უნდა გააკეთოს ამასთან დაკავშირებით თბილისმა? ხმა უნდა აღიმაღლოს აფხაზური ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად?

— თუ საქართველოს ხელისუფლებაზე ვსაუბრობთ, საეჭვოა, დღეს რაიმემ იმოქმედოს მის ხისტ პოზიციაზე აფხაზეთთან მიმართებაში. არასამთავრობო სექტორში და ანალიტიკურ წრეებში ეს პოზიცია არასწორად ითვლება. აფხაზეთის იზოლირება არ შეიძლება, როგორც ამის მიღწევას ოფიციალური ხელისუფლება ცდილობს. ის უნდა გავუხსნათ დასავლეთს და არ არის აუცილებელი ეს საქართველოს გავლით მოხდეს.

პერსპექტიულად მეჩვენება კონცეფცია, რომელიც ამჟამად დასავლეთში გამოჩნდა — „თანამშრომლობა აღიარების გარეშე“. თბილისის ხელში დარჩენილი მოკრძალებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, იქითკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რომ აფხაზეთი მთლიანად რუსეთზე დამოკიდებული არ გახდეს.

— არის თუ არა მზად სოხუმი დღეს მიიღოს თქვენი ეს მხარდაჭერა — თუნდაც ამგვარი ფორმით?

— ვფიქრობ, რომ ასეთი მზაობა არის. თუ საქართველო ამ თვალსაზრისით არსებით ბარიერებს მომხსნის, ეს აფხაზეთისთვის შეიძლება მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა გახდეს. რაც ჩემი აზრით, საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს ემსახურება.

# რესპუბლიკური პარტია 100-ზე მეტმა წევრმა დატოვა

გერა მამულაშვილი

**ბოლო დღეებში რესპუბლიკური პარტია ასზე მეტმა ადამიანმა დატოვა. მათ პარტიის აჭარის განყოფილების თავმჯდომარეს მურმან დუმბაძეს მხარი დაუჭირეს. მურმან დუმბაძე 18 მარტს პარტიიდან გარიცხეს მას შემდეგ, რაც აჭარაში მეჩეთების მშენებლობის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგის ჩატარებას შეეცადა.**

შეგახსენებთ, რომ თურქეთის მთავრობა საქართველოს ხელისუფლების მიმართ შემდეგი წინადადებით გამოვიდა: თურქული მხარე ტაოკლარჯეთის ტერიტორიაზე (ისტორიული ოლქი, რომელზეც კონტროლი საქართველომ მეთექვსმეტე საუკუნეში დაკარგა, ხოლო 1921 წელს ტაოკლარჯეთი თურქეთის შემადგენლობაში გადავიდა, „მეგობრობის და ძმობის შესახებ“ რუსეთ-თურქეთის შეთანხმების საფუძველზე) რიგი ქართული კულტურული ძეგლების რესტავრირების უფლებას მისცემს, ხოლო ქართული მხარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რამდენიმე მეჩეთის აშენების უფლებას მიანიჭებს.

— საერთაშორისო ორგანიზაციების წესდების თანახმად, სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე რელიგიური დაწესებულებების მშენებლობის მოთხოვნის უფლება არ აქვს, თუ მეორე ქვეყნის მოსახლეობა ამას არ ეთანხმება. ასეთი საკითხები მხოლოდ ამ ქვეყნის მოსახლეობამ უნდა გადაწყვიტოს. ქართველი საზოგადოება კი აქ მეჩეთების მშენებლობის წინააღმდეგია, — აცხადებს მურმან დუმბაძე.

დუმბაძის კვალდაკვალ რელიგიური მოსაზრებებით პარტია კიდევ დაახლოებით ასმა ადამიანმა დატოვა.

რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ რესპუბლიკელებს ყოველთვის „იდეოლოგიური შეუთავსებლობა ექნებათ მათთან, ვინც თვლის, რომ ადამიანი „სწორი“ აღმსარებლობის გარეშე არ შეიძლება ქართველი იყოს“.

— ჩვენ დაუშვებლად ვთვლით მგრძნობიარე რელიგიური საკითხების გადაწყვეტას ქუჩის აქციებით, ასევე მოქალაქეების გაყოფას მათი აღმსარებლობის მიხედვით. საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ყველა წევრს, რომლებსაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით პინციპულად სხვა მოსაზრება აქვს, შეუძლია შიდაპარტიულ დისკუსიებში ჩაებას და არჩევანი გააკეთოს, — აცხადებს ჟურნალისტებთან საუბრისას დავით უსუფაშვილი.

რესპუბიკური პარტიის აღმასრულებელი საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დავით ბერძენიშვილმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მთლიანობაში პარტიას საქართველოს და თურქეთს შორის მზადებაში მყოფ შეთანხმებასთან დაკავშირებით შენიშვნები აქვს.

— რესპუბლიკური პარტია თვლის, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები ძალიან მნიშვნელოვანია და ლოგიკურ შედეგამდე უნდა მივიდეს. მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ძეგლების აღდგენა ერთია, ხოლო ახალი ძეგლების მშენებლობა, ეს მეორე საქმეა. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკური პარტია შესაძლებლად არ თვლის, ამ შეთანხმების ფარგლებში ბათუმის ცენტრში ახალი შენობის აგებას, — ხაზს უსვამს დავით ბერძენიშვილი.

მეორეს მხრივ, რესპუბლიკელები თვლიან, რომ რელიგიური ხასიათის მტკივნეულმა საკითხებმა მოსახლეობას ქუჩის აქციებისკენ არ უნდა უბიძგოს.

— ბათუმში ხომ ცხოვრობენ, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, მუსლიმანები, ასევე ადამიანები აღმსარებლობის გარეშე, ამიტომ ეს საკითხები უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებების გზით და არა ქუჩის მხრიდან ზეწოლის გზით. მით უმეტეს, რომ ქუჩაში შეკრებილი 400 ადამიანიც კი არ ასახვს ამ პრობლემისადმი საქართველოს მოქალაქეთა მასობრივ მიდგომებს, — ამბობს დავით ბერძენიშვილი.

მურმან დუმბაძის წასვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ „ისტორიის გადაწერას არ აპირებენ“.

— ის ძალიან აქტიური რესპუბლიკელი იყო ბოლო ექვი წლის მანძილზე, რეგიონულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, იყო პირველი სიაში, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში და ჩვენს რიგებში მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა, — აღნიშნავს ბერძენიშვილი.

თუმცა, მისი თქმით, ბათუმის ორგანიზაციაში დაახლოებით 50 ადამიანს ასეთივე სტაჟი აქვს, მათ შორის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ირაკლი ჩავლიშვილს.

— ჩავლიშვილი რესპუბლიკური პარტიის პიონერი იყო: უკვე 1978 წელს ის იმ დროისთვის აკრძალული რესპუბლიკური პარტიის წევრი იყო. დუმბაძის წასვლა, რა თქმა უნდა, დანაკარგია, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით მე არ ვიტყოდი, რომ ეს გამოუსწორებელი ზიანია, — ამბობს დავით ბერძენიშვილი.

# ვინ დამალა ცოტნე გამსახურდიას საჩივარი



ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაურის პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციას გამსახურდიას საქმის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესახებ მომზადებული იურიდიული დოკუმენტის დამალვასა და კანონის დარღვევაში ადანაშაულებს.

როგორც „მედიანიუსს“ ქეთი ბექაურმა განუცხადა, მას პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა ვაჟა ცხვედიანმა უარი უთხრა ცოტნე გამსახურდიას სააპელაციო საჩივრის დამოწმებაზე. მისი განკარგულებით, ე.წ. სოციალურმა მუშაკმა 2 საათის განმავლობაში დამალა აღნიშნული დოკუმენტი და ვადის გაჭიანურებას ცდილობდა, რადგან გასაჩივრების ბოლო დღე იყო.

იურისტის ცნობით, დოკუმენტი მხოლოდ მას შემდეგ გამოაჩინეს, რაც ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა, რომ ისევ შიმშილობას დაიწყებდა და მომხდარ ფაქტს საერთაშორისო ორგანიზაციებს აცნობებდა.

— ჩემი იურიდიული დოკუმენტი მათ თითქმის 3 საათიანი ლოდინის შემდეგ გამომიჩინეს. პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის 16-ე მუხლის თანახმად, ციხის ადმინისტრაციას ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პარლამენტის წევრის, სასამართლოს, ევროპის სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის, ადვოკატის, პროკურორის, დეპარტამენტის და სამინისტროების სახელზე გაგზავნილი ბრალდებულის, მსჯავრდებულის მოთხოვნა და საჩივარი. აღნიშნული კანონის ნორმა სისტემატიურად ირღვევა. ცოტნე გამსახურდიასთან მიმართებაში, რომელიც დღემდე აპროტესტებს და არ ურიგდება სამკურნალო დაწესებულებაში პატიმართა მიმართ სასტიკ და არადამიანურ დამოკიდებულებას, — აცხადებს ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი.

შეგახსენებთ, რომ ცოტნე გამსახურდიას იარაღის უკანონოდ ტარებასა და ადამიანის მკვლელობის მცდელობაში, ასევე ქრთამის მიცემაში ედება ბრალი. საქალაქო სასამართლომ მას, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**მედიანიუსი**

# თურქეთში დაკავებული ქართველების ინტერესებს თურქი ადვოკატი დაიცავს

11 წლის ფირად სეზერს, რომლის მკვლელობისთვისაც თურქეთში ორი ქართველია დაკავებული, მამის მშობლიურ ქალაქში გუშინ დაკრძალეს.

სტამბულის პოლიციამ მოზარდის ქართველი დედინაცვალი და მისი დედა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ბრალდებით დააკავა.

ვიოლა და ეკატერინე ოჩხიკიძეების ინტერესებს სასამართლო პროცესზე თურქი ადვოკატი წარმოადგენს. დაკავებულები ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ თემასთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება გაკეთდა. საგარეო უწყებაში განაცხადეს, რომ სტამბულში საქართველოს საკონსულომ პოლიციისგან ოფიციალურად უკვე მიიღო შეტყობინება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ორი მოქალაქე საკმაოდ მძიმე ბრალდებით არის დაკავებული.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორი გიორგი ტაბატაძე აცხადებს, საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება თურქეთის სასამართლოს ჯერ არ მიუღია. პირველი მოსმენის შემდეგ, მეორე სასამართლო პროცესი სამი დღის ვადაში უნდა გამართულიყო, თუმცა გაურკვეველი ვადით გადაიდო. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულები თავად დაიქირავებენ ადვოკატს, მაშინ მათ თავიანთი ადვოკატი დაიცავთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უფლებებს სასამართლოში სახაზინო ადვოკატი წარმოადგენს.

საქართველოს საკონსულოს წარმომადგენლები ჯერ-ჯერობით დაკავებულ დედაშვილს არ შეხვდრიან და არც თავად ბრალდებულებს მიუმართავთ თურქეთში საქართველოს წარმომადგენლობისთვის ოფიციალური თხოვნით იმის შესახებ, რომ მოხდეს მათი მხრიდან ადვოკატის დაქირავება.

შეგახსენებთ, რომ არასრულწლოვანის მკვლელობის ბრალდებით თურქეთში საქართველოს ორი მოქალაქე გუშინ დააკავეს. მათ ბრალს 11 წლის ფირად სეზერის განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისთვის წაუყენებენ.

**მედიანიუსი**

# დევიდ პეტრიუსი ახალაიას მადლობას უხდის

ავღანეთში აშშ-ს ჯარების სარდალმა, გენერალმა დევიდ პეტრეუსმა საქართველოს თავდაცვის მინისტრ ბაჩანა ახალაიას წერილით მიმართა და ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მიერ ნიმრუზსა და ჰელმანდის პროვინციების უსაფრთხოებასა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის მადლობა გადაუხადა.

პეტრიუსის წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ქართველი ჯარისკაცების თავდადების, კარგი რეპუტაციის, სიმამაცის, სისხარტისა და პროფესიონალიზმის შესახებ ყველა სამეთაურო დონეზეა ცნობილი.

— მსურს, გამოვხატო ჩემი უდიდესი მადლიერება ნატო-ს მისიაში საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებით. 31-ე (აპრილი-ნოემბერი 2010) და 32-ე (2010 წლის ნოემბერი-დღემდე) ბატალიონებმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს ნიმრუზსა და ჰელმანდის პროვინციების უსაფრთხოებასა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. თქვენი საჯარისო შენაერთები წარმატებით თანამშრომლობდნენ ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან და ადგილობრივ სამთავრობო ლიდე-



რებთან. უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარების თვალსაზრისით მათ ერთობლივად განახორციელეს უამრავი ინიციატივები და ოპერაციები უსაფრთხოებისა და სტაბილურობის თვალსაზრისით. ავღანელი ხალხის მიმართ თქვენი ჯარისკაცების დამოკიდებულებამ ხელი შეუწყო ავღანეთის ისლამისტური რესპუბლიკის მთავრობისადმი ნდობის გაზრდასა და განმტკიცებას. მაგალითისთვის შემიძლია აღვნიშნო, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი ოპერირებენ მუსა ქალეჰის სამხრეთ ნაწილში, დღეს უკვე ქვეითები პატრულირებენ. თქვენი ჯარისკაცები ნამდვილად გამოირჩევიან თავიანთი სიმამაცითა და გამბედაობით. ამ ყოველივეს კი მათ მიერ ქვეითი პატრულირებაც ცხადყოფს, რომელიც დიდ გამბედაობას მოითხოვს იმ რისკების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ტერიტორიაზე არსებობს, — ნათქვამია პეტრეუსის წერილში და აღნიშნულია, რომ ავღანეთში ქართული ბატალიონების მეთაურები დისციპლინით, თავდადებითა და ლიდერობის განსაკუთრებული უნარებით გამოირჩევიან.

— მუსა ქალეჰის სამხრეთ ნაწილში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ზრდის თვალსაზრისით, აუცილებელია აღინიშნოს თქვენი ბატალიონების მეთაურების გამორჩეული და განსაკუთრებული ლიდერობის უნარი. მსურს აღვნიშნო, ვიცე-პოლკოვნიკ ფრიდონ ტერელაძისა და მაიორ ალექსანდრე ტულუშის გამორჩეული თავდადება. ორივე მეთაური არაჩვეულებრივად იცნობს თავის სამოქმედო არეალს, ინარჩუნებენ კარგ დისციპლინას თავიანთ შენაერთებში და ყველა ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მეამბოხეთა გავლენა შეასუსტონ ხალხზე. რეგიონალური სარდლობის მეთაური სამხრეთ-დასავლეთში, გენერალ-მაიორი რიჩარდ მილსი, უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამს 31-ე და 32-ე ბატალიონების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მან პირადად მაცნობა, რომ თქვენი ძალები არიან მოტივირებულები, დისციპლინირებულები და რომ ისინი შესანიშნავად ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მისიას. ქართველი ჯარისკაცების თავდადების, კარგი რეპუტაციის, სიმამაცის, სისხარტისა და პროფესიონალიზმის შესახებ ყველა სამეთაურო დონეზეა ცნობილი, — აღნიშნულია წერილში და ნათქვამია, რომ აშშ საქართველოს მთავრობას მადლობას უხდის იმ დახმარებისათვის, რასაც საქართველო ავღანაელი ხალხისთვის აკეთებს.

— მსურს კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმ დახმარებისათვის, რომელსაც თქვენი ქვეყნის მთავრობა უწევს ავღანალ ხალხს. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი საქმიანობით, ჩვენ შევძლებთ ავღანეთის მთავრობას გავუწიოთ ის დახმარება, რომ მათ შემდგომში, თავადვე შეძლონ თავიანთ ხალხს შეუქმნან უფრო მეტად უსაფრთხო გარემო და წარმატებული მომავალი, — ნათქვამია პეტრიუსის ახალაიასადმი მიწერილ წერილში.

**მედიანიუსი**

# მსოფლიო 1-2 აპრილს აუტიზმის დღეს აღნიშნავს

მსოფლიო 1-2 აპრილს აუტიზმის დღეს აღნიშნავს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რადიო „პალიტრის" ეთერში „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრის" ფსიქიატრი, ქეთევან აბდუშელიშვილი და ბავშვთა განვითარების სპეციალისტი ნინო მიქელაძე საუბრობდნენ.სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველ 115 ე ბავშვს აუტიზმი აქვს, აუტიზმი ვლინდება 2-დან 4 წლის ასაკში. აუტიზმის პრობლემა გამოიხატება ბავშვის ნეიროგანვითარების შეფერხებაში, სოციალური ურთიერთობებში, აკვიატებულ ქცევაში, კომუნიკაციაში. ექიმების თქმით, აუტიზმის სრულად განკურნების შემთხვევებს მედიცინა ჯერ არ იცნობს, აუტიზმი არის ქრონიკული და მისი მკურნალობა შესაძლებელია აუტიზმის მართვით. აუტიზმით დაავადებული პაციენტების მიმართ უმთავრესი პრინციპია არასასურველი ქცევის მაქსიმალურად შემცირება, სასურველი უნარების განვითარება, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, რაც სხვადასხვა მეთოდებით ხორციელდება. მათ შორის აუცილებელია ახალი თაობის მედიკამენტებით მკურნალობა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ექიმების თქმით, საჭიროა დიეტა, რომლის დროსაც საკვები რაციონიდან ამოღებულია ცილა და ნივთიერება გლუტენი, რასაც მარცვლეული კულტურები შეიცავს.

**ინტერპრესნიუსი**

# სოფლის მეურნეობის სამინისტროში უცოდინარი ბავშვები მუშაობენ

**ქართველი საზოგადოება, ახლა უკვე ხელისუფლების ჩათვლით, თანხმდება იმაზე, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის აღორძინება, თუმცა ამ დრომდე მთავრობას სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია არ წარმოუდგენია.**



როდესაც ოპონენტები ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ, ხელისუფლების მხრიდან კეთდება განცხადებები, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა უკვე აქტიურად დაიწყეს და ამის ნათელი მაგალითია ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა, რომელიც „უახლოეს მომავალში საქართველოს სიმინდის ექსპორტიორ ქვეყანად აქცევს". ოფიციალური ინფორმაციით, ჰიბრიდული სიმინდის თესლის შეძენის სურვილი უკვე 35 000 ათასმა ადამიანმა გამოთქვა. ნიშნავს თუ არა ეს ამ დარგის წარმატებულად განვითარების დასაწყისს და საერაოდ, უნდა ყოფილიყო თუ არა მესიმინდეობა პრიორიტეტული?, — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი„ სოფლის მეურნეობის ექსპერტს **პაატა კოღუაშვილს** ესაუბრა.

— ალბათ, ვიღაცამ ურჩია პრეზიდენტს, განევითარებინა ეს დარგი, მაგრამ დარგების და მითუმეტეს, სოფლის მეურნეობის განვითარება ასე არ ხდება. აღნიშნული ჰიბრიდული სიმინდის დარაიონებაც კი არ მომხდარა, ანუ არ არის გამოცდილი სხვადასხვა ნიადაგში, — არ ვიცით ამა თუ იმ ნიადაგურ პირობებს როგორ შეეგუება. ძალიან დიდი მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, პლუს, ამას ემატება საქართველოს ნიადაგების მდგომარეობა. ჩემს კოლეგასთან გამოვიკვლიე საქართველოს ნიადაგებში საკვები ელემენტების ბალანსის მდგომარეობა და კატასტროფული შედეგი მივიღე. ჩვენი ნიადაგები აბსოლუტურად გამოფიტულია იმ საკვები ელემენტებისგან, რომელიც აუცილებელია. რომელიმე რაიონში ამ სიმინდით შეიძლება ოდნავ უკეთესი მოსავალი მიიღონ, ისიც აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის სასუქების მიღების შემთხვევაში, მაგრამ სხვა რაიონში შეიძლება, საერთოდ არ გაამართლოს და ცუდი მოსავალი მოვიდეს. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, სავალალოა გლეხისათვის. თესლის ფასსაც კი ვერ გადაიხდის, რომელსაც 17 კილოგრამზე განვადებით 7 თვის მანძილზე ახდევინებენ. თანაც ამ სიმინდის დათესვა დასავლეთ საქართველოში რეკომენდებული არ არის, რადგან ადგილობრივი ჯიშების დამტვერიანების საფრთხე არსებობს და ამან შეიძლება ცუდი შედეგი მოგვცეს. რაც შეეხება სიმინდის საჭიროებას, აღნიშნული ჯიშის სიმინდი გამოიყენება როგორც მეცხოველეობაში, ისე სასურსათოდ. ამერიკელები ძირითადად მეცხოველეობისთვის აწარმოებენ. იქ მეცხოველეობაში კვების სულ სხვა სტრუქტურაა — 90 პროცენტს მარცვლეულს იყენებენ, დანარჩენ 10 პროცენტს კი მინერალურ დანამატებს და იმიტომ. ჩვენ სხვა სისტემა გვაქვს. ჩვენი მეცხოველეობა დაფუძნებულია ბალახეულზე, ნახევრად ბაგური სისტემაა. ამის გარდა, სიმინდი სასურსათო საკვებია. უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ქვეყანა რა ამოცანის წინაშე დგას: ვიღაცისთვის საექსპორტოდ ამზადოს ის, თუ თავისი სასურსათო პრობლემები გადაჭრას. კატასტროფული სასურსათო პრობლემის წინაშე ვდგავართ. საქართველო სიმინდის ექსპორტს მხოლოდ 1895-1897 და 1910-1912 წლებში აწარმოებდა, ეს იმიტომ მოხდა, რომ იმ დროს მთელს ევროპაში საშინელი კრიზისი იყო. მაგრამ ექსპორტი იმდენად უმნიშვნელო და მცირე იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ მაშინვე ატეხა განგაში. ჭავჭავაძის აზრით, სიმინდის ექსპორტზე აქცენტის გაკეთება არ შეიძლებოდა. ილია ამბობდა: სიმინდი და ხორბალი იმდენი უნდა მოვიყვანოთ, რომ ჩვენს შიდა ბაზარს ეყოს და დაგვაპუროს. საექსპორტოდ, თუ რამე გვინდა, სხვა დარგებს უნდა მივხედოთო და აბსოლუტურად მართალი იყო ეს კაცი. გარდა ამისა, სანამ ექსპორტამდე მივალთ, ჰიბრიდული სიმინდის პროგრამის წარმატებულად განხორციელებისთვის მთელი რიგი სამუშაოებია ჩასატარებელი. ასე კი არ არის, მოკიდე ხელი, დათესე და მოვა. ამისთვის მთელი სისტემაა მოსამზადებელი. ჯერ უნდა მოწესრიგდეს სარწყავი სისტემა, დანიადაგება, მექანიზაცია, წამლობა პესტიციდების სასუქების გამოყენება, ყვითელი ჟანგას პრობლემა და ა.შ. ეს ე.წ. ჰიბრიდული პროგრამაც ჩავარდნილია. დასდევენ ახლა დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ოჯახებს სათითაოდ და თითო ვედრო სათესლე სიმინდის ყიდვას აიძულებენ. ასეთი ძალადობრივი, გაუაზრებელი მეთოდებით სოფლის მეურნეობას ვერ განავითარებენ. ერთ-ერთი ასეთი პროგრამის კრახით დასრულების მაგალითი შარშან ჰიბრიდული ჯიშის ხორბლის შემოტანაა. შემოიტანეს ხორბლის ე.წ. უხვმოსავლიანი ჯიში და ვერაფერი მიიღეს იმიტომ, რომ წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოები არ ჩატარდა. მოსავლის თითქმის 50 პროცენტი თაგვმა გაანადგურა. ამას დიდი მუშაობა და გამოცდილება სჭირდება. ადრე სათესლე და საჯიშე მეურნეობის ტესტი არსებობდა, რომელიც მსგავს პრობლემებისგან თავის არიდებას ითვალისწინებდა.

***— დღეს აღარ ფუნქციონირებს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც მსგავს სამუშაოებს ჩაატარებენ?***

— გაუქმებულია ყველაფერი! არადა, ასეთი სამუშაოების გარეშე სოფლის მეურნეობის აღორძინება შეუძლებელია. მესიმინდეობის დარგის განვითარება ქართველი ერის წინაშე მდგარ ამოცანას ვერ გადაჭრის. ჩვენ გვჭირდება სერიოზული რეფორმები და ეს რეფორმა არ არის მხოლოდ სიმინდის რეფორმა. თუ გვინდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში მდომარეობა დალაგდეს, საჭიროა სისტემური ცვლილებები. ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს კომპლექსურად. სოფელს უნდა მივუდგეთ არა როგორც ამ დარგის მწარმოებელ სექტორს, არამედ როგორც ტერიტორიულ ერთეულს, რომელსაც ესაჭიროება კომპლექსური განვითარება. სოფლად უნდა დარეგულირდეს და გადაწყდეს როგორც აგრარული, ისე სოციალური, საყოფაცხოვრებო და სხვა საწარმოო ინფრასტრუქტურის პრობლემები. პრეზიდენტი შეცდომაშია შეყვანილი. მე არ მინდა ეს ქვეყანა მოიშალოს. გლეხკაცი არ მინდა, რომ განადგურდეს. ქვეყნისთვის გლეხკაცის, როგორც მეწარმე სუბიექტის გაქრობა კი არ არის ტრაგედია, არამედ სოფლის გაქრობა, რომელიც ეროვნული კულტურის საძირკველია, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედი. ჩვენი ე.წ. განათლებულ სოფლის მეურნეობის მინისტრს კი, ეს სულ არ ანაღვლებს.

აგრარულ საკითხებში უცოდინარი მინისტრი გამოდის მაღალი ტრიბუნიდან და ხალხს ატყუებს: შარშან 2000 ჰექტარზე დათესეს ე.წ. უხვმოსავლიანი ხორბალი და 40-პროცენტიანი მოგება ნახეს. ტყუილია ეს, რადგან მოსავლის 50 პროცენტი თაგვმა გაანადურა. ეს იმიტომ, რომ წინასწარ მოსამზადებლი სამუშაოები არ ჩაატარეს. თაგვს რა გამოლევს მინდორში? რა, დღეს გაჩნდა? — ოდითგანვე იყო, მაგრამ ქართველი გლეხკაცი წინასწარ ღონისძიებებს ატარებდა, მიწას დატბორავდა ხოლმე, ან თესლს ამუშავებდა ქიმიურად და ა.შ. ეს მთელი პროცედურებია.

***— ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ, პირველ რიგში, რომელი დარგების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, ჩვენი ნიადაგები რის საშუალებას იძლევა?***

— ყველა მხარეს ექნება თავისი სპეციალიზაციის განმსაზღვრელი. გარდა ამისა, ამ მოთხოვნილებას აყალიბებეს ბაზარი. ჯერ შიდა ბაზრის მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს და მერე გარე ბაზრის. ისეთი მცირე მიწიერი ქვეყნის მხრიდან, როგორიც საქართველოა, ექსპორტზე აქცენტის გაკეთება არასწორია. მას ჯერ თავისი თავი აქვს გამოსაკვები. ამ შემთხვევაში ექსპორტი, ანუ ვალუტის შოვნა, მეორადი ამოცანაა. საქართველოში ჩამოვიდა გაეროს თანამედროვე სოციალური ინსტიტუტის დირექტორი ჰუდო ჰემოსტროფერი და თქვა: ეს რა უბედურება დაიჩემეთ, რომ გგონიათ ექსპორტია მთავარიო. ჯერ თქვენი შიდა ბაზრის პრობლემები გადაწყვიტეთო. საქმე ისაა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ გააჩნია სტრატეგია. აგრარული პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და პრიორიტებები არ არის განსაზღვრული. ამ ქვეყანაში სამეწარმეო ფორმებია შესარჩევი. ამათ უნდა გაიგონ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის გამოთიშვა არ შეიძლება. ეს ყველაზე რეგულირებადი დარგია მთელს მსოფლიოში. სახელმწიფოს მაორგანიზებლის ფუქციაზე თავის შეწუხება არ უნდა და სისულელე ლიბერალიზაციაზე გველაპარაკება. ვერ გაიგეს, რომ ყველაზე განვითარებული დემოკრატიების ქვეყნებს ყველაზე განვითარებული სოფლის მეურნეობა აქვთ.

***— ბატონო პაატა, როდესაც პრეზიდენტი სოფლის მეურნეობის მნიშვნელობაზე ალაპარაკდა, თუმცა ექსპერტები შიშობდნენ, რომ ეს მხოლოდ პიარი არ ყოფილიყო და სიტყვები სიტყვებად არ დარჩენილყო. დღევანდელი გადასახედიდან რას ფიქრობთ, მართლაც მხოლოდ პიარია თუ შედეგი უცოდინარობის გამო არ ჩანს?***

— საქართველოს პრეზიდენტმა რაც განაცხადა, იმის განცდა მქონდა, რომ იყო გულწრეფელი. მაგრამ სიტყვებს საქმედ ქცევა სჭირდება. ის უწყებები კი, რომელბმაც საქმედ უნდა აქციონ, არაფერს აკეთებენ. აგროსასურსათო სფეროს განვითარების სტრატეგია და აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო თუ არ ჩამოყალიბდება, არაფერი გამოვა. მე ღია წერილით მივმართე საქართველოს პრზიდენტს. პირველი იყო გადავარჩინოთ ქართული სოფელი„ და მეორე გზა, რომელიც გადაარჩენს ქართულ სოფელს„. იქ ვწერდი, რომ აუცილებელი იყო შექმნილიყო აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭო. პრეზიდენტმა მართლაც გააკეთა განცხადება, აგრარული პოლიტიკის ეროვნული საბჭოს შექმნის აუცილებლობაზე. მოგვიანებით პრემიერ-მინისტრის გამოვიდა და თქვა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში უნდა გაკეთდეს ეს საბჭო და მინისტრმა უნდა უხელმძღვანელოსო. კაცო, სოფლის მეურნეობის მინისტრს რომ საქმის ნორმალურად კეთება შეეძლოს და თავს ართმევდეს, მაშინ რაღა საჭიროა ამ საბჭოს შექმნა?! მთავრობა უნდა შეელიოს სოფლის მეურნეობის ამჟამინდელ მინისტრს, და არა მარტო მას, მთელი სამინისტროს რეორგანიზაციაა საჭირო. კვალიფიციური და საქმის მცოდნე კადრებია საჭირო, რომელთაც სოფლის ბედი მართლაც აღელვებთ. ვინც ახლა არის, ვერ იაზრებს ამ დარგის მნიშვნელობას და ვერ აკეთებენ საქმეს. მათ ეზარებათ თავის შეწუხება, რადგან არ უყვართ ქართული სოფელი და ქართველი გლეხი. განწყვეტილი აქვთ კავშირი აგრომეწარმეებთან და აგრარულ მეცნიერებასთან. თუ არ დავიწყეთ კოოპერაციის პროცესი, არაფერი გამოვა. მისაღებია შესაბამისი კანონები კოოპერაციის შესახებ. უნდა გავიგოთ, რომ ეს მთლიანი პროცესია და რომელიმე ერთი სეგმენტის განვითარება ვერ წყვეტს პრობლემას. სისტემური და კომპლექსური ცვლილებებია საჭირო. წარმოებითი ურთიერთობებია დასალაგებელი. სოფლის მეურნეობის განვითარება განვითარებულმა ქვეყნებმა ამით, ახალი სამეწარმეო ფორმებით, სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნით დაიწყეს. გლეხკაცს სამადლოდ არ სჭირდება 20 ლიტრი დიზელი და 20 კგ სასუქი. მას სჭირდება საკრედიტო სისტემა, მატერიალურ ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა, აგროტექსერვისის ხელმისაწვდომობა. აი, ეს საკითხები უნდა დაალაგოს სახელმწიფომ. ამ საკითხებზე უნდა მუშაობდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მაგრამ ისინი ამას ვერ გაიგებენ, რადგან უცოდინარი ბავშვები არიან. რამდენიმეთვიანი თანამშრომლობის შემდეგ დავასკვენი, რომ მათგან ეს არ გამოვა. პარლამენტში დამცველები გამოუჩდნენ და ლაპარკობენ, ეს კეთდება, ის კეთდებაო. ნუთუ პარალმენტში არავის გაუჩნდა აზრი, რომ ამდენი ხანია იძახიან ეს კეთდება, ის კეთდება და რით ველარ გაკეთდა საქმე, შედეგი სად არის? პრეზიდენტი ამბობს, შედეგი კი არ ჩანს. არაბული ანდაზაა, მოლა ამბობს: ჩემს სიტყვას კი ნუ დაუჯერებთ, ჩემს ნამოქმედარს დაუჯერეთო".

**მედიანიუსი**

# აზერბაიჯანი ტერიტორიებს ნელ-ნელა გვართმევს



**საქართველოს თავის მეზობელ სახელმწიფოებთან დაუდგენელი საზღვრების სახით სერიოზული პრობლემები აქვს. თურქეთის გარდა, ყველა მეზობელ ქვეყანასთან საზღვრები დასადგენია. ეს კი ჩვენს ტერიტორიებდაკარგულ საქართველოს კიდევ აკარგვინებს ტერიტორიას.**

თეა მარხვაი ე

ამ ფაქტებზე ყურადღების გამახვილება ჩვენს ხელისუფლებას არ აწყობს. ისინი მხოლოდ რუსეთის მიერ მიტაცებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს ახსენებენ. თუმცა ეს სულაც არ უშლით ხელს, რომ რუს ჩინოვნიკებთან ერთად იქეიფონ და ნიკა რურუას დაწუნებულ „დენ პობედიზე" ჩამოუარონ. არც თავიანთი ოჯახის წევრების დასაქმება უტყდებათ რუსულ კომპანიებში.

შესაბამისად გასაკვირი არ არის, რომ ნაციონალები არაფერს ამბობენ იმაზე, თუ როგორ მოიწევს რუსეთი წინ. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთი მთელ რიგ რეგიონებში საქართველოს ტერიტორიებს ეპატრონება. ამჯერად ომის გარეშე. ჩვენი ავი მეზობელი განსაკუთრებით დაუსახლებელ ტერიტორიებს მტრობს. როგორც ამბობენ, თუშეთსა და ხევსურეთში რუსებმა საკმაოდ წამოიწიეს წინ.

რუსეთთან საზღვრების დადგენა ჯერ დასრულებული არ არის. თუმცა ეს იმედისმომცემი ამბავი სულაც არ გახლავთ. ყველამ ვიცით, რომ რუსეთმა სადაც კი დაადგა ფეხი, იქედან ვერავინ გააგდო. ამდენად, რუსეთთან ამ საკითხებზე ცოტა უფრო სერიოზული პოლიტიკის გატარებაა საჭირო. თუმცა ჩვენებს ასეთი პოლიტიკა არ აწყობს, ისევე, როგორც სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

არადა, ამ ქვეყნებთან საკმაოდ სერიოზული პრობლემები გვაქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი სადემილიტაციო-სადემარკაციო კომისიები ფაქტიურად არაფერს არ აკეთებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზღვრის პატარა მონაკვეთი მაინც იქნებოდა.

ჩვენი ხელისუფლების საეჭვო პოლიტიკას სათავისოდ ძალიან კარგად იყენებენ სომხეთი და აზერბაიჯანი. ეს უკანასკნელი ჩვენს მეგობრობაზე თავს სდებს. ხელისუფლება კი დღეში ხუთჯერ გვაყვედრის, რომ ბაქო გაზს არნახულად იაფად გვაწვდის. იგივეს ამტკიცებენ საწვავზეც.

ალბათ, ვითომ ამ იაფი საწვავის და გაზის წყალობით არის, რომ დავით გარეჯის ნახევარი ბაქოს უნდა დავუთმოთ? ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლება გაურიგდა ალიევს და დავით გარეჯის ნახევრის გადაცემას აპირებს. აზერბაიჯანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ დავით გარეჯი ქრისტიანულ ალბანეთს ეკუთვნის და აქედან გამომდინარე ეს უნიკალური სამონასტრო კომპლექსი მათ ეკუთვნით.

ბაქო. როგორც ჩანს, მარტო ამით არ აპირებს დაკმაყოფილებას და სხვა ტერიტორიებსაც დაადგა თვალი. ჩვენი ტერიტორიების მითვისებაში მათ მდინარე ალაზანიც ეხმარება.

ამასთან დაკავშირებით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა საკმაოდ საინტერესო დასკვნა გამოაქვეყნა.

ეს დასკვნა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის ტრანსფორმაციას შეეხება. დასკვნის მიხედვით, სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთზე გამოვლენილია ტერიტორიული ცვლილების 69 ადგილი. აქედან, 42 შემთხვევაში ფაქტიური საზღვარი გადმონაცვლებულია საქართველოს მხარეს და მხოლოდ 27 აზერბაიჯანის საზიანოდ. საქართველოს ტერიტორიულმა დანაკარგებმა დაახლოებით 293 ჰექტარი შეადგინა.

არასამთავრობოების დასკვნით, აზერბაიჯანის მხარეზე ეს მონაცემი 224 ჰექტარს არ აღემატება.

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენელი გელა მთიულიშვილი აღნიშნავს, აზერბაიჯანის მთავრობა, საქართველოს მთავრობისგან განსხვავებით, ალაზანს აქეთ დარჩენილი ტერიტორიების დიდ ნაწილს აკონტროლებს. ამასთან, ადგილზე მდინარის სწორი უბნების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ საფუძვლიანი საველე კვლევების ჩატარების შემდეგ, ეს სხვაობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

ამ საკითხზე კახეთის საინფორმაციო ცენტრი ადრეც ხშირად წერდა. თუმცა ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხზე არანაირი რეაქცია არ ყოფილა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრის 19,6% (415,15 კმ) 23 დასახელების დიდ და პატარა მდინარეზე გადის. აქედან ყველაზე გრძელი მონაკვეთი (190,25 კმ) მდინარე ალაზანზე მოდიოდა. მდინარის ეს მონაკვეთი ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანთან თანამედროვე საზღვრის (478,42 კმ) 40,2% შეადგენდა და, ისე როგორც საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრის დანარჩენი უბნები, ხშირი ცვლილებებით ხასიათდებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ზაქათალის ოკრუგი თბილისის გუბერნიაში შემოდიოდა, მაგრამ უკვე დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ადერბეიჯანის (აზერბაიჯანის) სოციალისტურ რესპუბლიკას შორის დადებული (12.06.1920) საზავო ხელშეკრულებით ამ ტერიტორიაზე კონდომინიუმი (ერთობლივი მფლობელობა) გამოცხადდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ უბანზე საქართველო-აზერბაიჯანის ადმინისტრაციულმა საზღვარმა მდინარე ალაზანზე გადმოინაცვლა და იგი უბრალო გამიჯვნის პრინციპით იქნა გატარებული. შემდეგ ამან ამიერკავკასიის (თბილისი, 1938) რესპუბლიკების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე (1:500 000 მასშტაბის რუკაზე) შეთანხმების ხელმოწერის შედეგად საქართველოს საზღვრის სტატუსი მიიღო. აქედან გამომდინარე ის ტერიტორიის სამეურნეო დაყოფის საფუძველზეა გატარებული, რის გამოც მისი მდებარეობა ადგილზე დაზუსტებული არ არის და ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ დღის წესრიგში დააყენა ამ უბნების დელიმიტაცია — დემარკაციის საკითხი.

საზღვრების სადელიმიტაციო ორმხრივი სამთავრობოთაშორისო კომისია 17 წელია მუშაობს, თუმცა ორ ქვეყანას შორის საზღვარი დადგენილი არ არის. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, სადავო ტერიტორიებად რჩება დავით გარეჯი და სოფელი ერისიმედი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის რეზო თოლორდავას თქმით, საქართველოს მხარეს მეტი ტერიტორიული დანაკარგები ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებებითაა განპირობებული.

— მდინარე ალაზნის წყალშემკრები აუზის მარცხენა მხარე, ატმოსფერული ნალექების რაოდენობით, მკვეთრად აღემატება მარჯვენას; საზღვრის მარცხნივ მდებარე ტერიტორიაზე გაცილებით მაღალი ჰიპსომეტრული სხვაობა ფიქსირდება, ვიდრე მარჯვენაზე; ადამიანის სამეურნეო მოქმედებები (არხების გაჭრა, კალაპოტის გადაკეტვა და სხვა; მდინარეზე, როგორც მოძრავ სხეულზე, მოქმედებს კორიოლისის ძალა, რომელიც აიძულებს მდინარე ალაზანს გადაიხაროს მარჯვნივ, — ამბობს თოლორდავა.

მისივე თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი პირველი პირობა ხელს უწყობს მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადებში მყარი ნატანის დიდი რაოდენობით ჩამოყალიბებას, რომელიც თავის მხრივ თავს იყრის მეანდრეების ე.წ. ყელებზე და იწვევს მათ გადაკეტვას. ასეთ ადგილებში მდინარე იცვლის მიმართულებას და ხდება ახალი კალაპოტის ფორმირება.

— ასეთი სახის გარდაქმნები სასაზღვრო ზოლის ალაზნის მონაკვეთის მთელ პერიმეტრზე უხვად ფიქსირდება. გარდა ამისა, ტერიტორიული ცვლილებები კალაპოტის სწორ ადგილებშიც შეინიშნება, თუმცა მათი შემჩნევა რუკებზე სივიწროვის გამო (20-25მ.) პრაქტიულად შეუძლებელია და აეროფოტოგადაღებების ჩატარებაა აუცილებელი, — აღნიშნავს რეზო თოლორდავა.

რეზო გეთიაშვილი, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის პროექტის „ღია გარემოსდაცვითი სამოქალაქო ინიციატივას" კოორდინატორი: □

— ალაზნის ტიპის მდინარეებზე სახელმწიფო საზღვრის ხაზის დემარკაციის გარეშე არსებობა და მით უმეტეს, სადელიმიტაციო ოქმებში მის მდებარეობად ზოგადად, წერტილების კოორდინირების გარეშე მდინარის დასახელება, სასაზღვრო ზოლში ტერიტორიული ცვლილებების თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დადგენის სამთავრობოთაშორისო კომისიას და საქართველოს მთავრობას რეკომენდაციებსაც აძლევს.

—საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის ალაზნის მონაკვეთზე ტერიტორიული ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებული სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით, პირველ რიგში ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები: ორივე ქვეყნის შეთანხმებით, 1938 წლის სადელიმიტაციო რუკის საფუძველზე, ამ თარიღთან ახლო პერიოდის აეროგადაღებიდან დამზადებულ, სასაზღვრო ზოლის მსხვილმასშტაბიან (1:10000 ან 1:25000) ტოპოგრაფიულ რუკაზე საზღვრის ხაზის გადმოტანა; რედელიმიტირებული სამდინარო საზღვრის მახასიათებელი წერტილების (დასაწყისი, მოხვევის ადგილები, მეანდრის ყელი, კომუნიკაციების გადაკვეთა, შენაკადების შეერთების ადგილი და სხვა) კოორდინატების მაღალი სიზუსტით განსაზღვრა; დადგენილი კოორდინატებით სახელმწიფო მიჯნის ამ მონაკვეთის მოწესრიგება თანამედროვე მსხვილმასშტაბიან (1:25000) რუკაზე. სადემარკაციო სამუშაოების (დელიმიტირებული საზღვრის ხაზის წერტილების პროექტირება ადგილზე და მარკირება სასაზღვრო ნიშნებით); საზღვრისპირა ზოლის გეოსაინფორმაციო სისტემის შექმნა; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიეცეს რეკომენდაცია პროცესის გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად; საზღვრის დადგენამდე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, ჩატარდეს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები; საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მდინარე ალაზანზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარება; დაუსჯელობის სინდრომის და ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად დროულად და ეფექტირად იქნეს გამოძიებული საზღვართან დაკავშირებით მკვლელობისა და სხვა დანაშაულების ფაქტები, — აღნიშნულია დასკვნაში.

საეჭვოა ხელისუფლებამ ეს დასკვნები გაითვალისწინოს. ჩვენი ხელისუფლება არც ერისიმედთან და არც დავით გარეჯთან დაკავშირებით ხმას არ იღებს. ყოველ შემთხვევაში, ღიად არავინ არაფერს არ ამბობს. აქედან გამომდინარე გამორიცხული არაა, ხვალ დავით გარეჯის და ერისიმედის გარეშე დავრჩეთ.

# ქართულ ხელოვნებას საერთაშორისო სიმპოზიუმი მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

31 მარტს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით ქართული ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის „კავკასია: საქართველო კულტურათა გზაჯვარედინზე — კულტურათაშორისი დიალოგი ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ" მოხსენებათა ელექტრონული კრებულის პრეზენტაცია გაიმართება. პრეზენტაციას დაესწრებიან სიმპოზიუმის საორგანიზაციო ჯგუფის იტალიელი პარტნიორი ბატონი პაოლო დელ ბიანკო „რომულადო დელ ბიანკოს ფონდის" პრეზიდენტი, იტალიის ელჩი ვიტორიო სანდალი. ასევე ხელოვნების ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

„რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი" დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის 300-მდე უნივერსიტეტს აერთიანებს, რომლის დარგებია არქიტექტურა, ურბანული გეგმარება, სამოქალაქო საინჟინრო დარგი, კულტურული მემკვიდრეობა, სახვითი ხელოვნება, რესტავრაცია, კონსერვაცია, ვიზუალური ხელოვნება, მოდა, დიზაინი, კულტურული ტურიზმი. ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნებსა და კულტურებს შორის ცოდნის გაზიარებას, სტუდენტთა, პროფესორთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო ინტეგრაციის პროგრამებში მონაწილეობას, რისთვისაც უორქშოფები, „სმარტ" პრეზენტაციები, კონფერენციები და სიმპოზიუმები იმართება.

მანამდე კი ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა დუშეთის მუნიციპალიტეტში მოაწყო პროექტის პრეზენტაცია სახელწოდებით „დუშეთის რაიონის კულტურის სექტორის ინსტიტუციონალური განვითარება". როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა მაკა დვალიშვილმა განმარტა, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია რიგი ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ, პრაქტიკაზე ორიენტირებული ვორქშოფების, კონსულტაციების ჩატარება, ხალხური რეწვის პროდუქციის შექმნა, მაღაზია-სალონის გახსნა, ტურისტული მარშრუტების შედგენა, დუშეთის ტურისტული გზამკვლევის გამოცემა და ტუროპერატორებთან მუშაობა რეგიონში კულტურული ტურიზმის და ადგილობრივი ბაზრის განვითარებისთვის. პროექტზე მუშაობა უკვე მერვე თვეა გრძელდება.

— პროექტის მიზანია დუშეთის რაიონის კულტურის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, სპეციალური ვორქშოფებისა და ტექნიკური დახმარების გზით დუშეთში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, მცირე მეწარმეების, ხალხური რეწვის ოსტატების ინსტიტუციონალური უნარების განვითარება და სოციალური მეწარმეობის გზით ეკონომიკური მდგრადობის ხელშეწყობა. ასევე რეგიონის განვითარებისთვის კულტურის სფეროს მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ამაღლება, დუშეთში კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, მცირე მეწარმეების, ხალხური რეწვის ოსტატების რეგიონალური ქსელის შექმნა, დუშეთში კულტურული ტურიზმის პოტენციალის გაზრდა და ხალხური რეწვის ადგილობრივი ბაზრის განვითარება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ის, რომ მოხდეს კულტურის ეკონომიკური მნიშვნელოვანების წამოწევა. ყველა უნდა მიხვდეს, რომ კულტურა არ არის სფერო, რომელიც მხოლოდ ფუფუნების საგანია. ჩვენ ვიწყებთ მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მომავალში არა მარტო დუშეთში, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც გავრცელდება, — განაცხადა ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის „ისტორიალი" ხელმძღვანელმა მაკა დვალიშვილმა.

პროექტს ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა და ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ფონდის ქსელურმა პროგრამამ. პროექტის ადგილობრივი პარტნიორობა კი დუშეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების ცენტრმა ითავა.

# მგლოვიარე იაპონიას რეკვიემი მიუძღვნეს

ეკა ირემაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დიდ საგამოფენო დარბაზში საგანგებო კონცერტი გაიმართება, რომელიც კატასტროფაგამოვლილ და მგლოვიარე იაპონიას ეძღვნება.

30 მარტს დევიზით „ხელოვნება აერთიანებს ყველას!" (ბეთჰოვენი) გაგრძელდება მანონ ყუბანეიშვილის მუსიკალურ-სარეკორდო მარათონი. ამჯერად ამ პროექტის ფარგლებში გაიმართება კონცერტი „3 რეკვიემი", რომელიც იაპონიაში დაღუპულ ადამიანთა სულების მოხსენიებაა.

როგორც პროფესიონალმა პიანისტმა და ვოკალისტმა (სოპრანო), ქალბატონმა მანონ ყუბანეიშვილმა განაცხადა, ამ სოლოკონცერტით — მსოფლიო კლასიკოსთა დრამატულ-ფილოსოფიური ხასიათის 12 შედევრის შესრულებით, სრულიად საქართველო, მთელ კაცობრიობასთან ერთად, სულითა და გულით თანაუგრძნობს და მოკრძალებულ პატივს მიაგებს ამომავალი მზის, დიდი კულტურისა და ცივილიზაციის ქვეყანას.

მუსიკალურ-სარეკორდო მარათონი კულტურულ-ჰუმანისტური აქციაა, რომლის მიზანია 2011-12 წლებში დედამიწის გარშემო, მრავალ ქვეყანაში, სტიქიით, ომებითა თუ ეპიდემიით დაზარალებული და გადაადგილებული მოსახლეობის წინაშე სოლოკონცერტებით გამოსვლა, მსოფლიო კლასიკის — 500 კომპოზიტორის 2011 შედევრის, მათ შორის ქართველ კომპოზიტორთა 700 ნაწარმოების შესრულება, გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანთა გამხნევება და გაძლიერება.

ამ მარათონის ეგიდით პირველი კონცერტი — პროექტის პრეზენტაცია შედგა 23 თებერვალს საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის დიდ საკონცერტო დარბაზში, მეორე კონცერტი კი გაიმართა 11 მარტს ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის საკონცერტო დარბაზში და მიეძღვნა მისი დაბადების 140 წლისთავს.

მარათონის შემადგენელი ნაწილია ახალი ტურისტული ატლასი, 40 პლაკატი — ენციკლოპედია „ოქროს საწმისის ქვეყანა", რომელიც მასპინძელ მხარეს გააცნობს საქართველოს ისტორიასა და კულტურას.

# რატომ შეუწყვიტეს რუსთავის მოსახლეობის ნაწილს წყალი

შორენა გონგლაძე



„წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ რუსთავში, მე-17 მიკრორაიონის მე-7 კორპუსის მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების შეწყვეტას აპროტესტებს.

გუშინ კორპუსის მცხოვრებლებმა „სახალხო კრების“ სათათბირო დარბაზის წევრებთან ერთად საპროტესტო აქცია გამართეს.

როგორც ირკვევა, კორპუსის მცხოვრებლები წყლის გადასახადს ინდივიდუალური მრიცხველების ჩვენების საფუძველზე იხდიდნენ, თუმცა შემდეგ თითოეულ ოჯახს მრიცხველების გარეთ გატანის მოტივით 100 ლარის გადახდა მოსთხოვეს.

მოსახლეობამ აღნიშნული თანხა ვერ გადაიხადა, რის გამოც ოთხი დღეა წყლის გარეშე არიან დარჩენილი. ამასთან, კორპუსში შემავალი წყლის მილი გადაჭრილია.

„წარმომადგენლობითმა სახალხო კრებამ“ „რუსთავწყალკანალს“ ოფიციალური წერილით მიმართა, თუმცა დამაიმედებელი პასუხი ვერ მიიღო. როგორც კრებაზე აცხადებენ, ისინი აღნიშნული კორპუსის მცხოვრებთა უფლებებს ყველა კანონიერი გზით დაიცავენ.

# სახალხო კრებამ უსინათლოებს სოლიდარობა გამოუცხადა



„უსინათლოთა საზოგადოების“ წევრები კუთვნილი ქონების დაბრუნების მოთხოვნით, მთავარ პროკურატორასთან შიმშილობენ.

უსინათლოებს მხარდაჭერა სახალხო კრებამ გამოუცხადა. როგორც საგანგებო ბრიფინგზე სახალხო კრების წარმომადგენელმა შალვა ობგაიძემ განაცხადა, უსინათლოთა საზოგადოებას 200 მილიონიანი ქონება გააჩნია, რომელიც უკანონოდაა ჩამორთმეული და იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებს გადაეცემა.

ბრიფინგს უსინათლოთა საზოგადოების წარმომადგენელი ანა ჯოხაძეც ესწრებოდა, რომლის განცხადებით, უსინათლოთა საზოგადოებას 13 600 წევრი ყავს. მისი თქმით, 200 მილიონიან ქონებას უსინათლოთა კავშირის ხელმძღვანელი რეზო მაისურაძე უკანონოდ განკარგავს.

ანა ჯოხაძის განცხადებით, სიმართლეს არ შეეფერება რეზო მაისურაძის განცხადება იმის შესახებ, რომ უსინათლოთა საზოგადოების 200 მილიონიანი ქონების 51% უსინათლოების სასიკეთოდ იყიდება.

მისი თქმით, ქონებას ფიზიკური პირები ყიდულობენ და აღნიშნული თანხით უსინათლოთა კავშირის 60-70 ადამიანია კმაყოფილი და უზრუნველყოფილი.

როგორც ანა ჯოხაძემ განაცხადა, უსინათლოები სერიოზულ ძალას წარმოადგენენ და თუ ხელისუფლება მათ თანადგომას არ გამოუცხადებს და სიმართლე არ იზეიმებს, უსინათლოების აქცია შეუქცევად ხასიათს მიიღებს და საპროტესტო აქციებს ფართომასშტაბიანი სახე მიეცემა.

**ინტერპრესნიუსი**

# მრცხვენია, ოპოზიციონერი რომ მქვია

## გაჩეჩილაძე და ბიწაძე ლალიძე აღაშფოთეს

შორენა გონგლაძე

ქართველებს რომ თავის გამოჩენის საკმაოდ საოცარი ნიჭი გვაქვს, უდავოა, არც იმაზე გამოდგება დავა, რომ როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიცია სისულელეების ჩადენაში ერთმანეთს ეჯიბრება. მას შემდეგ, რაც ლისაბონში სახელისუფლებო გუნდის ქართულ-ნაციონალური ტემპერამენტი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, ჯერი ოპოზიციაზე მიდგა. მართალია ამ ეტაპზე ოპოზიციის მამებს იმის ფუფუნება არ აქვთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის წყალობით ახალ-ახალი სისულელეებით გაართონ შიმშილის ზღვარზე მყოფი ხალხი, სამაგიეროდ, აპოკალიფსური თარიღების გამოგონებასა და ერთმანეთისთვის თავ-პირის დამტვრევას წინ რა უდგას. სწორედ ამის ნათელი მაგალითია რამდენიმე დღის წინანდელი ბიწაძე-გაჩეჩილაძის შერკინების ამბავი. ამ კუნთების მსუბუქ გავარჯიშებას რა გაგრძლება მოყვება, ამის განსაზღვრა ძნელია, თუმცა იმის თქმა კი ნამდვილად შეიძლება, რომ ეს ამბავი ასე არ დამთავრდება. ოპოზიციის ახალი აპოკალიფსური თარიღი ალბათ უფრო ოპოზიციისთვის იქნება დამამთავრებელი, მიშა კი თავის გუნდთან ერთად იცხოვრებს მშვიდად და ხანგრძლივად.

ის, რაც ოპოზიციაში ხდება, ისევ ოპოზიციის კრიტიკას იწვევს. ოპოზიციის ერთი ნაწილი თავისთვის აქტიურობს. ოპოზიციის ქმედებას სამარცხვინოს უწოდებს პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლალიძე.

— მე ძალიან მრცხვენია, როდესაც იმ ადამიანების რიგებს ვეკუთვნი, რომელთაც დღეს საზოგადოება ოპოზიციას უწოდებს, — ეს განცხადება პარტიის ლიდერმა გიორგი ლალიძემ გუშინ გამართლ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

— სამარცხვინოა, რაც ამ ოპოზიციაში ხდება. საერთო ჯამში, ეს მთლიანად ოპოზიციისთვის არის ზიანის მომტანი, ვინაიდან საზოგადოება აღარ უყურებს, ეს სამარცხვინო საქციელი რომელ პარტიებს შორის ხდება და ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი აღიქმება საერთოდ ოპოზიციის შეცდომებად. ამიტომაც არის, რომ დღეისათვის ოპოზიციის რეიტინგი კატასტროფულად დაეცა,



ეს არის ოპოზიციის მხრიდან საკუთარი თავის დისკრედიტაცია. ის, რაც რამდენიმე დღის წინ გაჩეჩილაძესა და ბიწაძეს შორის მოხდა, ეს ყველაფერი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. თამამად შეიძლება განვაცხადო, რომ ისინი თამაშობენ ხელისუფლების თამაშს, რითიც სააკაშვილის რეჟიმის განმტკიცებას უწყობენ ხელს, — აცხადებს გიორგი ლალიძე; მისივე თქმით, ოპოზიციამ ერთმანეთის ცემა-ტყეპისა და ტალახის სროლის გარდა აპოკალიფსური თარიღების დასახელებაც უნდა შეწყვიტოს.

— რაც შეეხება ოპოზიციის კიდევ ერთხელ დაანონსებულ თარიღს, რომ ამ დღეს მთავრდება ხელისუფლება, ეს კიდევ უფრო დიდი შეცდომაა ოპოზიციის მხრიდან, რაც კიდევ ერთხელ მოხდება ალბათ. ეს არის სიბრიყვე და არ შეიძლება ეს ჩაითვალოს ოპოზიციის უნებლიე შეცდომად ან მარცხად, ეს არის მიზანმიმართული ქმედება გარკვეული ე.წ. ოპოზიციონერების მხრიდან, რაც მიზნად ისახავს მთლიანად ოპოზიციის დისკრედიტაციას. აქედან გამომდინარე მინდა განვაცხადო, რომ არც ოპოზიცია და არც ქართველი საზოგადოება არ არის მზად ხელისუფლების ცვლილებისათვის. მეტიც, ის პროცესები, რაც ოპოზიციის გარკვეულ ნაწილებს შორის ვითარდება, საერთოდ არ გავს რევოლუციის წინა პერიოდს, ეს უფრო არის ბინძური პოლიტიკური თამაში და სხვა არაფერი. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არ არის ჯანსაღი ოპოზიცია, ეს ადამიანები ახდენენ რეალური ოპოზიციის დისკრედიტაციას და ამიტომ მინდა, ქართველმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ამ ადამიანებმა დიდი ხანია დაკარგეს ოპოზიციონერების სახე. ამიტომაც ჯანსაღი ოპოზიციური სპექტრი უნდა გაემიჯნოს ამ ადამიანებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ პოლიტიკურ თამაშებში ყოველთვის დავმარცხდებით, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ხელისუფლებას აწყობს ამ ე.წ. ოპოზიციონერების ყოფნა პოლიტიკურ არენაზე. ყველა ოპოზიციურ ძალას მოვუწოდებ, ერთხელ და სამუდამოდ გავემიჯნოთ ამ ადამიანებს და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება მიღწეული რეალური შედეგი. თუ ჯანსაღმა ოპოზიციურმა ძალებმა აიღეს ხელში სიტუაციის მართვა, მერწმუნეთ, ჩვენ ვიქნებით უკვე შედეგზე ორიენტირებულნი, სხვა შემთხვევაში ეს ოპოზიცია, ვინც დღეს ერთმანეთთან კინკლაობით არიან დაკავებულნი, ყოველთვის ითამაშებენ სააკაშვილის თამაშს. რაც შეეხება ვადამდელი არჩევნების დანიშვნის იდეას, სულელი უნდა იყო, რომ დღეს მოითხოვო ვადამელი არჩევნების ჩატარება. ეს ყველაფერი განწირულია წაგებისათვის. გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების კონსტიტუციურ ვადებში ჩატარება მოგვიტანს. ორი აზრი არ არსებობს იმისა, რომ ეს ხელისუფლება არის შესაცვლელი, რომ მათ უამრავი შეცდომა დაუშვეს ქართველი ხალხის წინაშე, ეს ხელისუფლება არის წასასვლელი, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა მოხდეს სამართლებრივი გზით და მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში არჩევნებს არ აქვს ალტერნატივა. თუ საზოგადოება იქნება კონსოლიდირებული, თუ საზოგადოება იქნება აქტიური, მერწმუნეთ, არჩევნების გზით ჩვენ შევძლებთ ქვეყნის სათავეში მოვიყვანოთ ისეთი ხელისუფლება, რომელსაც იმსახურებს ქართველი ხალხი, — აცხადებს გიორგი ლალიძე.

# ჩვენ დავადგინეთ საქართველოში რამდენი ამომრჩეველია

გულიკო ბალაძე

**ცოტა ხნის წინ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ე.წ. რვიანის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ნაცმო რაობას არაფრის დათმობა არ სურს. ნაციონალური ლიდერები, რომლებიც პასუხისმგებლები და თანამონაწილეები არიან სააკაშვილის რეჟიმის წარუმატებლობის, შეცდომებისა თუ დანაშაულობებისა, ოპოზიციის მოთხოვნებს ულტიმატუმს უწოდებენ და აცხადებენ, რომ ულტიმატუმებით ვერაფერს დაათმობინებენ.**



არადა, საქართველოში საარჩევნო გარემო რომ გასაუმჯობესებელია, ამაზე ამერიკის დღევანდელი ხელისუფლებაც უკვე ხმამაღლა საუბრობს.

ცოტა ხნის წინ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ თუ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას სურს მომავალი არჩევნების თანამონაწილე იყოს, საქართველოში საარჩევნო გარემო უნდა შეიცვალოსო.

მწვანეთა პარტიის ლიდერი არჩევნებზე ამომრჩევლის სავალდებულო გამოცხადების შემოღებას მოითხოვს.

მისი თქმით, მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტების შემოღება საქმეს ვერ უშველის, იმდენად გამოცდილ გამყალბებლებთან გვაქვს საქმე.

ამიტომ საჭიროა, ამომრჩევლის არჩევნებზე გამოცხადება კანონით სავალდებულო გახდეს.

ასეთ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველი მაინც არ მივა საარჩევნო ყუთთან, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება. სააკაშვილის ხელისუფლებას კი, სახლში დარჩენილი ამომრჩევლების ხმებით მანიპულირების საშუალება მოესპობა.

ოპოზიციის მოთხოვნებზე ხელისუფლების დათანხმება, მწვანეთა პარტიის ლიდერის აზრით, შესაძლებელია მოლაპარაკებებისა და ქუჩის აქციების თანხვედრის შემთხვევაში.

გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, ქართველი საზოგადოების, ოპოზიციის სტრატეგიული ამოცანაა ნაცმოძრაობამ და მისმა სატელიტმა პარტიებმა პარლამენტში უმრავლესობა ვერ მოიპოვონ.

— მომავალ არჩევნებში (რიგგარეშე იქნება თუ კანონით განსაზღვრულ ვადებში) ნაციონალურმა მოძრაობამ უმრავლესობა არ უნდა მოიპოვოს, თავის სატელიტებთან ერთად. ეს არის სტრატეგიული ამოცანა. თუ ეს მოხერხდა, სააკაშვილი ვერც პრემიერ-მინისტრი გახდება და ვერც პარლამენტის თავმჯდომარე, — განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ.

გიორგი გაჩეჩილაზე ფიქრობს, რომ სააკაშვილისთვის მნიშვნელობა არ აქვს, პრემიერი იქნება თუ პარლამენტის თავმჯდომარე. მისთვის მთავარია, ისეთ თანამდებობაზე იყოს, საიდანაც პროცესების მართვა შეეძლება.

— თუ სტრატეგიული ამოცანის შესრულება მოხერხდა, სააკაშვილი ვერც პრემიერი გახდება და ვერც პარლამენტის თავმჯდომარე, — აცხადებს იგი.

***— ბატონო გიორგი, თქვენი გათვლებით ნაციონალური მოძრაობის დამარცხება არჩევნებში შესაძლებელია?***

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. რატომ დუმს ყველა იმასთან დაკავშირებით, რასაც მე ვაცხადებ. გინდა ბიომეტრიული პასპორტი გააკეთეთ, გინდა არაბიომეტრიული და გინდა ყველა ამომრჩევლის სამგანზომილებიანი ბიუსტები მიიტანეთ საარჩევნო ყუთთან, ამომრჩეველი უფრო კარგად ამოსაცნობი რომ იყოს, მთავარია, არჩევნები ყველა ამომრჩევლისთვის სავალდებულო იყოს, ვისაც მოძრაობა შეუძლია, სარჩევნო ყუთთან მივიდეს. არჩევნები სავალდებული მსოფლიოს 16 თუ 17 ქვეყანაშია. მაგალითად, ავსტრალიაში, ბელგიაში, შვეიცარიის რამდენიმე კანტონში და სხვა ქვეყნებში. არჩევნებზე მისვლა სავალდებულო რომ გახდეს, სააკაშვილი ვერაფერს მოიგებს. ამაზე ყველა დუმს.

***— როგორ წარმოგიდგენიათ ნაციონალების იმ მოთხოვნებზე დათანხმება, რაც ხალხისთვის და ოპოზიციისთვის არის მნიშვნელვანი? ზეწოლით?***

— დღეს ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ერთმანეთს ჭამს — ზოგი იქ არის, ზოგი აქ და ერთმანეთს აკრიტიკებენ, ერთმანეთს ათას სიბინძრეს ეძახიან. ზოგი ამბობს, ჩვენ რევოლუცია გვინდაო. მეორე ნაწილი ამბობს, ჩვენ რევოლუცია არ გვინდაო. ერთი რამ ვერ გამიგია — რატომ არ შეიძლება ქუჩაში გამოსვლები დაემთხვეს მოლაპარაკებებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით? თუ ვინმეს იმის თავი აქვს, რომ 80-100-150 ათასი კაცი ქუჩაში გამოიყვანოს, ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღებაა შესაძლებელი, რომლითაც საქართველოში სააკაშვილის რეჟიმს დაამთავრებს. ერთმანეთს რატომ უყენებენ ბრალდებებს, არა შენ ხარ შეკრული, არა შენო; არა შენ ხარ აგენტი, არა შენო; რაშია საქმე, ამის გაკეთება რატომ არ შეიძლება? რა უნდა ამის გაკეთებას, ეს ხომ უმარტივესია.

***— მსგავსი გამოცდილება ხომ არსებობს, 90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტურ ხელისუფლებას უკან რომ დაახევინეს და ნორმალური საარჩევნო კანონი მიაღებინეს?***

— მაშინ რეალური პოლიტიკური მოძრაობები, დამოუკიდებლობის მიღწევის რეალური მიზანი და რეალური პროცესი იყო. დღეს პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილი ფიქრობს, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში თვითონ როგორ გაძვრეს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება აუცილებელი და შესაძლებელია?***

— ბლოკების შექმნა და არჩევნებში ერთად გამოსვლა აუცილებელი არ არის. ერთიანობა საჭიროა საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. ქუჩის დახმარებით იქნება, თუ მოლაპარაკებებით, საჭიროა ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც ამ ხელისუფლებას აიძულებს ან წავიდეს დათმობებზე და ნორმალური საარჩევნო გარემო შეიქმნას, ან ვაიძულოთ მომავალ წელს აღარ იყოს ხელისუფლებაში. ყველა შემთხვევაში ისეთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომლითაც ამ ხელისუფლებას ქართველი ხალხი ან მომავალ წელს მოიშორებს, ან რამდენიმე ხნის შემდეგ. ეს დასავლეთში ყველამ იცის, მაგრამ დასავლეთი რას იზამს? ამდენ ტლიკინს და ამდენ ლაპარაკს 24 საათის განმავლობაში, სჯობს საქმე აკეთონ. მაგალითად, მწვანეთა პარტიამ შეძლო დაედგინა, რამდენი მოსახლეა და რამდენი ამომრჩეველია საქართველოში. გაგიკვირდებათ, ისეთი შედეგები გვაქვს.

# თავისუფალი თეატრი 10 წლისაა

დასაწყისი მე-16 გვერდზე

კახა მიქიაშვილს, მარიამ ჯოლოგუას, ბუბა გოგორიშვილს, თიკო კორძაძეს, ჯაბა კილაძეს, სლავა ნათენაძეს, გოგა ბარბაქაძეს, მაია დობორჯგინიძეს, მამუკა მუმლაძეს, ქეთა ლორთქიფანიძეს, მიხეილ არჯევანიძეს, სანდრო მარგალიტაშვილს, თამუნა ნიკოლაძეს, თათული ედიშერაშვილს, გიორგი ჯიქიას, ვანო ქურასბედიანს, მარიშა კიტიას. ამ თეატრის სცენაზე სხვადასხვა სპექტაკლებში თამაშობდნენ და თამაშობენ ქართული თეატრის ისეთი ცნობილი მსახიობები, როგორიცაა გურამ საღარაძე, ჯემალ ღაღანიძე, თათული დოლიძე, მარინე ჯანაშია, ირინა მელვინეთუხუცესი, რამაზ იოსელიანი, დიმა ჯაიანი, ევა ხუტუნაშვილი, ვანო იანტბელიძე. „თავისუფალ თეატრმა" ამ ათი წლის მანძილზე ბევრ სიხარულთან ერთად დიდი ტკივილიც ნახა, სწორედ „თავისუფალი თეატრის" სცენაზე დაიბადა და ცხრა წლის მანძილზე ამ თეატრის ნომერ პირველი ვარსკვლავი იყო არაჩვეულებრივი მსახიობი და პოეტი ნიკო გომელაური. „თავისუფალის" სცენაზე ითამაშა თავისი ბოლო როლები შესანიშნავმა მსახიობმა მიშა ჯოჯუამ. „თავისუფალი თეატრის" სპექტაკლებს დღიდან დაარსებისა ყოველთვის ჰყავს მაყურებელი, ის ორშაბათის გარდა თითქმის ყოველდღე თამაშობს სპექტაკლებს. „თავისუფალი თეატრი" საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული თეატრია, ის ალბათ ერთადერთი თეატრია, სადაც სპექტაკლებამდე ორი სამი კვირით ადრე იყიდება ბილეთები. „თავისუფალმა თეატრმა" სპექტაკლები უჩვენა საქართველოს ყველა კუთხეში, ის იყო პირველი თეატრი, რომელმაც მოახერხა და 2004 წელს უჩვენა სპექტაკლები მაყურებელს კონფლიქტის ზონაში — ცხინვალის რეგიონში. შემთხვევითი არაა, რომ სწორედ „თავისუფალი თეატრის" მსახიობებით დაკომპლექტდა ყველაზე პოპულარული ტელე სერიალი „შუა ქალაქი". არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ „თავისუფალი თეატრის" ბაზაზე შეიქმნა კინო სტუდია, რომელზედაც გადაღებული იქნა ისეთი მხატვრული ფილმები, როგორიცაა „იდიოტოკრატია" და „ყველაფერი კარგად იქნება". მიუხედავად იმისა, რომ თეატრი დღესაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, თეატრი მადლიერია ქალაქ თბილისის მერიის კულტურის სამსახურის, რადგან რამდენჯერმე მიიღო მათგან სპექტაკლების ერთჯერადი დაფინანსება და საგასტროლო გრანტები. მრავალფეროვანია და შთამბეჭდავია „თავისუფალი თეატრის" საგასტროლო-საფესტივალო რუკა, ის არაერთხელ იყო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, რუსეთი, გერმანია, საბერძნეთი, პოლონეთი, ეგვიპტე, თურქეთი, რუმინეთი. ეს ის ქვეყნებია, სადაც „თავისუფალმა თეატრმა" წარმოადგინა თავისი სპექტაკლები და მიიღო იქ ყველაზე მაღალი შეფასებები. ბოლო წლებში დადგმულმა სპექტაკლებმა „ძმები", „იდიოტოკრატია", „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები", „კავკასიური ცარცის წრე", „მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ" ერთიორად გაზარდეს თეატრის პოპულარობა და ჩააყენეს ის არა მარტო ქართული, არამედ ევროპის საუკეთესო თეატრების რიგში. „თავისუფალი თეატრი" თავის ათი წლის იუბილეს ახალი გამარჯვებებით, თეატრალური და კინო პრემიერებით ხვდება. ის კვლავაც ერთგულია იმ დევიზისა, რომლის დეკლარირება ათი წლის წინ მოახდინა: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს", — ნათქვამია თავისუფალი თეატრის განცხადებაში.



თავისუფალი თეატრის დასში გაერთიანებული არიან რეჟისორები ავთო ვარსიმაშვილი, გიორგი შალუტაშვილი, ანდრო ენუქიძე, დათო დოიაშვილი, გოგი თოდაძე, გოჩა კაპანაძე, ვახტანგ ნიკოლავა; მხატვრები — მირიან შველიძე, თამარ მაჭარაშვილი, ნატა კობახიძე, აივენგო ჭელიძე. რაც შეეხება მსახიობებს, „თავისუფალ თეატრში" არიან სლავა ნათენაძე, მაია დობორჯგინიძე, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე, მარიამ ჯოლოგუა, თამუნა ნიკოლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიშა კიტია, ვანო ქურასბედიანი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, მიშა არჯევანიძე, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, სალომე ჭულუხაძე, ნანა დარჩიაშვილი, ლელა მეტრეველი, თამუნა ადამია, მარიამ ნადირაძე, ფიქრია ნიქაბაძე, კახა გოგიძე, თათული ედიშერაშვილი. ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ კი ამ ათი წლის განმავლობაში თეატრში მოწვეული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა თეატრის მსახიობები — გოგა ბარბაქაძე (რუსთაველის თეატრის მსახიობი), ევა ხუტუნაშვილი (ქუთაისის თეატრის მსახიობი), ბუბა გოგორიშვილი (დრამისა და მუსიკის მსახიობი), ვანო იანტბელიძე (თელავის თეატრის მსახიობი), მარინე ჯანაშია (რუსთაველის თეატრის მსახიობი), მარინე კახიანი (რუსთაველის თეატრის მსახიობი), ალეკო მახარობლიშვილი (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი), ვაჟა გელაშვილი (მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი), მერაბ ყოლბაია (სოხუმის თეატრის მსახიობი).

— თავისუფალი თეატრი ათი წლისაა, არც კი მჯერა. რა უცებ გაირბინა ამ ათმა წელმა, არადა, რამდენი სიხარული და ტკივილი მოგვიტანა ამ ათმა წელმა. მთავარი სიხარული მაინც ის იყო, რომ ჩვენი მაყურებელი გავიჩინეთ, რომელიც ათი წელია ჩვენს გვერდით დგას დიდი სიყვარულით, მთავარი ტკივილი კი ნიკოს წასვლა იმ ქვეყნად. „თავისუფალი" მთელი ამ ათი წლის მანძილზე მართლა თავისუფალი იყო და ასე ღირსეულად განაგრძობს თავის ცხოვრებას და ჩვენი თეატრი ოც წელსაც იზეიმებს და ას წელსაც, — ამბობს „თავისუფალი თეატრის" დამაარსებელი ავთანდილ ვარსიმაშვილი.

იუბილემდე რამდენიმე დღით ადრე, ავთანდილ ვარსიმაშვილმა თეატრის ერთგულ მაყურებელს შესთავაზა ახალი სპექტაკლი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში", რომელიც რეჟისორმა თამრი ფხაკაძის მოთხრობის მიხედვით დადგა. სპექტაკლში მონაწილეობენ სანდრო მარგალიტაშვილი, ანი ალადაშვილი, ვანო ქურასბედიანი, გიორგი ჯიქია.

სულ მალე კი კინოთეატრებში გამოვა „თავისუფალი თეატრისა" და „ვარს-სტუდიოს" ახალი ფილმი სახელწოდებით „მიდი ძმაო, მიდი!" — ასეთია ახალი ქართული კომედიის სახელწოდება, რომლის გადაღებებიც უკვე დასრულდა. როგორც შემოქმედებითი ჯგუფი აცხადებს, ფილმი ნიკო გომელაურის ხსოვნას ეძღვნება. იგი ავთო ვარსიმაშვილმა გადაიღო, ოპერატორია მიშა მაღალაშვილი, მთავარ როლებში — აპოლონ კუბლაშვილი, ირაკლი აფაქიძე, ქეთა ლორთქიფანიძე, გოგა ბარბაქაძე, ჯაბა კილაძე, კახა მიქიაშვილი, სანდრო მარგალიტაშვილი.

# ანუკა ქებურია საუკეთესოა

ეკა ირემაშვილი

სოფო ჭყონიამ ახალგაზრდა დიზაინერების კონკურსი გამართა, რომელშიც მონაწილეობა დამწყებმა მემოდელეებმა მიიღეს. „ბი ნექსტ" (იყავი შემდეგი) — ასე ეწოდებოდა კონკურსს, რომელშიც მონაწილეობის სურვილი ბევრმა ახალბედა დიზაინერმა გამოთქვა, თუმცა კონკურსის პირობების თანახმად, მასში მონაწილეობა მაქსიმუმ 25 დიზაინერს შეეძლო.

საბოლოოდ კონკურსის ორგანიზატორებმა 22 დამწყები დიზაინერი შეარჩიეს, რომელთაგან ხუთი მათგანი უცხოელებით დაკომპლექტებულმა ჟიურიმ საუკეთესოდ მიიჩნია. ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსის გამარჯვებული ჟიურის გადაწყვეტილებით ნიკა ყუბანეიშვილი გახდა. მეორე ადგილი კი მოდის სამყაროს წარმომადგენლებმა ლაშა მდინარაძეს მიაკუთვნეს. ახალგაზრდა დიზაინერი ანუკა ქებურია კი „საუკეთესო აქსესუარების დიზაინერად" დასახელდა.

— ეს კონკურსი აძლევს შანსს ახალბედა დიზაინერებს, საკუთარი შემოქმედება ფართო საზოგადოების წინაშე გამოიტანონ და მომავალში მსოფლიო მოდის სახლებში გააგრძელონ სწავლა, — განაცხადა სოფო ჭყონიამ.

კონკურსში მონაწილე ყველა დიზაინერს ორგანიზატორებმა ერთი პირობა წაუყენეს — მათ მსოფლიო მოდის მოთხოვნილებები უნდა დაეკმაყოფილებინათ. გამარჯვებულები კონკურსის სპონსორებმა და მხარდამჭერებმა სხვადასხვა პრიზებით დააჯილდოვეს.

— ეს კონკურსი იმისთვის დავაარსეთ, რომ დავეხმაროთ ქართველ დიზაინერებს, გაიარონ სტაჟირება საუკეთესო მოდის სახლებში. ჩვენ მომავალშიც ვაპირებთ ამ მიმართულებით მუშაობას და კიდევ არაერთი ნიჭიერი მემოდელის აღმოჩენას გპირდებით, — აღნიშნა სოფო ჭყონიამ.

როგორც „საუკეთესო აქსესუარების დიზაინერმა" ანუკა ქებურიამ განაცხადა, მან კონკურსზე ხუთი მოდელი წარმოადგინა.

— გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი და სიმართლე გითხრათ, არც ვფიქრობდი, რადგან ჩემთვის ამ კონკურსში მონაწილეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამარჯვება. ზოგადად სხვადასხვა კონკურსები ჩემთვის, როგორც დიზაინერისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია უკეთესი წინსვლისთვის. თან ამ კონკურსზე ისეთი ჟიური იყო, რომ მათი შეფასება თითოეული დიზაინერისთვის პატივსაცემია. ძალიან მიხარია, რომ „საუკეთესო აქსესუარების დიზაინერად" დამასახელეს, — აღნიშნა ანუკა ქებურიამ.


## განცხადება

**ამხანაგობა „მზიური 2003"-ის კრების მოწვევის შესახებ**

ამხანაგობა „მზიური 2003" განმეორებით იწვევს ამხანაგობის წევრთა კრებას, რომელიც გაიმართება ამხანაგობის ადგილსამყოფელზე 2011 წლის 12 აპრილს, 17 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რამიშვილის ქ.№25 (ყოფილი ჭავჭავაძის I ჩიხი). შემდეგი დღის წესრიგით:

დღის წესრიგი

— ამხანაგობა „მზიური 2003"-ის დამფუძნებელი წევრის ინდივიდუ-ლური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ბაგები XXI" ამხანაგობიდან გარიცხვის შესახებ, ამხანაგობა „მზიური 2003"-ის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ამხანაგობის ყველა წევრი უნდა გამოცხადდეს 2011 წლის 12 აპრილს, 17 საათზე, ქ.თბილისი, რამიშვილის ქ.№25 (ყოფილი ჭავჭავაძის I ჩიხი).

*ამხანაგობა „მზიური 2003"-ის თავმჯდომარე ნუნუ ზურაბიშვილი*

## განცხადებები

● ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: აღმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

## SMS-განცხადებები - 3090

● იყიდება ზემო მთაწმინდაზე 3-ოთახიანი ნათელი, იზოლირებული ბინა, პარკეტით, ბუნებრივი აირით, 2(2), საცხოვრებელი ფართი 50 კვ.მ., სათავსოები - 15 კვ.მ. ფასი - 38.000 დოლარი. ტელ: 851 35 01 05; 893 99 37 50.

● იყიდება 50 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ჯავახეთის ქუჩაზე. ტელ: 893 04 88 66.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში 3000 კვ.მ. ხეხილიანი მიწის ნაკვეთი მდ. ქსანთან ახლოს, მოსახლეობიდან 200 მ. დენი გვერდზეა, შეიძლება გაფართოებაც. საჯარო რეესტრით. ფასი 1 კვ.მ. - 1,50 ლარი. ტელ: 899 57 87 84; 855 72 53 17.

● ვყიდი ხელით ნაწერ „ვეფხისტყაოსანს". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899 74 23 81. ლამარა.

● იცვლება 3- ან 2-ოთახიან ბინაზე 5-ოთახიანი იზოლირებული ბინა, ბუხრით, დერეფანში იატაკზე თეთრი მარმარილოთი, 2 აივნით, საერთო ფართი - 117 კვ.მ. იტალიურ ეზოში მეორე სართულზე. ვ.ბაგრატიონის ქუჩა, 18. გარეუბნები არ გამოგვეხმაურონ. ტელ: 34 15 13.

● ქირავდება საოფისე ფართი 250 კვ.მ. ჯავახეთის ქ., 66. ტელ: 893 04 88 66.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ისრაელმა ისტორია შეგვიწყვიტა



**ისრაელი — საქართველო 1:0**

*1:0 ბენ ხაიმი (59)*

**ისრაელი:** ავატი, კეინანი, გერშონი, ბონდარი, ბენ ჰაიმი, ალმოგ კოენი, კაიალი, ნათჰო (ბენ ხაიმი, 53), რეფაელოვი (ვერმუთი, 63), ბუზაგლო, ბარდა (ბენაიუნი, 72).

**სათადარიგოები:** გორეში, ტავათა, ალბერმანი, საჰარი.

**საქართველო:** რევიშვილი, სალუქვაძე, ხუბუტია, ამისულაშვილი, კალაძე (კაპ), ხიზანიშვილი, კანკავა, დაუშვილი (კვირკველია, 46), იაშვილი (დვალიშვილი, 64), კობიაშვილი, მარცვალაძე (სირაძე, 73).

**სათადარიგოები:** ლორია, კაშია, ალადაშვილი, გელაშვილი.

**გაფრთხილებები:** ამისულაშვილი (43), მარცვალაძე (45), კოენი (62), ბონდარი (76), კობიაშვილი (89).

**მსაჯები:** ფრედი ფოტრელი; ფრედი ჰარჩაი, ლორენ სტინი; რუდი ბოკუ (საფრანგეთი).

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. დასასრული ყველაფერს აქვს და ასე დაემართა საქართველოს ნაკრების 10-მატჩიან წაუგებელ სერიას. თემურ ქეცბაიას ხელში □ბორჯღალოსნებმა□ პირველი მარცხი განიცადეს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამით ტრაგედია არ მომხდარა — შანსი მცირე, მაგრამ ჯერ კიდევ არის.

ამ მარცხს თავისი მიზეზებიც აქვს: პირველი ის, რომ ურთულესი ხორვატიასთან მატჩის შემდეგ ძალიან ძნელი იყო 3 დღეში ძალების სრულად აღდგენა. ამიტომაც იყო, რომ ძალიან ხშირად ჩვენი გუნდი ისე ვერ გამოიყურებოდა, როგორც საჭიროა. არადა, ეს მატჩი ებრაელთა თხოვნით გადმოიტანეს 29 მარტისთვის — საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ თხოვნას დათანხმდა. შეიძლებოდა თავიდანვე იმის გათვალისწინება, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ებრაელთა თხოვნას. მეორე მიზეზად კი გუნდიდან გოგიტა გოგუას დათხოვნა შეიძლება მივიჩნიოთ. გოგუა ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია, მაგრამ ისრაელის ნაკრებთან მატჩის წინ ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რის შემდეგაც გოგუას საწვრთნელი შეკრება დაატოვებინეს.

თემურ ქეცბაიამ ხორვატებთან მატჩის შედმეგ შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება გააკეთა — ვლადიმერ დვალიშვილი ოთარ მარცვალაძით ჩაანაცვლა. ნათელი იყო ქეცბაიას სათამაშო სქემაც — დაცვაში ყურადღებით თამაში, შუაში პრესინგი და წინ სწრაფი მარცვალაძის იმედი.

მასპინძლები გამოკვეთილი ფორვარდის ელიანივ ბარდას იმედად იყვნენ, რომელსაც ფლანგებიდან რეფაელოვი და კაიალი ეხმარებოდნენ.

თამაში ქართველებმა შებოჭილად დაიწყეს. უკვე მე-3 წუთზე ლაშა სალუქვაძეს ბურთი თავზე აეჭრა და ელიავინ ბარდა რომ ცოტა ყურადღებით ყოფილიყო, ხიფათი დებიუტშივე არ აგვცდებოდა.

დროთა განმავლობაში „ჯვაროსნები" დაწყნარდნენ და თამაში თავიანთთვის სასურველ რიტმში გადაიყვანეს. ებრაელთა აქტიურობასაც უფრო მასპინძლისას თუ დავარქმევთ.

ჩვენთვის სასურველი რიტმი კი უფრო ბურთის დაჭერა და თამაშის მოედნის ცენტრში გადატანა იყო. ამიტომაც პირველ ტაიმში „მალიორკასა" და „ისრაელის" ნაკრების მეკარეს საქმე თითქმის არ ჰქონდა.

სამაგიეროდ, ბუზაგლომ ზედიზედ ორჯერ შეძლო ავათის ქართველი კოლეგის □დასაქმება. მარჯვნიდან მისი მიყოლებითი შეტევების შემდეგ ჩაწოდებული ბურთი ორჯერვე რევიშვილის იოლი ნადავლი გახდა. მე-17 წუთზე კი ქართველ მეკარეს პირველად მოუწია სერიოზულად თამაშში ჩართვა. სტანდარტული სიტუაციიდან ნათჰოს მიერ ჩაწოდებულ ბურთზე ბრძოლისას, გერშონმა თავით თამაშში ხუბუტიას აჯობა და რევიშვილმა ნახტომში მიწიდან ასხლეტილი რთული ბურთის კუთხურზე მოგერიება შეძლო.

ქართველთაგან, კარისკენ პირველი დარტყმა მე-19 წუთზე მოხდა. ჯაბა კანკავამ დაახლოებით 25 მეტრიდან დაჰკრა ებრაელთა კარისაკენ, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. თითქმის იმავ წუთს, ქართველ მცველებს მარცხენაფლანგელი გერშონი შეეპარათ საჯარიმოში, რევიშვილმა დასარტყმელი კუთხე გადაუფარა, თუმცა, შემტევმა პასი კაიალზე გააკეთა, რომლის დარტყმულს ამისულაშვილმა არ მისცა ცარიელ კარში შეღწევის საშუალება.

მასპინძლების საწყის აქტიურობას ქართველებმა ალღო მალე აუღეს და ტაიმის ბოლოსაკენ უპირატესობის ხელში აღებაც შეძლეს. დროის ამ მონაკვეთში, კარში დარტყმის რეალური შანსი კობიაშვილს მიეცა, რომელიც მარჯვენა ფლანგიდან იაშვილის ჩაწოდებულ ბურთს, მეკარის მოედანში აუხტა, მაგრამ ვერ შესწვდა.

შესვენებაზე, ქეცბაიამ მურთაზ დაუშვილი დავით კვირკველიათი ჩაანაცვლა და მისი გუნდის სათამაშო სქემა ცოტათი შეცვალა. ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე მოთამაშე კობიაშვილი ცენტრში გადმოიყვანა, კვირკველიამ კი მისი ადგილი დაიკავა. უფრო აქტიურად განაგრძო თამაში მარცვალაძემ, რომელსაც 51-ე წუთზე სულ ცოტა დააკლდა მეკარესთან პირისპირ დარჩენილიყო. ცოტა ხანში, ოთარმა მაინც მოახერხა მეტოქის კარისთვის დამიზნება, მაგრამ ცოტათი უზუსტოდ. ამას რევიშვილის კარის მიმართულებით მორიგი სახიფათოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმა მოჰყვა — ბურთი მცირედით გადასცდა ხარიხას.

ამასობაში, იმ საბედისწერო შეცდომის დროც დადგა, რომელსაც ათმატჩიანი წარმატებული სერიის შემდეგ, ქართველთა პირველი მარცხი მოჰყვა. „ჯვაროსანთა" საჯარიმოს შუაგულიდან განვითარებულმა სწრაფმა შეტევამ მარცხნივ გადაინაცვლა, იქ სალუქვაძეს თავისი ფლანგი მიტოვებული ჰქონდა და ცენტრში აღზვევდა თანაგუნდელებს, სამაგიეროდ, მისი დაზღვევა ნახევარმცველებმა ვერ მოახერხეს და შეცდომა ამ ჯაჭვის შემდეგ ხელსაყრელ სიტუაციაში დარჩენილმა ტალ ბენ ხაიმმა ნაკრებში მისი დებიუტი გოლით აღნიშნა.

და ამის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებს მაინც შეეძლო აღთქმული მიწიდან ქულა მაინც წამოეღო. შეცვლაზე შესულ ვლადიმერ დვალიშვილი დასარტყმელ პოზიციაზე მასპინძლებმა დატოვეს — მცველის შეცდომის შემდეგ ლადო მეკარესთან პირისპირ დარჩა, კარიც დაუცველი იყო, მაგრამ ჩვენებურის დარტყმული კარს ზემოდან გადასდა. არადა, ეს იყო ურეალურესი შანსი გოლის გატანისა.

ამის შემდეგ ჩვენი შეტევები უფრო ქაოტური იყო და მეტი შანსი აღარც მოგვცემია.

**მატჩის შემდეგ:**

**თემურ ქეცბაია, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

— პირველ ტაიმთან შედარებით, მეორეში გამოცოცხლდნენ გუნდები და მაყურებელს ცუდი თამაში არ უნახავს. სამწუხაროდ, საბედისწერო შეცდომა დავუშვით. როგორც ჩანს, ზედიზედ 2 მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება არ შეგვიძლია. არ ვართ ის გუნდი, რომელსაც სულ წაუგებლად თამაშის ძალა შესწევს. როდესმე უნდა წაგვეგო და დღეს წავაგეთ. ჩვენ ზაფხულამდე გასამართ სამ მატჩში 3 ქულის აღებას ვგეგმავდით. როგორც ხედავთ, გეგმა პირველსავე მატჩში შევასრულეთ. დაგვრჩა ივნისში ხორვატიასთან თამაში და შევეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ.

**ზურაბ ხიზანიშვილი:**

— ხორვატიის თამაშის შემდეგ, ძალიან კარგი განწყობა გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, წავაგეთ. რას იზამ, ეს ფეხბურთია — ძალიან დასანანი გოლი გავუშვით. ჯერჯერობით, ყველაფერი წინ გვაქვს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მომავალ მატჩებში უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ.

**კახა კალაძე:**

— ნამდვილად არ იყო წასაგები თამაში. დასანანია, როცა თანაბარ ბრძოლაში დამარცხდები. ვთვლი, რომ გუნდმა კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მე-2 ტაიმში. როცა უკეთესად ავთამაშდით, მაშინ გავუშვით გოლი. გული არ უნდა გავიტეხოთ, ჯერ კიდევ არაფერია დაკარგული. წინ უფრო მნიშვნელოვანი თამაშები გველის და ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბერძნეთი | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 11 |
| 2.ხორვატია | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| 3.ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| 4.საქართველო | 6 | 2 | 3 | 1 | 4:3 | 9 |
| 5.ლატვია | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| 6.მალტა | 5 | 0 | 0 | 5 | 1:10 | 0 |

# საქართველოსგან ძლეულ ხორვატიას საფრანგეთმა ვერ მოუგო

სანამ საქართველოს ნაკრები შესარჩევი ეტაპის მატჩს ისრაელში ატარებდა, ჩვენი ჯგუფის მეტოქეებმა ამხანაგური მატჩებისთვის მოიცალეს. საბერძნეთმაც და ხორვატიამ თავიანთი ამხანაგური მატჩები 0:0 დაასრულეს.

საქართველოს ნაკრებთან განცდილი მარცხის შემდეგ პარიზში უხასიათოდ ჩასულმა ხორვატებმა მასპინძლებს დიდი ბრძოლა გაუმართეს და გოლი არ გაატანინეს. ყველაზე კარგი შანსი, 37-ე წუთზე, „მამლების" ფორვარდ კარიმ ბენზემას ჰქონდა, მაგრამ 3 მეტრიდან ვერ შეაგდო. პირველ ტაიმში ენტონი რეველიერსაც შეეძლო ხორვატთა დამწუხრება, თუმცა, ვედრან რუნიეს ვერ აჯობა. 69-ე წუთზე, „ლილის" მცველმა ადელ რამიმ მოაწყო სოლო გარღვევა და საჯარიმოს გარედან მოხდენილად დაარტყა — ბალკანელები ძელმა იხსნა.

თავის მხრივ, ივან პერიშიჩსა და დარიო სრნასაც შეეძლოთ მასპინძელთა კარის აღება, ხოლო ივან რაკიტიჩმა ოდნავ ააცილა. მთლიანობაში, სლავენ ბილიჩის გუნდი სტატისტის როლში სულაც არ ყოფილა.

ჯგუფის ლიდერმა საბერძნეთმა შინ პოლონეთს ვერ სძლია, თუმცა, არც ჰქონდა მოსაგები, რადგან სტუმართა ფორვარდ რობერტ ლევანდოვსკის 100-პროცენტიანი მომენტები გაუცუდდა.

შეხსენებისთვის, წლეულს საქართველოს ნაკრები პოლონეთსაც შეხვდება — ათ აგვისტოს სტუმრად ამხანაგურ შეხვედრაში.

**საფრანგეთი-ხორვატია 0:0**

**საფრანგეთი:** ლორისი, რეველიერი, მექსე, რამი (სახო 90), კლიში, მატუი (მვილა 86), ალიუ დიარა, მენეზი (რემი 60), ნასრი (გურკუფი 88), მალუდა (რიბერი 60), ბენზემა (გამეირო 75).

**ხორვატია:** რუნიე (პლეტიკოშა 46), ჩორლუკა, ლოვრენი, შიმუნიჩი, პრანიჩი (სტრინიჩი 24; რაკიტიჩი 46), ვუკოევიჩი, მოდრიჩი, სრნა (ვიდა 80), პერიშიჩი (პეტრიჩი 75), კრანჩარი, იელავიჩი (კალინიჩი 55).

**საბერძნეთი-პოლონეთი 0:0**

**საბერძნეთი:** ხალკიასი, ვინტრა, მორასი, პაპადოპულოსი, ლაგოსი, კონე (ლიბეროპულოსი 59), კარაგუნისი (კაცურანისი 56), კაფესი, ფეტფაციდისი (სალპიგიდისი 46), სამარასი (ტოროსიდისი 68), მიტროღლუ (ნინისი 60).

**პოლონეთი:** სანდომიერსკი, პიშჩეკი, მიხალ ჟევლაკოვი (იოდლოვიეცი 63), გლოვაცკი, სადლოკი, დუდკა, ბლაშჩიკოვსკი, მიერზეჟევსკი (მურავსკი 46), პეშკო (გროსიცკი 77), ობრანიაკი (გერეირო 83), რობერტ ლევანდოვსკი (კუჩარჟიკი 83).

# ვან მარვიიკი თამაშის ხარისხით უკმაყოფილოა

ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბერტ ვან მარვიიკი, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, საკუთარ მოედანზე უნგრეთთან მოგებული (5:3) მატჩის შემდეგ, შეგირდების თამაშით უკმაყოფილო დარჩა.

— გულშემატკივრები გოლების ფოიერვერკის მომსწრენი გახდნენ. ეს მათთვის დღესასწაული იყო. თუმცა, როგორც მწვრთნელს, არ შემიძლია ვთქვა, რომ საკუთარი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ. უბრალოდ, დაცვაში ამდენი შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. არ შეიძლება, რომ მეტოქემ თავდაჯერებულობა იგრძნოს. სწორედ, მოდუნების გამო, კინაღამ ქულები დავკარგეთ. საბედნიეროდ, გამარჯვება რაღაც სასწაულის ხარჯზე მოვიპოვეთ. რაც შეეხება ვან პერსის, მისი ტრავმა სერიოზული არაა. ვენგერს სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ვან პერსი მომავალ უქმეებზე □„არსენალში" თამაშს შეძლებს, — განაცხადა ვან მარვიიკმა.

ჰოლანდიის ნაკრები, რომელსაც ე ჯგუფში მეტოქეებად უნგრეთი, შვედეთი, მოლდოვა, ფინეთი და სან მარინო ჰყავს, 6 მატჩის შემდეგ სატურნირო ცხრილს 18 ქულით ლიდერობს.

# ჩეზარე პრანდელი: წინ ბევრი სამუშაო გველის

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ უკრაინასთან (0:2) ამხანაგური მატჩის შემდეგ აღნიშნა, რომ გუნდმა მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად გამარჯვება შეძლო. მისი თქმით, შედეგი შუა ხაზში „სკუადრა აძურას" წარმატებულმა მოქმედებებმა განსაზღვრა.

— ამ მატჩის ამხანაგური სტატუსის მიუხედავად აგრესიულად ვითამაშეთ. სლოვენიასთან შეხვედრასთან შედარებით ბევრი ცვლილება გავაკეთეთ, ტაქტიკური სქემაც შევცვალეთ. მიუხედავად ამისა, კვლავ მოვიგეთ! ამ შედეგებმა ჩვენს გუნდს თავდაჯერებ უნდა შემატოს, თუმცა, წინ კიდევ ბევრი სამუშაო გველის. უკრაინას ღირსეული პასუხი გავეცით. ბევრი რამ ჩვენი შუა ხაზელების საიმედო თამაშმა განსაზღვრა. ნახევარდაცვამ თავის ამოცანასთან გამკლავება შეძლო და ბევრ კითხვას გასცა პასუხი. რა თქმა უნდა, ორმაგად სასიამოვნოა ის, რომ გავიმარჯვეთ, ათი კაცით დარჩენის მიუხედავადაც კი, — თქვა პრანდელიმ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევრო-2012. შესარჩევი ეტაპი**

**ა ჯგუფი**

თურქეთი-ავსტრია ........ 2:0
ბელგია-აზერბაიჯანი ........ 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 5 | 5 | 0 | 0 | 17:1 | 15 |
| 2.ბელგია | 6 | 3 | 1 | 2 | 14:9 | 10 |
| 3.თურქეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:6 | 9 |
| 4.ავსტრია | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| 5.აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:13 | 4 |
| 6.ყაზახეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:14 | 0 |

**ც ჯგუფი**

ესტონეთი-სერბეთი ........ 1:1
ჩრ. ირლანდია-სლოვენია ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 13 |
| 2.სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 8 |
| 3.სერბეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | 8 |
| 4.ესტონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| 5.ჩრ.ირლანდია | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| 6.ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 3:16 | 1 |

**დ ჯგუფი**

რუმინეთი-ლუქსემბურგი ........ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:1 | 12 |
| 2.ბელარუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:1 | 8 |
| 3.ალბანეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:4 | 6 |
| 4.ბოსნია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 5.რუმინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| 6.ლუქსემბურგი | 6 | 0 | 1 | 5 | 1:11 | 1 |

**ე ჯგუფი**

შვედეთი-მოლდოვა ........ 2:1
ჰოლანდია-უნგრეთი ........ 5:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჰოლანდია | 6 | 6 | 0 | 0 | 21:5 | 18 |
| 2.შვედეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:5 | 9 |
| 3.უნგრეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:13 | 9 |
| 4.მოლდოვა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:5 | 6 |
| 5.ფინეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 10:6 | 3 |
| 6.სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:29 | 0 |

**ი ჯგუფი**

ჩეხეთი-ლიხტენშტაინი ........ 2:0
ლიტვა-ესპანეთი ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:5 | 15 |
| 2.ჩეხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:3 | 9 |
| 3.შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 4.ლიტვა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |
| 5.ლიხტენშტეინი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

**ამხანაგური მატჩები**

ბელარუსი-კანადა ........ 0:1
ყატარი-რუსეთი ........ 1:1
პერუ-ეკვადორი ........ 0:0
კვიპროსი-ბულგარეთი ........ 0:1
სლოვაკეთი-დანია ........ 1:2
საბერძნეთი-პოლონეთი ........ 0:0
კოლუმბია-ჩილე ........ 0:2
გერმანია-ავსტრალია ........ 1:2
ირლანდია-ურუგვაი ........ 2:3
უკრაინა-იტალია ........ 0:2
ინგლისი-განა ........ 1:1
საფრანგეთი-ხორვატია ........ 0:0
პორტუგალია-ფინეთი ........ 2:0
კუბა-პანამა ........ 0:2
აშშ-პარაგვაი ........ 0:1
სალვადორი-იამაიკა ........ 2:3
კოსტა რიკა-არგენტინა ........ 0:0
მექსიკა-ვენსუელა ........ 1:1

**ეჩ-2013 (21)**

კვიპროსი-სან მარინო ........ 6:0
ანდორა-უელსი ........ 0:1
ამხანაგური მატჩები ........ (21)
სერბეთი-უკრაინა ........ 2:2
ისრაელი-ალბანეთი ........ 1:1
რუსეთი-აზერბაიჯანი ........ 8:0
რუმინეთი-საქართველო ........ 2:1
ჩეხეთი-საფრანგეთი ........ 0:1
ავსტრია-ნორვეგია ........ 2:1
გერმანია-იტალია ........ 2:2
ჩერნოგორია-მაკედონია ........ 0:1

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

კლივლენდი-მაიამი ........ 102:90
ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი ........ 87:112
ოკლაჰომა-გოლდენ სტეიტი ........ 115:114(ოტ)
საკრამენტო-ფინიქსი ........ 116:113

**ევროლიგა. ულების თასი**

მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი ........ 81:72
ვალენსია-რეალი ........ 66:75
პანათინაიკოსი-ბარსელონა ........ 76:74
მაქაბი-ლაბორალი ........ 81:60

### ჩოგბურთი

**ატპ. მაიამი. ჰარდი**

ჯოკოვიჩი-ტროიცკი ........ 6:3;6:2
ნადალი-დოლგოპოლოვი ........ 6:1;6:2
სიმონი-ტიპსარევიჩი ........ 4:6;7:6;6:2
ფედერერი-როხუსი ო. ........ 6:3;6:1

**ვტა. მაიამი. ჰარდი**

კლაისტერსი-ივანოვიჩი ........ 7:6;3:6;7:6
შარაპოვა-დულჟერუ ........ 3:6;7:6;7:6

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

პიტსბურგი-ფილადელფია ........ 2:5
ტორონტო-ბუფალო ........ 4:3
ბოსტონი-ჩიკაგო ........ 3:0
მონრეალი-ატლანტა ........ 3:1
ტამპა ბეი-ოტავა ........ 5:2
ნეშვილი-ვანკუვერი ........ 1:3
სენტ ლუისი-მინესოტა ........ 2:2(0:1ბ)
ედმონტონი-ლოს ანჯელესი ........ 0:2
ფინიქსი-დალასი ........ 1:1(1:0ბ)

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# დღის კალენდარი

## 31 მარტისთვის



წლის 90-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 275 დღე.

## საეკლესიო კალენდარი

**დიდმარხვის IV შვიდეული.**
**ხუთშაბათი**

კირილე იერუსალიმელი მთავარეპისკოპოსისა (386); მოწამეთა: ტროფიმესი და ევკარპისი და მათთანათა (დაახლ. 300); ღირსისა ანინე მონაზონისა.

### დაიბადნენ:

1519 — ჰენრიხ II, საფრანგეთის მეფე, გარდაიცვალა 1559 წელს.

1596 — რენე დეკარტი, ფრანგი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი, ანალიზური გეომეტრიის ფუძემდებელი.

1658 — იოჰან სებასტიან ბახი, გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი.

1732 — იოზეფ ჰაიდნი, ცნობილი ავსტრიელი კომპოზიტორი, 104 სიმფონიის, 83 კვარტეტის, 52 საფორტეპიანო სონეტის, მესებისა და ოპერების ავტორი.

1847 — პაველ იაბლოჩკოვი, რუსი გამომგონებელ-ელექტროტექნიკოსი, გარდაიცვალა 1934 წელს.

1855 — მოსე ჯანაშვილი, ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1934 წელს.

1872 — ალექსანდრა კოლონტაი, ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ქალი.

1872 — სერგეი დიაგილევი, რუსი მეცენატი, დასავლეთში რუსული კულტურის, განსაკუთრებით ბალეტის პოპულარიზატორი.

1882 — კორნეი ჩუკოვსკი, რუსი პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1969 წელს.

1939 — ზვიად გამსახურდია, ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, საქართველოს პრეზიდენტი, მწერალი. გარდაიცვალა 1993 წელს.

1948 — ალბერ გორი, აშშ პოლიტიკური მოღვაწე.

### გარდაიცვალნენ:

1547 — ფრანცისკო I, საფრანგეთის მეფე.

1621 — ფილიპ III, ესპანეთის მეფე.

1855 — შარლოტა ბრონტე, ინგლისელი მწერალი, დაიბადა 1816 წელს.

1945 — ელიზავეტა კარავაევა, პოეტი. 1932 წელს მონაზვნად აღიკვეცა, სიცოცხლე რავენსბრუკის ტყვეთა ბანაკში დაასრულა.

1982 — კარანდაში„ (მიხაილ რუმიანცევი), კლოუნი, სსრკ სახალხო არტისტი.

### მოვლენები:

1889 — პარიზში საზეიმოდ გაიხსნა ეიფელის კოშკი;

1914 — ამერიკული სარეწი გემი დაიმსხვრა კლდეებზე ბელ-აილის სრუტის სამხრეთით. 173 კაცი დაიღუპა;

1945 — შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა;

1980 — ლეონიდ ბრეჟნევს წიგნებისთვის მცირე მიწა„ და აღორძინება„ კრემლში ლენინური პრემია გადასცეს;

1966 — საბჭოთა კავშირში მთვარეზე კოსმოსური რაკეტა გაუშვეს;

1987 — ლა-მანშის სრუტეში ბორანზე მომხდარი კატასტროფის შედეგად 193 კაცი დაიღუპა.

1991 — გაიმართა საყოველთაო რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხის გამო. დამოუკიდებელი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხმა მისცა საქართველოს მოსახლეობის 98,9 პროცენტმა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

მალტა — თავისუფლების დღე.

კალიფორნია — ცეზარ ჩავესის დღე.

აზერბაიჯანი — აზერბაიჯანელთა გენოციდის დღე.

**მედიანიუსი**

# ფინეთის დელეგაცია საქართველოში

*ეკა ირემაშვილი*

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს ფინეთის ეროვნული არქივის დელეგაცია სამდღიანი ვიზიტით ეწვია. დელეგაციას ფინეთის ეროვნული არქივის დირექტორი, ფინეთის ჰერალდიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ჯუსსი ნოურტევა ხელმძღვანელობს, რომელსაც საქართველოში ფინეთის არქივის მიკროფილმირების პროექტის მენეჯერი დიმიტრი ფროლოვიც ჩამოყვა.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია დელეგაციის წევრების შეხვედრა საქართველოს ეროვნული არქივის დირექტორთან თეონა იაშვილთან, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ელდარ შენგელაიასთან და ეროვნული ბიბლიოთეკის თავმჯდომარე ბორის გაგუასთან.

ვიზიტისას ორი ქვეყნის არქივებს შორის გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტების ასლების გაცვლას ითვალისწინებს. ფინეთის ეროვნულ არქივში დაცულია II მსოფლიო ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ქართველების შესახებ დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოს ეროვნულ არქივში საქართველო-ფინეთის კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ურთიერთობების ამსახველი მასალა. ფინეთის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში 2 აპრილს დასრულდება.

# ეტიუდების ფესტივალმა გამარჯვებულები დაასახელა

*ეკა ირემაშვილი*

ეტიუდების ფესტივალი ტრადიციისამებრ, თეატრის საერთაშორისო დღეს დაიწყო. ქართველი თეატრალებისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი დღე უკვე მესამედ ერთად აღნიშნეს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა და ქალაქ თბილისის მერიამ. წლევანდელი ფესტივალი რეგიონალური მასშტაბის იყო. შესაბამისად, მასში თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელოვნებო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

2011 წლის ეტიუდების ფესტივალი ორდღიანი იყო. ფესტივალის გახსნაზე 12 ეტიუდის ჩვენება პირველ საკონკურსო დღეს ორ საათს გაგრძელდა. მეორე საკონკურსო დღეს კი თემო კუპრავას ხელმძღვანელობით 3 საათიანი ვორქშოფი გაიმართა. სამივე ქვეყნის წარმომადგენელი სტუდენტების ურთიერთთანამშრომლობა შედგა, რომლის შედეგადაც დადგმული ეტიუდით, ფესტივალის მეორე საკონკურსო დღე დაიწყო. ხუთი სარეჟისორო ეტიუდის შემდეგ, წლევანდელი ფესტივალის ჟიურის წევრები რეჟისორი გიზო ჟორდანია, თეატრმცოდნე გიორგი ცქიტიშვილი, მსახიობები ნატა მურვანიძე და გოგა პიპინაშვილი საკმაოდ ხანგრძლივი განხილვის და მაყურებლის მოლოდინის შემდეგ დაბრუნდნენ დარბაზში და დაჯილდოებაც დაიწყო.

ეტიუდების ფესტივალზე საუკეთესო შემსრულებელი გოგო გახდა მარიამ სუჯაშვილი (ეტიუდი „როკენ როლი“ რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი), საუკეთესო შემსრულებელი ბიჭი — ლაშა ჯუხარაშვილი (ეტიუდი „გაჩერება“ ). ეტიუდების ფესტივალის წლევანდელი გრან პრი კი გადაეცა ეტიუდს „საქათმე“ მონაწილეები ერეკლე გეწაძე, ანუკა გრიგოლია და ოთარ ჩიქობავა.

ცალკე იყო სტუდენტური ჟიური, რომელშიც შედიოდნენ მომავალი რეჟისორი გიორგი ხოსიტაშვილი, მომავალი მსახიობი ნათია კვაშალი და მომავალი თეატრმცოდნე გურამ კოკაია. მათ თავისი რჩეული გამოავლინეს ნომინაციაში „სტუდენტური ჟიურის სიმპათია“. პრიზი გადაეცა რეჟისორის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტის, ნიკა ლუარსაბიშვილის ეტიუდს „პროფესია“.

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მარჯანიშვილის თეატრმა გამარჯვებულები ფულადი პრემიებით დააჯილდოვეს, ხოლო ფესტივალის პარტნიორმა კომპანიამ „ისი-პარი“, გამარჯვებულებს სურნელოვანი პრიზები გადასცა.

ფესტივალის მიზანი თეატრის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, სტუდენტებში პროფესიული მოტივაციის ამაღლება, შემოქმედების პოპულარიზაცია, მათი წახალისება, ახალი სახეების აღმოჩენა და ტალანტების გამოვლენაა.

# ქართველმა მეცნიერებმა უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე შეისწავლეს

*ეკა ირემაშვილი*

ქართველმა მეცნიერებმა საქართველოში უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე შეისწავლეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისა და წიგნის „უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში“ პრეზენტაცია გაიმართა.

პროექტი მიზნად ისახავდა უძველესი ცივილიზაციის ფორმირების პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საზოგადოების როლისა და ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში მეტალურგიული პროცესების შესწავლას. წიგნში პირველად გამოქვეყნდა უკანასკნელ წლებში საყდრისსა და ბალიჭ-ძეძვებში გათხრილი მსოფლიოს უძველესი ოქროს მაღაროებისა და მადნის მომპოვებელი საზოგადოების დასახლების უნიკალური კომპლექსის მონაცემები.

პრეზენტაციას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი სულხან სისაური და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე დაესწრნენ. სულხან სისაურის განცხადებით, მეცნიერების მიერ შესწავლილი საქართველოს უძველეს ტერიტორიაზე არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეოლოგიური გარემო და მასში აღმოცენებული სამხრეთკავკასიური და საქართველოს მეტალურგია კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უძველეს ცივილიზაციას.

წიგნი განკუთვნილია როგორც პრეისტორიული კავკასიის პრობლემებით დაინტერესებული მეცნიერების, ასევე სტუდენტებისთვის. უახლოეს მომავალში დაგეგმილია წიგნის გერმანულ ენაზე გამოცემა.

წიგნის წარდგინების პარალელურად კი ცნობილი გახდა, რომ ქართველი და გერმანელი მეცნიერები საქართველოში აღმოჩენილი ნეანდერტალელების გენეტიკას იკვლევენ. ამ ერთობლივ პროექტს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი ახორციელებენ. ეს სამუშაოები ითვალისწინებს დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ნეანდერტალელების გენეტიკურ კვლევას. გადაშენებული ჰომინიდები-ნეანდერტალელები ფართოდ იყვნენ გავრცელებული ევრაზიაში, მათ შორის საქართველოშიც. მათი ისტორიის კვლევა პალეოანთროპოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. დიდი ხნის განმავლობაში მათი შესწავლა არქეოლოგიური კვლევით შემოიფარგლებოდა. 1997 წელს მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ სვანტე პააბოს ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველებმა შეძლეს შეესწავლათ ნეანდერტალელების გენი. ამავე ჯგუფმა ნეანდერტალელების სრული გენომი მიიღო.

**სპორტი**

# ახალგაზრდების სამი მარცხი

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ავსტრიაში გამართული ოთხთა ტურნირი უქულოდ დაასრულა. ისრაელთან 0:2 და ალბანეთთან 1:3 მარცხის შემდეგ, ოთარ გაბელიას გუნდი რუმინეთთანაც დამარცხდა — 1:2.

არადა, ანგარიში ქართველებმა გახსნეს, არნემის „ვიტესის“ 17 წლის ფორვარდმა გიორგი ჭანტურიამ მატჩის 32-ე წუთზე 21-წლამდელთა ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ 72-ე წუთზე რუმინელებს ფეხბურთელი გაუძევეს, მაგრამ სწორედ ამის შემდეგ მოატრიალეს თამაში — 74-ე და 85-ე წუთებზე გაუტანეს ქართველებს.

11 კაცით ვერც გაბელიას გუნდმა დაამთავრა მატჩი — 89-ე წუთზე ლევან კაკუბავა გააძევეს.

შეხსენებისთვის, ეს 21-წლამდელთა ახალი ფორმაციის ნაკრებია — 1990 წელს დაბადებულები და უმცროსები თამაშობენ, თუმცა, ეს ვერაფერი გასამართლებელი საბუთია, რადგან ახალი ნაკრებები ჰყავდათ მეტოქეებსაც.

საბოლოოდ, ავსტრიული ტურნირი რუმინეთმა მოიგო. გაბელიას შეგირდებმა ევრო-2013-ის შესარჩევ ჯგუფში უნდა ითამაშონ ესპანეთის, ხორვატიის, შვეიცარიისა და ესტონეთის კომპანიაში.

ქართველები ევროშესარჩევის პირველ მატჩს სამ ივნისს ხორვატიასთან სტუმრად, ქალაქ პულაში ჩაატარებენ.

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2.ისრაელი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| 3.ალბანეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 4.საქართველო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

**მ. ჟ.**

# *ალექს ფერგიუსონი:* ზაფხულში ორ-სამ ტრანსფერს განვახორციელებთ

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მისი კლუბი ახალგაზრდა ფეხბურთელების შეძენის პოლიტიკაზე უარს არ იტყვის.

— ჩვენ გარკვეული სატრანსფერო მიზნები გვაქვს. ეჭვგვარეშეა, რომ ორ-სამ შენაძენს გავაკეთებთ. გლეიზერების ოჯახი ჩვენს სწრაფვას გუნდის გაძლიერებისკენ ყოველთვის მხარს უჭერს. კლუბში ახალგაზრდა ფეხბურთელების მოწვევა კარგად გამოგვდის. შემიძლია ხავიერ ერნანდესის მაგალითი მოვიყვანო. რონალდუს და რუნის ტრანსფერების გახსენებაც შეიძლება. არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ უარი ამ წარმატებულ პოლიტიკაზე. რა თქმა უნდა, მოთამაშეების შეძენას განვაგრძობთ. როდესაც ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენის შესაძლებლობა იქნება, რომელიც ჩვენ გამოგვადგება, ამ შანსს გამოვიყენებთ. ვფიქრობ, ამჟამად ქვეყანაში საუკეთესო ახალგაზრდა ფორვარდები გვყავს. ხავიერ ერნანდესის გარდა, გვყავს დენი უელბეკი, რომელიც ახლა იჯარის წესით „სანდერლენდში“ გამოდის. ის დიდი ტალანტია. შემიძლია კიდევ მამე დიუფი დავასახელო, რომელიც ახლა „ბლექბერნშია“, — აცხადებს შოტლანდიელი მწვრთნელი.

**მ. ჟ.**




# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ინგლისელი მწერალი ქალი; 2. ქიმიური ელემენტი, მახრჩობელა აირი; 3. ყველაზე დიდი ზომის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 6. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 7. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 11. ერთი რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 13. ჰოლივუდის ზანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. რაიმე საკითხთან, საქმესთან, პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული; 15. ლელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 16. დაბალი ხარისხის მურა ნახშირი; 17. დიდი, ხმაურიანი წარმატება; 19. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა; 20. კურორტი ბორჯომის ხეობაში;

**თარაზულად:** 1. ალუმინის შემცველი მადანი; 4. ძაფზე ასხმული სამკაული; 8. საფრანგეთის პირველი ლედი; 9. ფულის ერთეული თურქეთში; 10. აეროპორტი ტოკიოში; 12. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 14. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 18. მუზეუმი მადრიდში; 21. ფულის ერთეული პაკისტანში; 22. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 23. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. შუმი; 2. ერი; 3. კარაბინი; 4. ჯო; 5. გლიპტიკა; 6. ქაჯი; 7. კანტონი; 10. გენი; 14. მონუმენტი; 12. კოქტეილი; 13. ყოჩი; 16. პოშეტი; 18. ბოიკოტი; 19. შტორმი; 21. „სტელა“; 24. ტუნგი.

**თარაზულად:** 1. შევროლე; 3. კოტეჯი; 8. „ილიადა“; 9. მაგო; 14. ენდრო; 15. ბოგოტა; 17. ქუჯი; 20. ნამუსი; 22. კროლი; 23. ტრესტი; 25. სკა; 26. ერბო; 27. „იკაო“; 28. ნოსტალგია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „მერსიე“; 2. ლვოვი; 3. ზული; 5. „კომბლე“; 6. სუეცი; 7. „არლანდა“; 11. „ნიანგი“; 13. ალაბამა; 14. ბონზა; 15. მოურავი; 16. ხორბალი; 17. ნადალი; 19. „ოპეკი“; 20. ტატო.

**თარაზულად:** 1. მალხაზი; 4. ფურკა; 8. ლორდი; 9. მონე; 10. სევანი; 12. სარდელი; 14. ბონო; 15. მაჭახელა; 16. ხუნდი; 18. დურდო; 21. დუნაი; 22. ლენტეხი; 23. კალიბრი.

# ბრიტანული ავიამზიდი აუქციონზე გაიტანეს

ცნობილი ბრიტანული ავიამზიდი არკ-როიალი დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ინტერნეტ-საიტზე აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს.

სამეფო საზღვაო ფლოტის ყოფილი ფლაგმანი „არკ როიალი“ ექსპლუატაციის 25 წლის შემდეგ, ორი კვირის წინ


PA

რეზერვში გადაიყვანეს. ეს გადაწყვეტილება ბრიტანეთის ხელისუფლებმა ბიუჯეტის გადასინჯვის შემდეგ მიიღეს.

გემის მომავალთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა. კერძოდ, იგეგმება მისი ვერტმფრენების კომერციულ ასაფრენ ბაქნად, ლონდონის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების სამსახურის შტაბ-ბინად, ღამის კლუბად და კლუბად გადაქცევა.

გამოითქვა აგრეთვე ავიამზიდ „ინვინსიბლის“ მსგავსად მისი ჯართად დაჭრის წინადადებაც.

„არკ როიალი“ რამდენიმე მსხვილ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა, მათ შორის ერაყში კოალიციის ჯარების შეჭრას უჭერდა მხარს.

ავიამზიდი „არკ როიალი“ 1588 წლის შემდეგ ამ სახელწოდების მატარებელი გემების მეხუთე თაობის წარმომადგენელია.

ავიამზიდის აუქციონზე გატანით დაინტერესებულ პირებს პორთსმუთის სამხედრო ბაზაზე სტუმრობას სთავაზობენ. ხომალდი ამჟამად იქ არის განთავსებული. მანამდე მათ გემთან დაკავშირებით საკუთარი გეგმების თაობაზე თავდაცვის სამინისტროს უნდა აცნობონ.

ავიამზიდი დიდი ბრიტანეთის თავდაცვითი ტექნიკის განყოფილებამ უნდა გაყიდოს. ამ განყოფილების ბიუჯეტი 14 მილიარდ გირვანქა სტერლინგს შეადგენს და მის ამოცანას დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფა წარმოადგენს, თვითმფრინავებით დაწყებული და ტანისამოსით დამთავრებული.

სახსრების ეკონომიის მიზნით იგი რეგულარულად ყიდის იმ ნივთებს, რომლებიც შეიარაღებულ ძალებს აღარ სჭირდება.

ამჟამად გასაყიდად არის გატანილი აგრეთვე სამი, 43 ტიპის საესკადრო ნაღმოსანი: „ესკატერი“, საუთჰემპტონი და „ნოთინჰემი“.

ფოლკლენდის ოპერაციის მონაწილე ავიამზიდი „ინვინსიბლი“ გასულ კვირას ჯართად დასაჭრელად ბუქსირით თურქეთში გადაიტანეს.

# იაპონიის ხელისუფლები ფუკუსიმას ოთხი რეაქტორის დახურვას აპირებენ



იაპონიაში, მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაზარალებული ატომური ელექტროსადგურის, ფუკუსიმა-1-ის ოთხ რეაქტორს ექსპლოატაციიდან გამოიყვანენ. ამ განცხადებით ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანია „ტეპკო“ გამოვიდა. მეხუთე და მეექვსე რეაქტორების ბედი ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვევა.

ბოლო სამი კვირის განმავლობაში კომპანია „ტეპკო“ ატომურ ელექტროსადგურზე ვითარების გაკონტროლებას ცდილობს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ.

ცოტა ხნის წინ იაპონიის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ატომური ელექტროსადგურის მახლობლად ზღვის წყლის რადიოაქტიური დაბინძურება მანამდე არსებულ მონაცემებზე გაცილებით მაღალი იყო.

იაპონიის ბირთვული უსაფრთხოების სააგენტოს ინფორმაციით, რადიაციული დაბინძურების დონე მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის.

სახელმწიფო ჩინოსნების თქმით, ატომური ელექტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობა გახიზნეს, ხოლო სადგურის მახლობლად თევზს აღარ იჭერენ.

სააგენტოს წარმომადგენლების თქმით, იოდის რადიოაქტიური იზოტოპის, იოდი-131-ის ნახევარდაშლის პერიოდი რვა დღეს შეადგენს, ამიტომ ზღვის ფლორასა და ფაუნაში დაგროვების შემთხვევაშიც კი, სანამ იგი ადამიანებამდე მიაღწევს, რადიოაქტიურობის დონე მნიშვნელოვნად შემცირდება.

აღსანიშნავია, რომ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის შემდეგ ბავშვებს შორის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევების ზრდას სწორედ რადიოაქტიურ იოდს უკავშირებენ.

როგორც ხელისუფლები აღნიშნავენ, ატომური რეაქტორების მახლობლად რადიოაქტიურობის დონე პერიოდულად იცვლება. სამი რეაქტორის ქვეშ მდებარე გვირაბებში წლის დონე სტაბილური რჩება. მაშველები რადიოაქტიური წყლის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით ქვიშის ტომრებსა და ბეტონის ფილებს იყენებენ. ეს გვირაბები ზღვის სანაპიროდან 50-70 მ-ის მოშორებით მდებარეობს.

რადიოაქტიური დაბინძურების წყარო ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. მიუხედავად ამისა, რადიოაქტიურობის ზრდა, სადგურის ფარგლებს გარეთ პლუტონიუმის აღმოჩენა საწვავი ღეროების ნაწილობრივ გალღობის ნიშანს წარმოადგენს.

უცხოელი მიმომხილველების თქმით, ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების ლიკვიდაციაში იაპონიის დახმარების მზადყოფნა საფრანგეთმა და აშშ-მა გამოხატეს.

იაპონიაში უკვე გაემგზავრა ბირთვული ენერგიის სფეროს ორი ფრანგი ექსპერტი. თავის მხრივ ამერიკელი ხელისუფლები ფუკუსიმას ატომურ სადგურზე დოზიმეტრებით აღჭურვილი რობოტების გაგზავნას აპირებენ. როგორც ვარაუდობენ, ეს აპარატები რეაქტორების შიგნით და რადიოაქტიური წყლის აუზებში მუშაობას შეძლებენ.

იმავდროულად, ბრიტანეთის ხელისუფლებმა აღნიშნეს, რომ იაპონური ატომური ელექტროსადგურის რადიოაქტიური იოდის მცირე რაოდენობა დიდ ბრიტანეთშიც აღმოაჩინეს.

ოფიციალური ლონდონის განცხადებით, ამ ნივთიერების კონცენტრაცია ძალიან დაბალია და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო არ არის. სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, ფუკუსიმას ავარიამ, რომელიც ჩერნობილის ავარიის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან ბირთვულ ინციდენტს წარმოადგენს, დოზიმეტრებზე აჟიოტაჟული მოთხოვნა გამოიწვია.

ამ ხელსაწყოების მაღაზიები მომხმარებლების რიცხვის მკვეთრ ზრდას იუწყებიან. ინტერნეტ საიტის, „გეიგერ ქაუნთერ დოთ ქომის“ მფლობელმა ტიმ ფლანაგანმა თავის საიტზე გამოფინა განცხადება „ყველაფერი გაიყიდა“. იგი აცხადებს, რომ ერთი წლის განმავლობაში იგი 1000-მდე დოზიმეტრს ყიდიდა, მაგრამ ავარიის შემდეგ პირველი ხუთი დღის განმავლობაში მომხმარებლებს 500 ხელსაწყო გაუგზავნა და თავისი მარაგი მთლიანად ამოწურა.

# პირველ აპრილამდე რიგს ნუ დაიკავებთ

ტანზანიაში ყოფილმა მღვდელმა, აბილიკილე მვასაპილემ, მასთან შეხვედრის მსურველებს სთხოვა, 1 აპრილამდე მის სახლთან რიგი აღარ დაიკავონ. 79 წლის მღვდელმსახური ადგილობრივ მოსახლეობას წმინდანად მიაჩნია და მასთან ავადმყოფები შორეული რაიონებიდანაც კი მოჰყავთ.

ადგილობრივი მედიის თანახმად, ღირს მამა მვასაპილესთან სტუმრობის რიგში უკვე 52 ადამიანი გარდაიცვალა. წარსულში იგი ტანზანიის ლუთერანული, ევანგელიური ეკლესიის პასტორი იყო.

აბილიკილე მვასაპილეს სახლთან მასთან შეხვედრის მსურველთა 26 კმ-იანი რიგი დგას. მასში ექვსი ათასამდე ადამიანია. ამასთან, მათ შორის, გარდა ტანზანიელებისა, კენიელები და სხვა მეზობელი ქვეყნების მოქალაქეებიც არიან.

რიგში ჩამდგარი ადამიანები იქვე ცხოვრობენ, ღია ცის ქვეშ, წყალსადენის, კანალიზაციის გარეშე. ადგილობრივმა ხელისუფლებმა არეულობის აღკვეთის მიზნით მახლობლად პოლიციის ქვეგანყოფილება განათავსეს.

ექიმბაშებისა და მკურნალების ტანზანიაში ყველას სჯერა. ამასთან, ზოგიერთი მკურნალი ამტკიცებს, რომ მათ მიერ დამზადებული სამკურნალო საშუალებების მნიშვნელოვან ინგრედიენტს ალბინოსი ადამიანების სხეულის ნაწილები შეადგენს. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ აფრიკის ამ ნაწილში ალბინოსებზე ლამის ნამდვილი ნადირობაა გამართული.

მვასაპილე სხვა მეთოდებს მიმართავს. მისი სამკურნალო საშუალება ბალახებისაგან არის დამზადებული და 500 ტანზანიური შილინგი (დაახლოებით 33 ამერიკული ცენტი) ღირს.

ტანზანიის ხელისუფლები ამჟამად მისი სამკურნალო საშუალების შემადგენლობას ამოწმებენ და სურთ გამოარკვიონ, თუ რამდენად უსაფრთხოა იგი.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ტანზანიაში ხმა გავარდა, მვასაპილეს წამალი ყველა სენს კურნავსო. ამან ტანზანიელებზე ისეთი ზეგავლენა იქონია, რომ ზოგმა თავისი ავადმყოფი საავადმყოფოებიდანაც კი გამოიყვანა და სასწაულმოქმედი მკურნალისაკენ გაემართა. ზოგი ავადმყოფი გზაში დაიღუპა, ზოგი — მვასაპილეს სამსალის მიღების შემდეგ.

# ბირმის სამხედრო ხელისუფლება გადადგა

ბირმის სახელმწიფო ტელევიზიის განცხადებით, ქვეყნის სამხედრო მთავრობა ოფიციალურად დათხოვილია და პარლამენტის სპიკერმა ფიცი დადო.

გარდა ამისა, გენერალმა ტან შვემ, რომელიც ბირმას ბოლო ათი წლის განმავლობაში მართავდა, ბირმის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტიც დატოვა.

ოპოზიცია, იმავდროულად ამტკიცებს, რომ სინამდვილეში რეჟიმმა მხოლოდ ფასადი შეიცვალა და ხელისუფლების სათავეში კვლავ სამხედროები რჩებიან.

2010 წლის ნოემბერში ბირმაში საყოველთაო არჩევნები გაიმართა. ამ არჩევნების მიმდინარეობა გააკრიტიკეს როგორც ოპოზიციის წარმომადგენლებმა, ასევე დასავლეთის ქვეყნებმა.

მიმომხილველების თქმით, ჯერჯერობით გაურკვეელია, თუ რა როლს ითამაშებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გენერალი ტან შვე.

გავრცელებული აზრის თანახმად, საეჭვოა, რომ მან რეალურ ძალაუფლებაზე უარი თქვას.

ბირმის სახელმწიფო ტელევიზიის თქმით, გენერალმა ოფიციალურად დაითხოვა მმართველი მშვიდობის და განვითარების კომიტეტი.

ქვეყნის ახალ დედაქალაქში, ნეიპიდოს პარლამენტის შენობაში ფიცი დადეს ახალი სამოქალაქო მთავრობის 58-მა მინისტრმა, ორმა ვიცე პრეზიდენტმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ბირმის ახალი პრეზიდენტია ტჰეინ სეინი, გენერალ ტან შვეს დაახლოებული პირი.

ახალი მთავრობის შექმნით დასრულდა პროცესი, რომელიც ძალაუფლების სამხედრო მთავრობიდან შერეული, სამხედრო-სამოქალაქო მთავრობისათვის გადაცემას გულისხმობს.

ქვეყნის ახალ პრეზიდენტს ტჰეინ სეინს ძველ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა. მან ბირმის არმია სამხედროების მიერ შექმნილი პარტიის, გაერთიანებული სოლიდარობისა და განვითარების პარტიის ხელმძღვანელად გახდომის მიზნით დატოვა.

ამ პარტიამ ნოემბერში გამართულ არჩევნებში ამომრჩევლების ხმების 80% მოაგროვა. ქვეყნის ახალი კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტში ადგილების მეოთხედი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისათვის არის გამოყოფილი.

ოპოზიცია, კერძოდ, დემოკრატიის ეროვნული ლიგა, რომელსაც აუ სან სუ ჩი ხელმძღვანელობს, პარლამენტში წარმოდგენილი არ არის. ამ პარტიამ არჩევნების წინ თვითდაშლა გამოაცხადა, რადგან ახალი კანონების თანახმად, იძულებული გახდებოდა თავისი რიგებიდან პარტიის ხელმძღვანელობის უმეტესობა გაერიცხა.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მამა გელა ნონიაშვილი, მამიდა მარინა ნონიაშვილი, თამაზ, თამარ და ნია ნინიკაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გეგი გელას ძე ნონიაშვილის**

ტრაგიკულად დაღუპვას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული და დაამკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

---

დალი და მერაბ გერგაიები ოჯახებით იუწყებიან დედის

**ნინა ლავრენტის ასულ კემულარია-გერგაიას**

გარდაცვალებას.
სამოქალაქო პანაშვიდი: 3, 4 აპრილს.
დაკრძალვა: 5 აპრილს, 15 საათზე.
მისამართი: ქალაქი ხობი, გუბაზ მეფის ქუჩა №3.

---

ნაირა, კოტე და როლანდ კემულარიები იუწყებიან მამიდის

**ნინა კემულარია-გერგაიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ დალი და მერაბ გერგაიებს ძვირფასი დედის გარდაცვალების გამო.

---

სოხუმის რაიონის თავისუფლების საშუალო სკოლის პედკოლექტივი სამძიმარს უცხადებს დამსახურებულ მასწავლებლებს ნუშა ადეიშვილსა და მარინე ცხვარაძეს ძმისა და ბიძის

**ბიჭიკო ადეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

*პედკოლექტივის სახელით, დავით შონია*

---

თამაზ ხუბუა და დალილა ხორავა ოჯახით, ნათესავებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამისა და მამამთილის

**ტერენტი ერასტოს ძე ხუბუას**

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 1, 2 აპრილს.
დაკრძალვა: კვირას, 3 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, დიდუბის 20.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 31 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ისტორია **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** დოკ. ფილმი "კოლიზეუმი, რომის სიკვდილის არენა" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ჰარლი დევიდსონი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ტკბილი, მწარე ცხოვრება"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ფარი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"დედინაცვალი"** (ჯ. რობერტსი) **04.35** მხ. ფ. **"პუნში – მთვრალი სიყვარული"** (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"ჩასაფრებული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი"** **01.00** მხ. ფილმი **"რადიო"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** ნიჭიერი (გან.) **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მორჩენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** მხ. ფილმი **"დედოფალი"** (18) (ჰ. მირენი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ბეტმენი" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვმარკეტი **12.35** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.45** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩემპიონატი **23.45** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.45** ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე **01.15** მხ. ფილმი **"საშობაო ამბავი"** (პ. კრუსი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (გ. კინეარი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"ხსოვნა და მიტევება"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"მხოლოდ შენ"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** პირველშეწირულის ლიტურგიის განმარტება **10.35** დოკ.ფ."წმინდა მიწაზე" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"თვალი პატიოსანი"** **13.10** კონცერტი – ნ. გაბუნია **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"ლომა – დავიწყებული მეგობარი"** **16.35** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.00** დოკ. ფილმი "საქართველოს ცის ქვეშ – დავით ჭკადუა" **17.40** "განთიადის" არქივიდან **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"განგაში"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** დოკ. ფილმი "ქარაგმა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.30** დიდმარხვის მეოთხე კვირის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


31 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,704

ევრო —2,4135

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7714

რუსული რუბლი — 0,06

## ამინდის პროგნოზი 31 მარტისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1§-18, ღამით — 7-11

<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 14-16

<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-14, ღამით — -1-7







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58, 95-90-60.


## ცქიტიშვილი ახალი კლუბის ძიებაშია

**— ახლა ბევრს ვმუშაობ და იმედი მაქვს, მომავალ სეზონში იმ კლუბში ვიქნები, სადაც გაცილებით მეტი დრო და საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენის საშუალება მომეცემა, — ნიკოლოზ ცქიტიშვილის ეს სიტყვები ფიბა-ევროპას ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.**



როგორც ირკვევა, ესპანური „ლაგუნ აროსა" და ქართველი კალათბურთელის გზები გაიყარა.

სან სებასტიანურმა კლუბმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ცქიტიშვილთან თანამშრომლობას აღარ აპირებს და საკუთარ ვებგვერდზე შესაბამისი ცნობაც განათავსა.

— კლუბის ხელმძღვანელობა და კალათბურთელი შეთანხმდნენ კონტრაქტის შეწყვეტის თაობაზე. „აგუნ არო" წარმატებებს უსურვებს ნიკოლოზ ცქიტიშვილს მის შემდგომ კარიერაში.

შეგახსენებთ, რომ ნიკოლოზი მიმდინარე სეზონის წინ ჩაირიცხა „ლაგუნ აროში", თუმცა, გუნდის წამყვან მოთამაშედ ვერ იქცა და საშუალოდ 5.3 ქულასა და 2.6 მოხსნას აგროვებდა.

შეგახსენებთ, რომ ცქიტიშვილის კარიერაში „ლაგუნ არო" მე-11 უცხოური კლუბი გახლდათ. „სკიტას" მანამდე „სლოვანში" (1999-2001), „ბენეტონში" (2002), „დენვერში" (2002-2005), „გოლდენ სტეიტში" (2005), „მინესოტაში" (2005-2006), „ფინიქსში" (2006), „კახა სან ფერნანდოში" (2006-2007), „სივილია ვეარ ტერამოში" (2007-2008), „ფუენლაბრადასა" (2008-2009; 2009-2010) და „პანიონიოსშიც" (2009) უთამაშია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## თავისუფალი თეატრი 10 წლისაა

*ეკა ირემაშვილი*

31 მარტს თავისუფალი თეატრი იუბილარია. მას დაარსებიდან 10 წელი უსრულდება. როგორც თეატრის ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი აცხადებს, ამ დღეს მოწვეულ სტუმრებთან ერთად აპირებენ გაიხსენონ ათი წლის განმავლობაში თავისუფალი თეატრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ეპიზოდები და გაითამაშონ ნაწყვეტები სპექტაკლებიდან.

თუ როგორია განვლილი ათი წელი, ამას რეჟისორი ასე ახასიათებს: „თეატრი, რომელიც მხოლოდ სიმართლეს და დღესასწაულს სთავაზობს თავის მაყურებელს. „თავისუფალი თეატრი" ათი წლისაა, ეს ბევრიცაა და ცოტაც. დღიდან დაარსებისა „თავისუფალი თეატრი" ინარჩუნებს ქართველი ახალგაზრდობის ყველაზე საყვარელი თეატრის სტატუსს, მისი სპექტაკლები არავის ტოვებენ გულგრილს, „თავისუფალი თეატრი" პოპულარულია არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა ქალაქში, საკმარისია ნებისმიერ ქალაქში დაკიდო ერთი აფიშა, რომელიც იუწყება, რომ აქ მალე გამართავს წარმოდგენას „თავისუფალი თეატრი" და ბილეთები უმალვე ქრება სალაროებიდან. „თავისუფალი



თეატრი" უყვარს მაყურებელს, რადგან მის სპექტაკლებში ქართველი ახალგაზრდობა მუდამ ხედავს თავის სათქმელს. შემთხვევითი არ არის, რომ „თავისუფალ თეატრს" გემის, როგორც თავისუფლების სიმბოლოს ფორმა აქვს.

თავისუფალი თეატრი არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ის კერძოა და რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს ეკუთვნის. „თავისუფალმა თეატრმა" მოახერხა და პირველივე სპექტაკლებიდანვე „კომედიანტები", „ჯინსების თაობა", „პროვოკაცია", „ტელე მისტერია" ჩამოყალიბდა როგორც სოციალურ-პოლიტიკური თეატრი.

— ქართველმა ახალგაზრდობამ შეიყვარა ის თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის გამო, იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი ქართული თეატრი, რომელიც თავის სპექტაკლებში ღიად დაუპირისპირდა იმ დროინდელ ჩამყაყებულ იდეოლოგიას და სწორედ ამიტომ „თავისუფალი თეატრი" არაერთხელ გახდა ხელისუფლების მხრიდან თავდასხმის ობიექტი, 2002 წლის თებერვალში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით მთავრობის სპეციალური სხდომაც კი მიეძღვნა „თავისუფალი თეატრის" დახურვის საკითხს. მაგრამ ქართველ ახალგაზრდებში მღელვარების გამოწვევის შიშით საკითხი გადაიდო. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი ცხოვრობს თვითდაფინანსებით, მას უკვე ჰყავს თავისი დასი და ამის გარდა, მუდმივად ასაქმებს 50-მდე მსახიობს. საზოგადოება უკვე იცნობს „თავისუფალი თეატრის" სახეებს — აპოლონ კუბლაშვილს,


**გაგრძელება მე-12 გვერდზე**


## ასტროპროგნოზი 31 მარტისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

<u>ეს დღე მშვიდად გაატარეთ</u>

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საინტერესო შეხვედრა გელით. **ტყუპები** — არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **კირჩხიბი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ლომი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ქალწული** — ახალი პროექტი გაამართლებს, ბედი გწყალობთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, კონფლიქტი არ გჭირდებათ. **მორიელი** — ეს დღე მშვიდ გარემოში გაატარეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თხის რქა** — დაზოგეთ დრო და ენერგია. **მერწყული** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი გამოგივათ. **თევზები** — საკუთარი თავის იმედი უნდა გქონდეთ, ვერავინ დაგეხმარებათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული ავტომობილი; 2. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 3. მეზარბაზნის, რიგითი არტილერისტის ძველი სახელწოდება; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 7. პურის ნაჭრების შესაწვავი ელექტრონული ხელსაწყო; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. საბრძოლო იარაღის საწყობის არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რეზინის ძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. რაიმეს სურვილი, ნდობა, ოცნება; 18. შავი ზღვის ზვიგენი; 19. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური; 21. მტაცებელი ცხოველი; 24. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური.

**თარაზულად:** 1. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. სათამაშო სახლი, სამორინე; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 14. სასწავლო დაწესებულება; 15. ამერიკული სიგარეტი; 17. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. დედამიწის მანათობელი; 26. მამალი თხა; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების" ავტორი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## იუმორი



— დედიკო, დედიკო, მე ვისი ტვინი გამომყვა?
— მამაშენის.
— დარწმუნებული ხარ?
— ჩემი მე დამრჩა...

***

მდიდარი და ღარიბი საუბრობენ.
— არ მჯერა, რომ სიყვარულის ყიდვა შეიძლება.
— შენი ფულით ნამდვილად ვერ იყიდი.
— ვერ მიხვდი, რას ვგულისხმობ. არსებობს წმინდა, უანგარო სიყვარული...
— მასეთისთვის ფული არ მეყოფა!

***

— როგორ მიხვდით, რომ სახლში ვიღაც უცხო იყო?
— იცით, ჩვენს ოჯახში უკნიდან თავში სკამის ჩარტყმა მიღებული არ არის...

***

დირექტორი:
— ფული სად არის?
მთავარი ბუღალტერი?
— ახლავე აგიხსნით.
დირექტორი:
— ახსნა თავადაც შემიძლია, ფული სად არის?

***

— რა შემთხვევაში ეხვევიან ერთმანეთს მამაკაცები?
— იმ შემთხვევაში, თუ ან ცისფერები არიან, ან ლურჯები.

***

დედამთილი რძალს თათხავს:
— შენ რა ქალი ხარ? იატაკის რეცხვა არ შეგიძლია, საჭმელს ვერ ამზადებ, ჩემს შვილს დილიდან საღამომდე ეჩხუბები. აი, მე შენს ასაკში...
— ჩემს ასაკში, — პასუხობს რძალი, — თქვენ უკვე მესამე ქმარს მარხავდით...

**გ. თ.**

## ტესტი: რას ფიქრობთ საკუთარ თავზე?



1. თუ იცავთ ბოლომდე საკუთარ აზრს იმ შემთხვევაშიც, თუ მართალი არ აღმოჩნდებით?
2. მაღაზიაში ცუდი მომსახურების შემთხვევაში თუ უცხადებთ პრეტენზიებს დირექტორს?
3. თუ ხართ კმაყოფილი საკუთარი გარეგნობით?
4. მიგაჩნიათ, რომ თქვენ, ისევე როგორც სხვებს, მრავალი ფარული უნარი გაგაჩნიათ?
5. მოსწონხართ თუ არა ადამიანებს?
6. კარგად თუ გამოგდით ის, რასაც აკეთებთ?
7. კრიტიკულ სიტუაციაში ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებთ?
8. მიგაჩნიათ, რომ უფრო მეტი ღირსება გაქვთ, ვიდრე ნაკლი?
9. კარგი მეხსიერება გაქვთ?
10. ტანისამოსის ყიდვის წინ ყოველთვის კითხულობთ რჩევას?
11. მიგაჩნიათ თუ არა თავი კარგ საყვარლად?
12. შეგიძლიათ თუ არა ადამიანებთან მუშაობა?

დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:

### პასუხები

**0-4 ქულა:** ძალიან მოკრძალებული ხართ. საკუთარი ძალები უნდა ირწმუნოთ. ნუ ფიქრობთ მხოლოდ თქვენს სისუსტეებზე. პატივი ეცით საკუთარ თავს და სხვებიც მოგბაძავენ.

**5-8 ქულა:** საკმაოდ დარწმუნებული ხართ საკუთარ თავში, მაგრამ ხანდახან ეჭვი გიპყრობთ, სძლიეთ ამ ეჭვს.

**9-12 ქულა:** იცით, რისი უნარი შეგწევთ, ითვალისწინებთ როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებს. დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში, თუმცა ადამიანებს ხანდახან აუტანელი და ქედმაღალი ჰგონიხართ. ცოტა მოკრძალებულობა არ გაწყენდათ.

**გ. თ.**